

ისტორიულ-ჟურნალისტური ჟურნალი №2 (26), 2013, თებერვალი ფასი 3 ლარი

# ისტორიანი



**ღიბდაი-  
ბუნის  
ნაიბახუბის  
საილალო**

**აესალოზივი  
ქარტოული გენის გაბრწყინება - პაკისტანში**



**ღაილი  
ღანეილი და ღაუნეილი  
ღანოღების ბიძოღა**

ქაიოღაღის ბიიილი აპოღა

**ანა ანოოოოოაი  
ღიღი მოურაღი**

**12 ზიბაღ**

**ღიბნი VIII**

**ფასი 3 ღარი**

ნიგნი „ისტორიანთან“ ერთაღ - 6 ღარი

**იბეიასოიბის  
ქაიოღი  
ღსაღიბი**



**ანოოსაქსი  
ქიონეიბი**

**საქაიოღოში  
ყააიილი  
სალოღაღის  
ენიბაღი  
ნიოღაღს  
იიბიღი**

**ენიი აიიიის  
„ღაბაღი  
ღაიასაბა“**

**ღაბაღაღ  
ქსაღი ღაიიიი**





**სახიჩვი**

**მიცოცა**  
 უფიქრისა და უნეტარების  
 ღირსსახსოვარი იუბილე ..... 6

**მოხელე აბაზი**  
 რა ფერის იყო კოლეჯუმი? – უნიკალური  
 აღმოჩენა როგორ ..... 7

ბილიოტინაზე დასჯილი ფრანგი  
 მონარქის სისხლი... კველ გობრაში ..... 8

**იუნიცა**  
 150 წელი „საპარტეზელს  
 მკურთხეულთაშვილების“ დაბადებიდან ..... 10

**აღმოჩენა**  
 საპარტეზელოში ყავარული ხელოვნების  
 უნიკალურ ნიმუშებს მიაკვლიეს ..... 12

**საქართველო და ბაჰა სამყარო**  
 საპარტეზელო საჯალათო კუნძუზე ..... 22

**საქართველოს უიღბლო პატივები**  
 როგორ მოსთხოვეს ქართველებმა  
 ავტონომია რუსეთის იმპერიას  
 ოფიციალურად ..... 28

**ქართველები და ჩხეთის იმპერია**  
 ქართველი კანცოლები – რუსი  
 მეფეების მცველები ..... 35


**ქართული სახომომოქმეების ქალები**  
 ლეგენდარული ქვეყნის ნებრები ..... 43

**სადაცხა სან ნიყვან...**  
 ქართული საგა კაპიტანში ..... 48

**ბიძოცა ნახუნი**  
 დუბლის ფენომენი ..... 53

**ოქობის ისტორია**  
 დიდი არმიის „წაუბეგელი დამარცხება“ ..... 60

**ანბონსახუნი ქონიები**  
 პასტინგის ბრომლა ..... 68



**სახიჩჳი**

**ინსტიჳიუ სწოზი აჳთიანთაჳ**  
 ფრანსის ფუჳპიანაჳ – ჳირჳელ  
 სასაღჳფიფოჳ კჳელ ჩინელჳს უნდა  
 გჳგადლოდჳთ ..... 75

**ახანი აგაზი**  
 უცხო ცხოჳელს 8-ტონიანი ქანდაკგაჳ  
 მიუჳღჳნეს ..... 81  
 „სტოტის გგოჳ“ 1,5 მილიონი ჳლისაჳ ..... 81

**მსოფლიოში სწოზიი სინა-აჳიგაჳი**  
 კარღჳტჳინი – ჩგხეთის უჳირჳელჳს და  
 უღაგაჳგსი ცინე-ღარგაჳის ისტორია ..... 82

**ბონანის ისტორია**  
 ღაიგღჳს + გნცი = გჳრსღჳს ..... 90

**თაგაჳოჳ „ელი აჳთიანაჳ“**  
 თაგაჳო – ამერიკელ ინდიელთა  
 უჳრისჳიგის იარაღი ..... 96

**სწოჳიგა**  
 ეღღარ გნგგაღაია – ღიღი რჳჳისტორი  
 ღიღი ოჳჳსიღან ..... 104

**ჳიღიტი**  
 ნიგა ჳულჳიგჳ: „ისტორია თუ არ  
 ჳისჳაჳლჳთ, ᳾როჳნული  
 გგნეტიგის უგსაგაჳ არაგჳრი  
 გჳცოღინეგა“ ..... 111

**„ისტორიანი“ გაჳჳიგისთჳის**  
 500 ჳაჳტი ისტორიიღან ..... 114  
 სკანჳორღი ..... 122

## ხელახლობის სვეტი

ჩვენი უწმიდესი 80 წლისაა!

ჟურნალი „ისტორიანი“ გულწრფელად, დიდი სიყვარულით ულოცავს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსს, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტს, უწმიდესსა და უნეტარესს ილია II-ს ღირსსახსოვარ იუბილეს.

პატრიარქის ცხოვრებაზე თვალის ერთი გადავლებაც კი კმარა, რათა დარწმუნდეთ, რაოდენ გამოჩენილია მისი ღვაწლი საქართველოს ისტორიაში. 35 წლის წინ, ინტრონიზაციისას კათოლიკოს-პატრიარქმა ჩაიბარა უძძიმეს მდგომარეობაში არსებული საქართველოს დედაეკლესია. დღეს შეიძლება გაიკვიროს ჩვენმა მკითხველმა, მაგრამ ფაქტია, მოსახლეობის ერთმა ნაწილმა პირველის გადაწერაც კი არ იცოდა, აღარაფერს ვამბობთ ლოცვაზე. პატრიარქ მელქისედეკის ჟამს ასეთი ფაქტიც კი მოხდა: საკვირაო წირვის დროს ტაძარში შევიდა სიგარეტმოკიდებული მამაკაცი და კათოლიკოს-პატრიარქს კინალამ ლოცვა ჩაუშალა. არავინ გამოჩნდა, ტაძრიდან გაეყვანა აბეზარი მწვეული. ბოლოს თავად პატრიარქი ჩამობრძანდა ამბიონიდან და ათეინმისგან დაბრძანებულს წმინდა ადგილი დაატოვებინა.

პატრიარქ ილია II-ის აღსაყდრებისას მხოლოდ 42 ტაძარი მოქმედებდა და სულ 60-მდე სასულიერო პირი ჰყავდათ. წირვა-ლოცვებზე ძირითადად ხანში შესული ხალხი დაბრძანდებოდა. ჩვენი ეკლესია-მონასტრები უფრო საქეიფო ადგილებს წარმოადგენდა. ახალგაზრდა მკითხველმა შეიძლება არც კი უწყის, რომ მეტეხის ტაძარში თეატრი იყო განთავსებული და სპექტაკლები იმართებოდა. ნაძალადევი ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ეკლესიაში აბანო ფუნქციონირებდა... უამრავი ტაძარი კომუნისტებს საწყობად ჰქონდათ გადაქცეული. ამგვარი იყო რეალობა 1977 წლისთვის. ჩვენმა პატრიარქმა დედაეკლესია ამგვარი ვითარებიდან აღადგინა და ააღორძინა, ვის სულიერება დაუბრუნა.

უფალს შევთხოვთ დღევრძელობა და ჯანის სიმრთელე არ მოაკლოს ჩვენს პატრიარქს. უწმიდესს კი ვთხოვთ — დაგვლოცეთ, მეუფეო...



„უფალს მევეთხოვთ დღევრძელობა და ჯანის სიმრთელე არ მოაკლოს ჩვენს პატრიარქს. უწმიდესს კი ვთხოვთ — დაგვლოცეთ, მეუფეო...“

### ისტორიულ-შემეცნებითი ჟურნალი „ისტორიანი“

მთავარი რედაქტორი  
**ჯაბა სამუშია**

რედაქტორი  
**გელა გურგენიძე**

სტილისტი-რედაქტორი  
**ელენე სალარიძე**

კომპიუტერული უზრუნველყოფა  
**რეზო თხილიშვილი**

სარედაქციო კოლეგია:  
**ალექსანდრე ბომიშვილი, ოქროპირ ჯიჭუერი, ნინო ჯაფარიძე, დიმიტრი სულაქაძე, მიხეილ ბარნოვი, შოთა მათათაშვილი, კახაბერ ფალინავა, ნიკოლოზ ხოფერია**

კორექტორები:  
**ნანა მაჭავარიანი**  
**ნინო აბესაძე**

რედაქციის მისამართი:  
თბილისი, იოსებძის ქ. №49  
**ტელ.: 238-13-72, 238-02-45**

სარეკლამო განყოფილება  
**ტელ.: 237-78-07, 238-78-70**

e-mail: istoriani@palitra.ge

**ჟურნალი გამოდის თვეში ერთხელ**

რედაქციის ნებართვის გარეშე  
მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია

ჟურნალის გამოწვევის სთვის მიმართეთ პრესისა და წიგნების გავრცელების სააგენტოს „ელვა-ჯი“.  
**ტელ.: 238-26-73, 238-28-74, 214-09-91**



# უწმიდესისა და უნეტარისის ღირსსახსროვარი იუზილა



უწმიდესსა და უნეტარესს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, მცხეთათბილისის მთავარეპისკოპოსსა და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტს ილია II-ს საპატრიარქო ტახტზე აღსაყდრებიდან 35 და დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა. მისი უწმიდესობის იუბილეს სრულიად საქრისტიანო აღნიშნავს. ამ საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით საქართველოში საზეიმო ღონისძიებები გაიმართა, რომელსაც კონსტანტინოპოლისა და ახალი რომის მთავარეპისკოპოსი, მსოფლიო პატრიარქი ბართლომეოს პირველი, მსოფლიო მართლმადიდებლური ეკლესიის უმაღლესი იერარქები და სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამობრძანებული სტუმრები დაესწრნენ. დღეგატეხმა მილოცვებთან ერთად ქართველთა სულიერი მწყემსმთავრის ცხოვრება-მოღვაწეობის განვლილი პერიოდი შეაფასეს და სამომავლო გეგმებსა თუ ურთიერთთანამშრომლობის გადრმავეების აუცილებლობაზე ისაუბრეს.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ინტრონიზაცია 1977 წლის 25 დეკემბერს სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში შესრულდა.

„ვიდრე ვცოცხლობ, მუდამ ჩემ თვალწინ იქნება ის უხილავი და მანც ხილული ტახტი, რომელზეც მეუფის ძლიერმა მარჯვენამ ამოყვანა. ჩემს გულზე წარუშლელად წერია ის მოვალეობანი, რომელნიც მისმა უსაზღვრო მოწყალებამ დამაკისრა, ბედნიერებას მანიჭებს ფიქრი, რომ ეს მოწყალება და ქრისტეს მოძღვრების ერთგული ქართველი ერის მუდმივი თანადგომა შემმატებს ძალას, რათა განვახორციელო ყოველივე, რაც მაღალმა ღმერთმა დამისახა“, — ეს ერთგვარი საპროგრამო სიტყვა, მისმა უწმიდესობამ საქართველოს სამოციქულო ეკლესიის საპატრიარქო ტახტზე აღსაყდრებისას წარმოთქვა. ამ დროიდან იგი უანგაროდ ემსახურება ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის აღორძინებას. მისი მწყემსმთავრობის პერიოდში საგრძნობლად გაიზარდა ეპარქიათა რიცხვი, აშენდა ასეულობით ეკლესია-მონასტერი, მოხდა ახალი წმინდანების კანონიზაცია, მის სახელთანაა დაკავშირებული საუკუნის პროექტის — წმინდა სამების საკათედრო ტაძრის მშენებლობა. ქვეყნის გაერთიანებასა და განმტკიცებაზე მლოცველი პატრიარქის მთავარი საზრუნავი ერის სულიერ ფასეულობათა შენარჩუნება და აღმაკვლბაა. განუხომელია მისი უწმიდესობის დამსახურება ქვეყნის შიგნით ეროვნული თანხმობის, ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობებთან მშვიდობიანი თანაცხოვრების საქმეში. ეს არის ჩვენი სულიერი წინამძღვრის ღვაწლის მხოლოდ მცირედი ჩამონათვალი. ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, სიყვარულისა და ერთიანობის მქადაგებელ პატრიარქს როგორც საქართველოში, ისე რეგიონსა თუ მსოფლიოში განსაკუთრებული სიყვარულით მოიხსენიებენ და აფასებენ.

გვაქვს პატივი, ჟურნალ „ისტორიანის“ რედაქციის სახელით მიულოცოთ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, ილია II-ს დაბადებისა და აღსაყდრების ღირსშესანიშნავი თარიღი. ვუსურვებთ ჯანმრთელობასა და დღევრძელობას ქვეყნისა და ერის საკეთილდღეოდ...

„ისტორიანი“

# ხა ფეხის იყო ჯოჯოხაი? უნიკალური აღმოჩენა რომში



ფრესკის ფრაგმენტი

იტალიელმა არქეოლოგებმა კოლიზეუმის შიდა კედლებზე ფერადი მხატვრობის ნიმუშები აღმოაჩინეს. მეორე და მესამე სართულებს შორის გასასვლელში, რომელიც დამთვალეიერებლებისთვის ჯერ დახურულია, ნაპოვნია ფრესკების ფრაგმენტები, რომლებიც ლურჯი, წითელი და მწვანე პიგმენტებით არის შესრულებული.

კოლიზეუმში შარშან ოქტომბერში დაწყებული სარესტავრაციო სამუშაოებისას გამოვლინდა, რომ მისი გარე ფასადი თეთრი მარმარილოთი იყო მოპირკეთებული. შიდა კედელი კი წითელი იყო, როგორც გლადიატორთა სისხლი. ასე გამოიყურებოდა კოლიზეუმში კლასიკურ პერიოდში.

ამფითეატრის კედლებზე გამოსახული იყო სცენები, რომელიც გლადიატორთა გამარჯვებებს ეძღვნებოდა. კერძოდ, ნაპოვნია ისრები-სა და დაფნის გვირგვინების გამოსახულებე-

ბი. არქეოლოგებმა, გლადიატორთა თემის გარდა, ეროტიკულ სცენებსაც მიაკვლიეს.

იტალიური გამოცემა *Corriere della Sera* წერს, რომ გამოსახულებებს შორის ფალოსის სიმბოლოებიცაა. ამას გარდა ნაპოვნია წარწერები, რომელიც XVII საუკუნით თარიღდება.

გასასვლელი ფრესკებით, რომელიც რამდენიმე კვადრატულ მეტრს იკავებს, მნახველებისთვის 2014 წლის ზაფხულში გაიხსნება. ზონის კვლევის გაგრძელება იმაზეა დამოკიდებული, დაფინანსდება თუ არა ეს მიმართულება.

როგორც იტალიური გამოცემა აღნიშნავს, აღმოჩენილი ფრესკები მიუთითებს, რომ კოლიზეუმის კედლები, რომელიც ჩვენი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნის 80-იან წლებში აშენდა, შიდა მხრიდან წითელი ფერის იყო, ხოლო ცალკეული ზონა — ლაჟვარდისფერი. ეს პიგმენტი, სავარაუდოდ, ცის ან ზღვის გამოსახვისთვის გამოიყენებოდა.

კოლიზეუმის რესტავრაცია 2012 წელს დაიწყო და 2015 წლის ზაფხულამდე გაგრძელდება. სამუშაოები ეტაპობრივად განხორციელდება. თანხები ძველის რესტავრაციისთვის, რომელსაც 3000-მდე მზარი აქვს, ფენსაცმლის მწარმოებელი კომპანია *Tod's*-ის მეპატრონემ, დიეგო დელა ვალემ გაიღო. სამუშაოები \$25 მილიონად არის შეფასებული.

*მომზადებულია Agence France-Press-ის მასალების მიხედვით*





# გილიოტინაზე დასჯილი ფრანგი მონარქის სისხლი... ძველ გოგრაში



ფრანგმა და ესპანელმა მეცნიერებმა საფრანგეთის მეფის, ლუი XVI-ის სისხლის ნაკვალევი სასუვენიროდ გაკეთებულ ძველ გოგრაში აღმოაჩინეს. მონარქი დაახლოებით 200 წლის წინ, გილიოტინაზე სიკვდილით დასაჯეს.

მეცნიერები ამტკიცებენ, რომ გენეტიკური მასალა, რომელიც სუვენირში აღმოჩენილ ქსოვილის ნაჭერზეა, სწორედ ფრანგ მონარქს ეკუთვნის. საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროინდელი ეს ნაკეთობა ერთ-ერთი იტალიური ოჯახის კოლექციაში რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ინახებოდა.

სისხლი ლუი XVI-ს რომ ეკუთვნის, ამას სხვა ფაქტიც ადასტურებს. ქსოვილის ნაჭერზე აღმოჩენილი გენეტიკური მასალის დნმ თითქმის სრულად ემთხვევა ფრანგ ბურბონთა დინასტიის კიდევ ერთი მონარქის, ანრი IV-ის მუმიფიცირებული თავის დნმ-ს.

ლუი XVI ფრანგმა რევოლუციონერებმა სიკვდილით 1793 წლის 21 იანვარს დასაჯეს. პროცესის დასრულების შემდეგ მაყურებელთაგან ბევრმა საკუთარი ცხვირსახოცი თავმოჭრილი მონარქის სისხლში ამოსვარა.

სასუვენირო გოგრა მონარქის სისხლის კვალით, რევოლუციონერთა გამოსახულებებით



სუვენირი, რომელიც მონარქის სისხლს ინახავდა, რევოლუციონერთა გამოსახულებებით არის შემკული



არის შემკული და აქვს ასეთი შინაარსის წარწერა: „21 იანვარს, ლუი XVI-ისთვის თავის მოკვების შემდეგ, მაქსიმილენ ბურდალუმ საკუთარი ცხვირსახოცი მის სისხლში ამოავლო“.

### „ამის სისხლისმიერი კავშირები“

გოგრაში აღმოჩენილი სისხლის კვალის დნმ-ის ანალიზმა აჩვენა, რომ ის შესაძლოა მართლაც ლუი XVI-ს ეკუთვნოდეს. ადრე მეცნიერებს ამის დადასტურება არ შეეძლოთ, რადგან მისი გენეტიკური ნათესავეების დნმ-ის ნიმუში არ ჰქონდათ.

მოგვიანებით, მოხერხდა დადგენა იშვიათი გენეტიკური თანხვედრისა გოგრაში აღმოჩენილი სისხლისა და ლუი XVI-ს წინაპრის, ანრი IV-ის მუმიფიცირებული თავის დნმ-ს შორის. ეს უკანასკნელი 1610 წელს კათოლიკე ფანატიკოსმა მოკლა.

დასკვნა, რომ მუმიფიცირებული თავი საფრანგეთის მეფეს ეკუთვნის, მკვლევრებმა 2010 წელს გააკეთეს. მას შემდეგ, რაც მისი ნაკეთები მონარქის შემონახულ პორტრეტებს დაემთხვა.

ფრანგმა პათოლოგოანატომმა ფილიპ შარლემ სააგენტო „ფრანს პრესს“ განუცხადა, რომ კვლევის შედეგების თანახმად, „შესწავლის ორივე ობიექტს მამის ხაზით გადაცემული საერთო გენეტიკური მემკვიდრეობა აქვს“.

მეცნიერები იმედოვნებენ, რომ ლუი XVI-ის დნმ-ის ნიმუში მათ მონარქის, ასევე მისი მემკვიდრეებისა და ნათესავეების გენეტიკური კოდის გაშიფვრის საშუალებას მისცემს.

*მომზადებულია  
BBC-ის მასალების მიხედვით*



ლუი XVI. ანტუან-ფრანსუა კალეს ნახატი

## ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით

(კითხვა, შენიშვნა, სურვილი, პრეტენზია, შეთავაზება...)

### პალიტრა მედია გისმენთ!..



ღარაკეთ: 219 60 13



მოგვწერეთ: [contact@palitra.ge](mailto:contact@palitra.ge)

ან: „კვირის პალიტრის“ („სიტყვა და საქმის“)

საფოსტო ყუთების საშუალებით



# 150 წელი

## „საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესის“ დაბადებიდან

*„ზოგმა ჩემმა შევირდებმა მომხართეს წინადადებით იუბილეს მოწეობისა, რაზედაც, რა თქმა უნდა, უარი განვაცხადე. პირველად იმიტომ, რომ საიუბილეო არაფერი გამიკეთება, მე მხოლოდ ჩემს ქართულ მოვალეობას ვასრულებდი. მეორედ იმიტომ, რომ კიდევაც ვიყო ღირსი იუბილესი, ჩვენს პირობებში, ემიგრაციაში, იუბილე ვის გაუგონია! არ ეგების!“ — წერდა 1936 წელს ემიგრაციაში ექვთიმე თაყაიშვილი.*

2013 წელს წმინდა ექვთიმეს დაბადებიდან 150 წელი შესრულდა. ეს თარიღი მსოფლიო მასშტაბით, იუნესკოს ეგიდით აღინიშნა.

ექვთიმე თაყაიშვილი საკუთარი ქვეყნის მასშტაბებს სწორედ თავისი „ქართული მოვალეობის შესრულებით“ გასცდა. „ქართული მოვალეობა“, სხვა არაერთ ღირსეულ საქმესთან ერთად, საქართველოზე მოფიქრალ ძალთა გაერთიანებას გულისხმობდა. ექვთიმე თაყაიშვილის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულ პირად არქივში ინახება ივანე ჯავახიშვილთან მიწერილი ბარათი, სადაც იგი ჯეროვნად აფასებს ჯერ კიდევ პეტერბურგში მოღვაწე მკვლევრის გამორჩეულ მისწრაფებებს, უნარს, ენერგიას და სთაუზობს, მაღე ჩამოვიდეს პეტერბურგიდან და გახდეს საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების თავმჯდომარე: „თავმჯდომარეობა საზოგადოებისა თქვენ უნდა იკისროთ, მე დიდის სიამოვნებით ვიკისრებ მდღენობას და სხვა შრომასაც, რაც საჭირო იქნება და შემეძლება. ...ჩვენი კულტურის ნაშთების შეგროვებისთვის რომ ეს უმჯობესი იქნება, ამაზე უარს ვერც თქვენ იტყვით და მე კი ვიტყვი, დღეს ჩვენგან ამგვარ შრომას და ღვაწლს თხოვლობს სამშობლო. საფუძველი თუ დაგვეკარგა, ყველაფერი დაკარგული იქნება. ...რამდენადაც თქვენს მოღვაწეობას დაგვიკვირებოდა, თქვენ პირი უფრო ჩვენგან გაქვთ, ვიდრე პე-

*ექვთიმე თაყაიშვილი ოშკის ტაძარში (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი)*



ტერბურგისკენ, ქართულად უფრო ბევრს წერთ, ვიდრე რუსულად, ჩვენს ჭირ-ვარამს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევთ და სულიერად ჩვენთან უფრო ხართ“.

წლების შემდეგ ამ ფაქტის შესახებ ექვთიმე თაყაიშვილი ემიგრაციიდან სიხარულით სწერდა იროდიონ სონდულაშვილს: „ძვირფასო ილო! მეტად ვერაფრით გამახარებდი ისე, როგორც ცნობით, რომ ჩვენი ივანე საზოგადოების თავმჯდომარედ ავირჩევიათ და ის დათანხმებულა. ივანე პირადათაც უმწიკვლო ადამიანია, დიდი პიროვნება და ჩვენი დიდი მეცნიერია. ეხლა მე სრულიად დამშვიდებული ვარ და დარწმუნებული ვარ, საზოგადოების მუშაობა და საქმეები კარგადაა წავა. ჯერ როდესაც პეტროგრადში იყო, მე მაშინაც მივმართე წერილით, გადმოსულიყო საქართველოში. მოქცეოდა სათავეში ჩვენს საზოგადოებას და გაგვეჩადებია მუშაობა. მაშინ მას ქართული კათედრის მიტოვება პეტერბურგში ეძნელებოდა, თუ სამაგიერო კათედრა არ იქნებოდა მოწყობილი ტფილისში. უბიბლიოთუკობა (რასაკვირველია, შესაფერი) და უსიამოვნო პირობების ამბავიც ჩვენში ვერ აბედვინებდა ჩემი წინადადება მიეღო, თუცა სულით და გულით ჩვენთან იყო. როდესაც ჩვენ უნივერსიტეტს ვაარსებდით ჯერ კერძოს, პირველად საზოგადოება აღტაცებით შეხვდა და შემდეგ ჩვეულებრივი გულგრილობა და ინდიფერენტობა გამოიჩინა. ივანე ისეთ სასოწარკვეთილებაში ჩავარდა, რომ გადაწყვიტა, ყველაფერზე ხელი აეღო და გერმანიაში წასულიყო სამუდამოდ. ძლივს დავარწმუნე, რომ ამგვარი მოვლენა ჩვენში ჩვეულებრივია, რომ საქმის დაწყებით, თუნდ მცირე მასშტაბითაც შევძლებთ საზოგადოების და-



ექვთიმე თაყაიშვილი ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, მაშინდელ ხელნაწერთა ინსტიტუტში

არსებას და საქმე კარგადაა წავა-მეთქი. მაშინ მან მითხრა, გაცოცხლებული ვარ, თქვენ როგორ შესძლეთ ასეთ პირობებში მუშაობა და საქმის გაკეთებაო. შემდეგ შენც იცი, პირობები შეიცვალა, უნივერსიტეტი მოაწვევთ, მას თავის შესაფერი ადგილი მივუჩინეთ თანდათან შეეჩვია ყოველი დამაბრკოლებელი მიზეზების, გულგრილობის და ინტრიგების გადალახვას, ყოველთვის ჯეროვნად ეჭირა და დღეს კიდევ უფრო შეგნებითა და თავგანწირვით უჭირავს უნივერსიტეტის საქმე ხელში. ღმერთმა ჯანმრთელობა მისცეს და ნუ მოგაკალოს მის მოღვაწეობას! ძალიან გთხოვთ ყველას, შეუმსუბუქეთ ტვირთი და ყოველგვარი თანამშრომლობა და შემწეობა აღმოუჩინოთ საზოგადოების საქმეებში. ინტრიგებს (მაშინ ხომ პირობები უარესი იყო) ახლაც გადალახავთ, თუ კარგად ერთსულოვნად იმოქმედებთ“ (1924 წლის 17 მარტი).

ესაბ მანია



**TALIZI**  
**თმის გაღანეკვის სენზი**  
**ტაშკენტის 27. ტელ: 2141515**  
**WWW.TALIZI.GE**





## საქართველოში ყაჯარული ხელოვნების უნიკალურ ნიმუშებს მიაკვლიეს

საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმში უკანასკნელ ხანს გამოვლინდა ირანული მხატვრობის უცნობი ნიმუშები, რომლებიც სპეციალისტთა დიდ ინტერესს იწვევს. ჟურნალი „ისტორიანი“ ეხმებება ამ აღმოჩენას და ვთავაზობთ მუზეუმის დირექტორის, გიორგი კალანდიას განმარტებით სტატიას ამ მნიშვნელოვანი სიახლის შესახებ.

საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის სახვითი ხელოვნების ფონდში დაცულია უცნობი მხატვრის ნამუშევარი, რომელიც

შესრულებულია პაპიე-მაშეზე (პლასტიკური ნივთიერება, რომელიც მიიღება ქალაქის მასაში წებოს, სახამებლის, თაბაშირის, ცარცის შერევით), ზომით 37 X 56,5 სანტიმეტ-



უცნობი მხატვრის ნამუშევარი. შესრულებულია პაპიე-მანუშე. ზომა 37 X 56,5 სმ

რი. აღნიშნული ექსპონატის მუზეუმის საცავში მოხვედრის შუსტი გარემოება უცნობია. ნამუშევარზე ძალიან საინტერესო და უჩვეულო სცენაა წარმოდგენილი. როგორც ჩანს, ამ უჩვეულო იკონოგრაფიამ თავიდანვე აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. აღნიშნული ნამუშევარი სამუზეუმო დოკუმენტაციის ერთ ნაწილში მოხსენიებულია, როგორც მეფე სოლომონის ნადიმი, თუმცა ს. მირზაშვილის მიერ შექმნილი ნამუშევრის სამუზეუმო ასლს ახლავს დასკვნა რუსულ ენაზე, სადაც ნათქვამია, რომ ნახატი წარმოადგენს XIX საუკუნის ირანის პროვინციული მხატ-

ვრობის ნიმუშს და მასზე სოლომონთან დაკავშირებული ერთ-ერთი სცენაა გამოსახული. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული დასკვნა შედარებით სრულყოფილი ჩანს, მასში მაინც ბევრი გაურკვევლობაა. არც ნათლადაა წარმოდგენილი, რა სცენაა ასახული ექსპონატზე. ამ ბუნდოვანებამ ნახატის სიუჟეტთან დაკავშირებით კიდევ ერთი მოსაზრება გააჩინა, რომ თითქოსდა აქ აღმოსავლური ლიტერატურის ცნობილი ნაწარმოების, „შაჰნამეს“ ერთ-ერთი ეპიზოდი, კერძოდ რუსტამის ცხოვრების ამსახველი ერთ-ერთი სცენაა წარმოდგენილი.

ნახატის ცენტრში შარავანდედიანი მამაკაცი ფეხმორთხვით ზის, მას თავს ფარშავანგი დასტრიალებს. მამაკაცის წინ გამოსახულ ზღომწიფეს სპარსული ყაიდის გვირგვინი ახურავს. ასეთივე გვირგვინოსანს ნახატის მარჯვენა ქვედა მხარესაც ვხვდებით. რაც მთავარია, სცენა გაჯერებულია უამრავი ფიგურით. აქ ვხვდებით ჯარისკაცებს, ქალებს აღმოსავლურ სამოსში, ცხოველებს, ფრინველებს, მითური დევეების, დემონებისა და რქოსანი ალქაჯების მსგავს არსებებს. უდავოა ისიც, რომ ნამუშევარი ორიენტალისტურ ხელოვნებას განეკუთვნება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გამოსახული სცენის შინაარსი და ფერწერის პარალელები აღმოსავლურ ლიტერატურასა და მხატვრობაში უნდა გვეძებნა. ცნობილია, რომ ისლამში, ისე როგორც იუდაიზმსა და ქრისტიანობაში მეფე სოლომონი, რომელიც ყურანში სულეიმანად იწოდება, მიჩნეულია მისაბამ მმართველად. არაბებისთვის ბიბლიური მეფე „არსთა გამრიგის წარმოგზავნილი“ ანუ „რასსულ ალაჰია“. ლეგენდების მიხედვით, სულეიმანმა ანგელოზებისგან ოთხი ძვირფასი ქვა მიიღო, რომლებიც მაგიურ ბეჭედში ჩასვა და ეს ბეჭედი ქვეყნის მართვაში ეხმარებოდა. ყურანში სულეიმანი არაერთხელ მოხსენიებულია, როგორც ბრძენი და სამართლიანი მმართველი. თუმცა რაც ყველაზე მეტად არის აღსანიშნავი, ისლამის თანახმად, მეფის ძალაუფლება ვრცელდებოდა არა მხოლოდ ადამიანებზე, არამედ ცხოველებზე, ღვთაებრივ არსებებზე, ანგელოზებსა და დემონებზეც კი. ყურანში ნათქვამია: „და დაუშორჩილეთ სულეიმანს ქარი, რომლის ქროლაც მის ნებას ექვემდებარება, ხო-





მინიატიურა ფირდოუსის „შაჰ-ნამეს“ XVI საუკუნის ხელნაწერიდან

სოლომონის გამოსახულება ბერკლის 1540 წლის ხელნაწერის მინიატიურაზე



ლო ეშმაკეულთაგან ისინი, ვინც გრძნეულობენ“ ან „გამოცადეთ სულეიმანი და აღვივანეთ მისი გვაში ტახტზე. და სთქვა მან: „ღმერთო მომიტყევე და მიბოძე ძალაუფლება, რომლის მსგავსი ჩემს შემდეგ არვის ექნება... და დაუფორჩილეთ ჩვენ მას ქარი, რომელიც მის ნებაზე მიედინება, და შაითანებიც, ყოველი ქვემძრომი, მშენებელი და წყალში მცურავი, და სხვებიც ბორკილთა ბჭეში მოქცეულნი“.

მითოლოგიური ტრადიციის მიხედვით, სოლომონმა ორი უმთავრესი აღთქმა დაარღვია. ის გატაცებული იყო ქალებით და აქედან გამომდინარე, მრავალცოლიანი მეფე გახლდათ. მას ჰქონდა აღთქმის საწინააღმდეგო კიდევ ერთი სისუსტე – ცხენოსნობა. მეფეს 1400 ცხენი და 12 ათასი მხედარი ჰყოლია.

სულეიმანის სახე ისლამურ წმინდა ტექსტებსა თუ გადმოცემებში ასე დეტალურად იმითომ აღუწერეთ, რომ აღნიშნული ტრადიცია მუზეუმში დაცულ ნამუშევარზე იკონოგრაფიულადაა გადმოცემული. აქ კარგად ჩანს როგორც მრავალრიცხოვანი ჯარი და მანდილოსანთა წყება, ისე ცხოველები, დემონები, ეშმაკეულნი, ფრინველნი, ქვეწარმავალნი და ფერიები.

სოლომონის მსგავსი ფორმით გამოსახვა ისლამურ მხატვრობაში საკმაოდ იშვიათია, მაგრამ მაინც არსებობს. ჩვენ მიერ მიკვლეული მსგავსი ტიპის ყველაზე ძველი გამოსახულება უოლტერის ხელოვნების მუზეუმშია დაცული და ირანელი პოეტის შამს ედდინ მოჰამედ შირაზი ჰაფეზის (1320-1389) ლექსების კრებულის ერთ-ერთ ილუსტრაციას წარმოადგენს. მინიატიურა 1539 წლით თარიღდება.

ისლამური ხელოვნების საუკეთესო ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს მინიატიურა, რომელთაც ილუსტრირებულია ფირდოუსის „შაჰ-ნამეს“ XVI საუკუნის ხელნაწერი, ამავე პერიოდს უნდა განეკუთვნებოდეს მსგავსი სახის კიდევ ერთი ნამუშევარი, ხოლო ბერკლის სამხატვრო მუზეუმსა და კინოარქივში ინახება უცნობი მხატვრის მიერ 1540 წელს შექმნილი მინიატიურა, სადაც აშკარაა ინდური მხატვრობის გავლენა, თუმცა იკონოგრაფიული ტრადიცია ამ შემთხვევაშიც დაცულია. სოლომონის გარშემო ადამიანები, მითური



არსებები და ცხოველები კარგად მოხანან. ფირდოუსის „შაჰ-ნამეში“ სოლომონის მსგავსი სახით წარმოდგენა XVII საუკუნის კიდევ ერთ ხელნაწერშიც გვხვდება.

საინტერესო ნიმუშია ანვარი სუჰაილის ილუსტრაცია, რომელიც 1847 წელს შეუქმნია მირზა რაჰიმს და დაცულია უოლტერსის ხელნაწერში.

ბრუკლინის მუზეუმის აზიური ხელოვნების კოლექციაში ინახება 1875-1900 წლებში ინდოეთში, კერძოდ, დეკანში შექმნილი მინიატიურა, სადაც მეფე სოლომონი და მისი გარემოცვა უკვე ნაცნობი სახითაა წარმოდგენილი. XX საუკუნის ხელოვანთაგან კი ეს სცენა ჯაიპურელმა მხატვარმა ქეილემ რაჯმა ასახა.

ზემოთქმულის გარდა, ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ ამგვარი იკონოგრაფიით ბიბლიური მეფის წარმოსახვას ისლამურ მხატვრობაში „სოლომონი და მისი სასამართლო“ ეწოდება. ამდენად, ცხადია, რომ ჩვენს შემთხვევაშიც იმავე ფაქტთან გვაქვს საქმე და ნახატზე არც სოლომონის ნადიმი და არც რუსტამის ცხოვრება არ არის წარმოდგენილი.

მეორე მნიშვნელოვანი თემა, რომელიც საკითხის კვლევისას წარმოჩნდა, ექსპონატის თავდაპირველი დანიშნულებაა. ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ ნახატი პაპიე-მაშეზეა შესრულებული, რამაც გვაფიქრებინა, რომ თავიდანვე იგი უფრო გამოყენებითი ხელოვნების ნიმუში იყო, ვიდრე კედელზე დასაკიდი ნახატი.

ირანში დასახატავად, არცთუ იშვიათად, პაპიე-მაშე გამოიყენებოდა, მას ხშირად სპარსულ ლაქს უწოდებენ. იგი ფართოდ იყო გავრცელებული XVIII-XIX საუკუნეების ირანში. ამისთვის თხელ ქაღალდს (XIX საუკუნიდან გაზეთს) ხის თავისებურ ფაღბზე ახვევდნენ, მეორე ფენიდან ქაღალდებს ერთმანეთზე განსაკუთრებული წებოთი, ჩირიშით (ირანელი მეწაღეები იყენებდნენ) აკრავდნენ. დაწებებულ მასას არ წნებდნენ, ორი დღის განმავლობაში მზეზე აშრობდნენ. მიღებული მასა გუამით ან აკვარელით იგრუნტებოდა, შემდეგ იხატებოდა და სულ ბოლოს, ფერწერის დასაცავად ლაქით იფარებოდა. ლაქს წიწვოვან მცენარეთა ფისისგან ამზადებდნენ. ასეთი ნამუშევრების ავტორები მხო-



მეფე სოლომონის გამოსახულება ბრუკლინის მუზეუმის აზიური ხელოვნების კოლექციიდან

ჯაიპურელი მხატვრის, ქეილემ რაჯმას ნამუშევარი







*იუველირის ხელსაწყოთა ყუთი ბრიტანეთის მუზეუმის აზიური კოლექციიდან*



ლოდ გამოყენებითი ხელოვნების ოსტატები არ იყვნენ, ისინი ამასთანავე ქმნიდნენ მინიატიურებსა და ფერწერულ ტილოებს. აღსანიშნავია, რომ ასეთი ნამუშევრები დიდი რუდუნებით იქმნებოდა. ზემოთქმული გვაფიქრებინებს, რომ ჩვენ შემთხვევაშიც იმავე მოვლენასთან გვაქვს საქმე, მაგრამ პარალელის პოვნის გარეშე ამაზე ხელაღებით საუბარი ძნელი იქნებოდა. თუმცა ასეთი პარალელი, საბედნიეროდ, მოიძებნა. ბრიტანეთის მუზეუმის აზიურ კოლექციაში დაცულია ექსპონატი, რომელიც მუზეუმისათვის ფრანკ კუკს 1927 წელს უზუქებია. ნივთი იუველირის ხელსაწყოთა ყუთის წარმოადგენს. ექსპონატის აღწერისას ნათქვამია, რომ იგი შესრულებულია დაახლოებით 1840 წელს და დაფარულია ყაჯარული მხატვრობის ნიმუშებით, როცა ირანში სახვითმა ხელოვნებამ ახალ

*ალბერტ და ვიქტორიას მუზეუმი. დაფდაფის დამკვერული*

და გამორჩეულ საფეხურს მიაღწია. ყუთის გვერდებზე მართლაც კარგად მოჩანს ყაჯართა დინასტიის წარმომადგენელთა ბრძოლისა და ნადირობის სცენები, თუმცა ყველაზე საინტერესო რაც არის, ეს გახლავთ მის თავზე შესრულებული კომპოზიცია „სოლომონი და მისი სასამართლო“ და იგი იკონოგრაფიულად ზუსტად იმეორებს ხელოვნების სასახლეში დაცული ნამუშევრის პრინციპებს.

ამდენად, ცხადია, რომ „სოლომონი და მისი სასამართლო“ სცენა ირანში გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშებზეც იხატებოდა. ჩვენი ექსპონატიც, როგორც ჩანს, რომელიმე ასეთი ნივთის ნაწილი იყო და იგი ფრაგმენტის სახით ჯერ პაპუნა წერეთლის, შემდეგ კი ხელოვნების სასახლის კოლექციაში მოხვდა.


პაპუნა წერეთლის კოლექციიდან კიდევ ოთხი საინტერესო ნიმუშია დაცული ჩვენს მუზეუმში. ისინი დათარიღებულია 1800 წლით და აღნუსხულია, როგორც ირანული მინიატიურები.

მცნება „ირანული მინიატიურა“ საკმაოდ ფართოა და იგი შეიძლება მოიცავდეს სპარსული ხელოვნების ისეთ მიმდინარეობებს, როგორცაა: ბუხარის სკოლა, სეფიანთა მხატვრობა, ავშარები, ზენდი და ყაჯარები. ამდენად, ამ შემთხვევაშიც საჭიროა, აღნიშნული მინიატიურები ირანული მხატვრობის კონკრეტულ სკოლას მივაკუთვნოთ. არსებული დათარიღება, მიუხედავად იმისა, რომ წყარო ან მისი მეცნიერული დასაბუთება ჩვენთვის უცნობია, როგორც ჩანს, რეალურია.

1794-1925 წლებში ირანს ყაჯართა დინასტია მართავდა. ეს პერიოდი გარდამტეხად იქცა სპარსულ ფერწერაში. ამ დროს თანდათანობით ხდება გადასვლა სეფიანთა ბრწყინვალე და იმპერიული მხატვრობის სტილიდან უფრო დახვეწილსა და კოლორიტით გამორჩეულ გემოვნებაზე.

XVIII-XIX საუკუნეების სპარსული ხელოვნების ისტორია სამ პერიოდად შეიძლება დაიყოს: ქერიმ ხან ზენდის (1750-1779), ფათჰალი შაჰისა (1797-1834) და ნასრედინ შაჰისა (1848-1896).

შეიძლება ითქვას, ფერთა პალიტრით, კოლორიტითა და შესრულების მანერით გამორჩეულია ფათჰალი შაჰის პერიოდი. ამ დროს სპარსული მხატვრობა ნაციონალური ტრადიციებისკენ შემობრუნდა, თუმცა ირა-



ალბერტ და ვიქტორიას მუზეუმი. აკრობატი (ზემოთ), ღვინის მშენელი (ქვემოთ)







ნულ ფერწერაში დამკვიდრებული მკაცრი კანონიკურობისგან გათავისუფლდა და ფიგურათა წერა უფრო თავისუფალი გახდა, ამიტომ ამ დროის პორტრეტებში კარგად დაინახავთ მანამდე არარსებულსა და შემდეგ განუმეორებელ გრაციოზულ მანერებს. რუსეთის სახელმწიფო ერმიტაჟის კოლექციაში დაცულია მოცეკვავე გოგონას პორტრეტი, რომელიც ყაჯართა დინასტიის პერიოდისაა და XIX საუკუნის პირველი მეოთხედით თარიღდება, ანუ იგი ფათჰ-ალი შაჰის მმართველობის დროს შეიქმნა.

ფათჰ-ალი შაჰის პერიოდში განსაკუთრებით პოპულარული ხდება ქალების თმატიკა. ქალებისა, რომელნიც თითქოსდა აღმოსავლური ბოკემით დამაშვრალან და ფუფუნებით განებივრებულან. ალბერტ და ვიქტორიას მუზეუმში ამ სერიის უნიკალური კოლექციაა დაცული. ამ პორტრეტებზე ვხედავთ აკრობატს, თარზე დამკვრელს, ღვინის მსმელს, ტკბილეულის დამტარებელს, დაფდაფის დამკვრელს, გოგონას დოლით ხელში, ქამანჩაზე მომღერალს და სხვ. ნახატები 1800-1830 წლებით თარიღდება.

საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ ფათჰ-ალი შაჰის პერიოდში ქალებს უმთავრესად ცეკვის, აკრობატული სცენებისა თუ მუსიკალურ ინსტრუმენტებზე დაკვრისას გამოსახავენ. გარდა ამისა, ამ პერიოდის ნახატებსა თუ მინიატიურებში ხშირად ემატება დეკორატიული ელემენტები. მდიდარ და გავლენიან პირთა პორტრეტებზე გამოისახება თავსამკაულები, ტანსაცმლის დეტალები, მათ შორის დიდი ყურადღება ექცევა მარგალიტებითა და ძვირფასი ქვებით მორთულობას.

ამდენად, უდავოა, რომ ჩვენს მუზეუმში დაცულ მინიატიურებშიც იგივე მეორდება. აქაც ოთხივე ქალი მდიდრულადაა შემოსილი, ვირტუოზულადაა შესრულებული მათი ტანსაცმლის უმცირესი დეტალიც კი და რაც მთავარია, ყველა მათგანი ერთობა, ანუ უკრავს. ეს ტენდენცია კი ყაჯართა მხატვრობისა და განსაკუთრებით ფათჰ-ალი შაჰის პერიოდისთვისაა დამახასიათებელი. თუმცა საყურადღებოა ერთი გარემოება, როგორც ჩანს, აღნიშნულ პერიოდში დიდი ზომის ფერწერული

*საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმში დაცული მინიატიურები*

ტილოების პარალელურად, იქმნება მინიატიურებიც. ეს უკანასკნელნი ფერწერული ნამუშევრების თავისებური ინტერპრეტაციაა.

ჩვენ მიერ გამოთქმული ვარაუდის დასტურად ერთ მაგალითს წარმოგიდგენთ: დღემდე შემორჩენილია მრავალგზის ნახსენები ფათქალი შაჰის ფერწერული ტილო, თუმცა ასევე არსებობს მისი ვარიაცია მინიატიურის სახით, რომლის ავტორიც მხატვარ მიჰრ ალის მოსწავლე აჰმადია.

ამდენად, ვფიქრობთ, რომ საქართველოს ხელოვნების სასახლეში დაცული მინიატიურები ერმიტაჟისა და ალბერტ და ვიქტორიას მუზეუმის კოლექციებში წარმოდგენილი საქვეყნოდ განთქმული ტილოების ვარიაციებია და თანადროულ პერიოდშია დახატული, ანუ ფათქალი შაჰის ზეობის დროსაა შექმნილი.

ჩვენს ვარაუდს კიდევ ერთი გარემოება ამყარებს: თეირანში, რეზა აბასის მუზეუმში დაცულია ზემოხსენებული შაჰის პორტრეტი, იგი XIX საუკუნითაა დათარიღებული და რუსეთის ერმიტაჟში ექსპონირებული ყაჯარი ხელმწიფის დიდი ზომის ფერწერული ტილოს ქალაღზე გადმოტანილ ვარიაციას წარმოადგენს. განსაკუთრებით კი საყურადღებოა ის გარემოება, რომ რეზა აბასის მუზეუმის მინიატიურა და ხელოვნების სასახლის კოლექციის ნიმუშები ერთმანეთს იმდენად ჰგავს, რომ ჩნდება ცდუნება, ისინი ერთი ავტორის შექმნილად მიიჩნიო. მსგავსება თვალნათელია ხატვის მანერაში, ფერთა გამაში, ტანსაცმლის ნაკვეთების დრაპირების გადმოცემისას, სამკაულების გამოსახვისას. ამდენად, საკითხის სრულ შესწავლამდე შეგვიძლია გამოეთქვათ ფრთხილი ვარაუდი, რომ აბასის მუზეუმის ექსპონატი და ჩვენი ნიმუშები ერთი ავტორის ნახელავს ან ერთ კოლექციას წარმოადგენდა. ცხადია ის გარემოებაც, რომ საქართველოში დაცული მინიატიურები ყაჯარული მხატვრობის საუკეთესო ეპოქის გამორჩეულ ნიმუშებს წარმოადგენს და ისინი ფათქალი შაჰის ზეობის პერიოდს, უფრო კი 1800-1835 წლებს უნდა განეკუთვნებოდეს.

**გიორგი კალანდია**

*თეირანში, რეზა აბასის მუზეუმში დაცული ფათქალი შაჰის პორტრეტი, საერაულოდ, უნდა იყოს შესრულებული იმავე ავტორის მიერ, რომელსაც ეკუთვნის საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმში დაცული მინიატიურები*



*საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმში დაცული მინიატიურა*





# ისტორიანი

## წლისა



# საუკეთესო

იანვრიდან შურნალს დაემატა 32 გვერდი.  
ფასი გახდა 3 ლარი.

# ისტორიების ამსრობელი





# საჯანთომ ხუნძზე

ჩვენი ქვეყნის ისტორიული ტერიტორიის გადანაწილება  
დიდ იმპერიებს შორის (1700-1921)

*ოთხი საუკუნის განმავლობაში – 1514 წლიდან (ირან-ოსმალეთის ომების დაწყებიდან) 1914 წლამდე (პირველ მსოფლიო ომამდე), სამწუხაროდ, საქართველოსთვის გარე სამყაროს ირანი, ოსმალეთი და რუსეთი წარმოადგენდა. ობიექტური მიზეზების გამო ვეროპის სახელმწიფოები სამხრეთ კავკასიის (ამიერკავკასიის) საქმეში ვერ ერეოდნენ. საქართველოსა და ქართველობის ბედი ირან-ოსმალეთ-რუსეთის დაპირისპირებაში წყდებოდა.*

XVI საუკუნის დამდეგიდან დაიწყო ირან-ოსმალეთის ომები, რომელიც საუკუნეზე მეტხანს გაგრძელდა. ამ ომების ერთ-ერთ მიზანს სამხრეთ კავკასიაში გაბატონება წარმოადგენდა. საქართველოს ისტორიულ ტერიტორიაზე ერთმანეთს დაუპირისპირდა ორი იმპერია – ირანი და ოსმალეთი. ირან-ოსმალეთის ომების შემდეგ დგინდებოდა სახელმწიფოთა საზღვრები, რომელიც ძალაში იყო ახალ ომამდე. შემდეგ ყველაფერი თავიდან იწყებოდა. სხვა ტერიტორიებთან ერთად, ირანი და ოსმალეთი ინაწილებდნენ საქართველოს ისტორიულ ტერიტორიასაც. საქართველოს ტერიტორიას შეეხო ირან-ოსმალეთის ომების შედეგად დადებული შემდეგი ხაზები: ამასიის (1555 წლის 29 მაისი), სტამბოლის (1590 წლის 21 მარტის, 1612 წლის 20 ნოემბრის და 1619 წლის), სერათისა (1618 წელი) და ზოჰაბის (1639 წლის 17 მაისი).

XVII საუკუნის მიწურულიდან და XVIII საუკუნის დამდეგიდან სამხრეთ კავკასიაზე პრე-

*ქავთა ციხე  
ისტორიულ ტაო-კლარჯეთში*





ტენზია გამოაცხადა მესამე დამპყრობელმა – რუსეთმა. ამიერიდან საქართველოს ისტორიულ ტერიტორიაზე გაბატონებისთვის ერთმანეთს უპირისპირდება სამი იმპერია – ირანი, ოსმალეთი და რუსეთი. საქართველოს ისტორიულ ტერიტორიას შეეხო რუსეთ-ოსმალეთისა და რუსეთ-ირანის შემდეგი ზავები: რუსეთ-ოსმალეთის სტამბოლის ზავი (1700 წლის 3 ივლისი), რუსეთ-ირანის პეტერბურგის ზავი (1723 წლის 12 სექტემბერი), რუსეთ-ოსმალეთის სტამბოლის ზავი (1724 წლის 12 ივნისი), რუსეთ-ირანის რეშტის ზავი (1729 წლის 13 თებერვალი), ირან-ოსმალეთის ჰამადანის ზავი (1731 წელი), რუსეთ-ირანის რეშტის ზავი (1732 წლის 21 იანვარი), რუსეთ-ირანის განჯის ზავი (1735 წლის 10 მარტი), რუსეთ-ოსმალეთის ბელგრადის ზავი (1739 წლის 18 სექტემბერი), რუსეთ-ოსმალეთის ქუჩუკ-კაინარჯის ზავი (1774 წლის 10 ივლისი), რუსეთ-ოსმალეთის აისის ზავი (1791 წლის 29 დეკემბერი).

XIX საუკუნის დამდეგს საქართველოს ისტორიული ტერიტორიისთვის ირან-ოსმალეთ-რუსეთის ბრძოლა რუსეთის გამარჯვებით დასრულდა. დასუსტებულმა ირანმა და ოსმალეთმა წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს მათზე გაცილებით ძლიერ რუსეთს. სამხრეთ კავკასიაში დამკვიდრებით რუსეთი ხელსაყრელ პლაცდარმს ჰქმნიდა მახლობელ აღმოსავლეთში გასაჭრელად. ცხადია, ეს სულაც არ შედიოდა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა გეგმებში. მიუხედავად ამისა, ობიექტური მიზეზების გამო დასავლეთ ევროპის სახელმწიფოები წინ ვერ აღუდგნენ რუსეთის შეჭრას სამხრეთ კავკასიაში. ირანის, ოსმალეთისა და დასავლეთ ევროპის დიდი სახელმწიფოების გაერთიანება რუსეთის წინააღმდეგ წარმოუდგენლად ძნელი აღმოჩნდა. ყოველივე ამით კარგად ისარგებლა რუსეთის იმპერიამ და ქართული სამეფო-სამთავროები დაიპყრო. რუსეთის გამარჯვებას ვერ ეგუებოდნენ ირანი და ოსმალეთი. დაიწყო რუსეთ-ირანისა და რუსეთ-ოსმალეთის ომების სერია. ეს ომები რუსეთის უპირატესობით მიმდინარეობდა. დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებმა ვერც ამჯერად აღმოუჩინეს რეალური დახმარება ირანსა და ოსმალეთს. ირან-რუსეთის ომების ასპარეზი სამხრეთ კავკასია იყო. რაც შეეხება რუსეთ-ოსმალეთის დაპირისპირებას, იგი გაცილებით ფართომასშტაბიანი გახლდათ და





თურქული  
სიმაგრის, აზოვის  
ალფა. ადრიან  
შონებეკის  
გრაფიურა

მოიცავდა ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთსა და ბალკანეთის ნახევარკუნძულს. რუსეთ-ოსმალეთის დაპირისპირებაში სამხრეთ კავკასია, და შესაბამისად საქართველოს ისტორიული ტერიტორია, ყოველთვის მეორე რიგის პრობლემად მიიჩნეოდა. რუსეთისა და ოსმალეთისთვის პირველხარისხოვანი ჩრდილოეთ შავი ზღვისპირეთსა და ბალკანეთში წარმატების მოპოვება გახლდათ.

XIX საუკუნეში რუსეთ-ირანისა და რუსეთ-ოსმალეთის ომების შედეგად დადებული ზავები საქართველოს ისტორიულ ტერიტორიასაც შეეხო. ეს ზავებია: რუსეთ-ოსმალეთის ბუქარესტის ზავი (1812 წლის 16 მაისი), რუსეთ-ირანის გულისტანის ზავი (1813 წლის 12 ოქტომბერი), რუსეთ-ირანის თურქმანჩაის ზავი (1828 წლის 10 თებერვალი), რუსეთ-ოსმალეთის ადრიანოპოლის ზავი (1829 წლის 2 სექტემბერი), რუსეთ-საფრანგეთ-ინგლის-ოსმალეთ-სარდინიის პარიზის ზავი (1853 წლის 18 მარტი), რუსეთ-ოსმალეთის სან-სტეფანოს ზავი (1878 წლის 19 თებერვალი), რუსეთ-ოსმალეთის ლონდონის შეთანხმება (1878 წლის 18 მაისი), რუსეთ-გერმანია-ავსტრია-უნგრეთ-საფრანგეთ-ინგლის-იტალია-ოსმალეთის ხელშეკრულება – ბერლინის ტრაქტატი (1878 წლის 1-ელი ივლისი), რუსეთ-ოსმალეთის სტამბოლის ხელშეკრულება (1879 წლის 27 იანვარი).

1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუცი-

ის შედეგად რუსეთის იმპერია დაინგრა. 1918 წლის 26 მაისს აღდგა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. ამ დროიდან მოყოლებული დასავლეთ ევროპის დიდი სახელმწიფოები აქტიურად ერევან სამხრეთ კავკასიის საქმეებში, თუმცა აქტიური პოლიტიკის წარმოებას ხელს უშლიდა პირველი მსოფლიო ომი, რომლის დასრულების შემდეგ (1918 წლის 11 ნოემბერი) დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების (გამარჯვებული ანტანტის) პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში უფრო თანამიმდევრული ხდება.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისთვის (1918-1921 წწ.) უპირველეს ამოცანად რჩებოდა ურთიერთობის მოგვარება უშუალო მეზობლებთან – საბჭოთა რუსეთსა და ოსმალეთთან. ამ დროის საზავო ხელშეკრულებებიდან საქართველოს ისტორიულ ტერიტორიას შეეხო შემდეგი ზავები: რუსეთ-გერმანია-ავსტრია-უნგრეთ-ბულგარეთ-ოსმალეთის ბრესტ-ლიტოვსკის ზავი (1918 წლის 3 მარტი), საქართველო-ოსმალეთის ბათუმის ხელშეკრულება (1918 წლის 4 ივნისი), საქართველო-რუსეთის მოსკოვის ხელშეკრულება (1920 წლის 7 მაისი).

პირველი მსოფლიო ომის შემდგომ შექმნილ საერთაშორისო ვითარებაში საბჭოთა რუსეთმა მიაღწია დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების მიერ სამხრეთ კავკასიის თავისი

გაგლენის სფეროდ აღიარებას. აზერბაიჯანისა და სომხეთის დაპყრობის შემდეგ, 1921 წელს თებერვალ-მარტის ომის შედეგად საბჭოთა რუსეთმა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა დაიპყრო. სამხრეთ კავკასიაში რუსეთის მობრუნება აუცილებელს ხდიდა რუსეთისა და ოსმალეთის საზღვრების ხელახლა დადგენას. ცხადია, რუსეთსა და ოსმალეთს შორის დავის საგანი გახდებოდა საქართველოს ისტორიული ტერიტორია. საქართველოს ისტორიული ტერიტორიის გადანაწილების საკითხს შეეხო შემდეგი ხელშეკრულებები: მოსკოვის ხელშეკრულება (1921 წლის 16 მარტი) და ყარსის ხელშეკრულება (1921 წლის 13 ოქტომბერი).

\* \* \*

### 1. რუსეთ-ოსმალეთის 1700 წლის 3 ივლისის საზავო ხელშეკრულება (სტამბოლის ტრაქტატი)

XVII საუკუნის დამლევს რუსეთმა პირველი ნაბიჯები გადადგა ჩრდილოეთ შავი ზღვისპირეთის დაპყრობის მიზნით. ამ პერიოდისთვის აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ შავი ზღვისპირეთი ოსმალეთს ეპყრა. ოსმალეთის გარნიზონები იდგა აჭარის, გურიის, სამეგრელოსა და აფხაზეთის სანაპიროზე: ბათუმში, ციხისძირში, შეკვეთილში, ფოთში, ანაკლიაში, სოხუმში, ანაკოფიაში და სხვ., ჩრდილოეთ შავი ზღვისპირეთსა და აზოვისპირეთში: ანაპაში, აზოვში, ტაგანროგში, ენიკალეში, ქერჩში, კაფაში, სუდაკში, ბალაკლავაში, იკერმანში, პერეკოპში, ოჩაკოვში, კინბურნში და სხვ. ყირიმის ხანი ოსმალეთის ვასალი იყო.

ჯერ კიდევ პეტრე I-ის (1689-1725) მცირეწლოვნების დროს, 1695 წელს, რუსეთის ერთი არმია კაზაკების ჯართან ერთად მდინარე დნეპრის შესართავისაკენ, ხოლო მეორე არმია მდინარე დონის შესართავისაკენ გაემართა. პირველმა არმიამ დნეპრის ქვემო წელზე ოსმალთა მიერ აგებული ორი ციხესიმაგრე აიღო და ორიც დაანგრია. მეორე არმიამ აზოვის ციხესიმაგრეს მიაღწია, მაგრამ ვერ აიღო. აზოვის აღებისათვის აუცილებელი იყო სამხედრო ფლოტი. 1696 წელს რუსეთის სამხედრო ფლოტმა ზღვიდან აზოვის ბლოკირება მოახდინა, ოსმალებმა ციხესიმაგრე ჩააბარეს. ამის შემდეგ ომი დროებით შეწყდა.

1699 წლის აგვისტოში რუსეთის სამხედრო ესკადრა ფრეგატ „კრეპოსტის“ მეთაურობით ქერჩის სანაპიროსთან გამოჩნდა და მალე სტამბოლისაკენ გაცურა. სტამბოლში რუსეთსა და ოსმალეთს შორის დაიწყო საზავო მოლაპარაკება. საზავო ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს 1700 წლის 3 ივლისს. სტამბოლის ზავით (ტრაქტატი) აზოვის ზღვის სანაპირო აზოვის ციხესიმაგრითურთ რუსეთს გადაეცა.

რუსეთ-ოსმალეთის 1700 წლის 3 ივლისის სტამბოლის ზავი (ტრაქტატი) საქართველოს არ შეეხებია. სტამბოლის ზავი ჩვენთვის სხვა მხრივაც საყურადღებო. საზავო ხელშეკრულების პრეამბულაში პეტრე I-ის ტიტულატურის ჩამონათვალში იგი იხსენიება, როგორც „ივერიის ქვეყნის, ქართლისა და საქართველოს მეფეების მბრძანებელი და ხელმწიფე“. ცხადია, ამას ოსმალეთი იმიტომ დაეთანხმა, რომ „ივერიაში“, „ქართლსა“ და „საქართველოში“ საზავო ხელშეკრულების დამდები მხარეები არ გულისხმობდნენ: იმერეთის სამეფოს, სამცხე-საათაბაგოს, სამეგრელოს, გურიისა და აფხაზეთის სამთავროებს, სადაც იმხანად ოსმალეთის გარნიზონები იდგა. „ივერიაში“, „ქართლსა“ და „საქართველოში“ ქართლისა და კახეთის სამეფოები იგულისხმებოდა, რომლებიც მაშინ ირანის გაგლენის სფეროდ (ვასალად) მიიჩნეოდა.

ქართლის მეფე ვახტანგ VI







ოტომანების დროინდელი სტამბოლი

\* \* \*

## 2. რუსეთ-ირანის 1723 წლის 12 სექტემბრის საზავო ხელშეკრულება (პეტერბურგის ტრაქტატი)

XVIII საუკუნის 20-იანი წლების დამდეგს რუსეთის იმპერატორმა პეტრე I-მა აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში დამკვიდრებისთვის ბრძოლა დაიწყო. რუსეთის მოკავშირედ გამოვიდა ქართლის მეფე ვახტანგ VI. რუსეთისა და ქართლის გაერთიანებულ სამხედრო ძალას აღმოსავლეთ ამიერკავკასიიდან ირანის განდევნა ნამდვილად შეეძლო, მაგრამ აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში რუსეთის დამკვიდრებას არასვხით არ შეურიგდებოდა ოსმალეთი. ყოველივე ეს კარგად იცოდა პეტრე I-მა, ამიტომაც რუსეთის იმპერატორი ცდილობდა, აღმოსავლეთ ამიერკავკასია (კასპიისპირეთი) ისე დაეკავებინა, რომ ოსმალეთთან ომში არ ჩაბმულიყო.

1722 წლის აგვისტოში ასტრახანში განლაგებულმა რუსეთის არმიამ კასპიისპირეთში ლაშქრობა დაიწყო. ვახტანგ VI ქართველთა და სომეხთა ლაშქრით (40 ათასი კაცი) განჯაში იდგა. ვახტანგ VI კასპიისპირეთში შეჭრილ რუსეთის არმიას შემახასთან უნდა შეერთებოდა, საიდანაც ბაქოსკენ უნდა დაძრულიყვნენ.

1723 წლის 23 აგვისტოს რუსებმა დარუ-

ბანდს მიაღწიეს. პეტრე I-მა დარუბანდი დაიკავა და იქ გარნიზონი ჩააყენა, მაგრამ ლაშქრობა აღარ გაუგრძელებია. რუსები ასტრახანში დაბრუნდნენ.

პეტრე I-ს ირანის წინააღმდეგობისა არ ეშინოდა (იმ დროს მის დედაქალაქს ავღანელები უტევდნენ). რუსეთის იმპერატორს ოსმალეთის პოზიცია აფიქრებდა. რუსთა ლაშქრობის შეწყვეტამ ვახტანგ VI მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო. 1723 წლის მაისში კახეთის გამაჰმადიანებულმა მეფემ კონსტანტინემ ირანის თანადგომით თბილისი დაიკავა. ოსმალეთის სულთანმა მიიჩნია, რომ ირანი რუსეთს ვერ გაუძღვრებოდა და სამხრეთ კავკასიაში საომარი მოქმედებები დაიწყო. 1723 წლის ივნისში ოსმალებმა თბილისი დაიკავეს, რითაც დაირღვა ირან-ოსმალეთის 1639 წლის 17 მაისის ზოპაბის ზავი.

პეტრე I-მა კასპიისპირეთში ლაშქრობა განაახლა. ჯერ კიდევ 1722 წლის ნოემბერში რუსები ენზელის ყურეს მიაღწენ და მალე რეშტიც დაიკავეს. 1723 წლის 28 ივლისს რუსებმა ბაქო აიღეს, ხოლო წლის ბოლოსთვის მდინარე მტკვრის შესართავთან მდებარე სალიანი დაიკავეს.

1723 წლის 12 სექტემბერს პეტერბურგში რუსეთსა და ირანს შორის დაიდო საზავო ხელშეკრულება (ტრაქტატი). პეტერბურგის ტრაქ-

ტატის მეორე მუხლის ძალით რუსეთს გადაეცა: დერბენტი და ბაქო მიმდებარე ტერიტორიებით კასპიის ზღვის სანაპიროზე, გილანის, მაზანდარანისა და ასტრახადის პროვინციები.

მიუხედავად იმისა, რომ პეტერბურგის ტრაქტატი ირანისთვის მეტად მძიმე მდგომარეობაში დაიღო, რუსეთის იმპერატორს, პეტრე I-ს თავი არ გამოუღვია მისგანვე მიტოვებული მოკავშირის, ქართლის მეფის ვახტანგ VI-ის დასაცავად. ცხადია, პეტრე I-ს შეეძლო მიეღწია მის მიერ ქართლის მეფედ ვახტანგის აღიარებისთვის, მაგრამ რუსეთის იმპერატორს ოსმალეთის პოზიცია აფიქრებდა. პეტერბურგის ტრაქტატის დადების დროისთვის (1723 წლის სექტემბერი) თბილისსა და ქართლს ოსმალეთი ფლობდა. ასე რომ, ქართლის მეფედ ვახტანგ VI-ის აღიარება გაართულებდა რუსეთ-ოსმალეთის ურთიერთობას.

პეტერბურგის ტრაქტატით რუსეთმა არაპირდაპირ, მაგრამ ფაქტობრივად, აღიარა ოსმალეთის მიერ ქართლის დაპყრობა.

\* \* \*

### 3. რუსეთ-ოსმალეთის 1724 წლის 12 ივნისის საზავო ხელშეკრულება (სტამბოლის ტრაქტატი)

1722-1723 წლებში რუსეთის მიერ კასპიისპირეთის დაკავებამ, განსაკუთრებით კი 1723 წლის 12 სექტემბრის რუსეთ-ირანის პეტერბურგის საზავო ხელშეკრულებამ (ტრაქტატმა) ოსმალეთის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. ოსმალეთისთვის არაფერს ნიშნავდა, რომ შაჰმა არ ცნო მისი ელჩის მიერ პეტერბურგში ხელმოწერილი საზავო ხელშეკრულება (ტრაქტატი). რუსეთმა სამხრეთ კავკასიაში ფეხი მოიკიდა და ცხადია, კიდევ მეტის მიღწევას შეეცდებოდა. რუსეთსა და ოსმალეთს შორის საქმე ომამდე არ მისულა, კონფლიქტი დიპლომატიური გზით მოგვარდა. 1724 წლის 12 ივნისს სტამბოლში ხელი მოეწერა რუსეთ-ოსმალეთის ხელშეკრულებას (ტრაქტატს).

რუსეთ-ოსმალეთის 1724 წლის 12 ივნისის სტამბოლის ხელშეკრულებით (ტრაქტატით) ოსმალეთმა აღიარა კასპიისპირეთის რუსეთის ხელში გადასვლა. ამავე დროს ოსმალეთმა უარი თქვა მთელი ირანის დაპყრობაზე. სამაგიეროდ, რუსეთმა აღიარა ქართლისა და კახეთის სამეფოების ოსმალეთის ხელში გადასვლა.

რუსეთის იმპერატორმა პეტრე I-მა 1724

წლის 12 ივნისის სტამბოლის ხელშეკრულებით უკვე მეორედ და, რაც მთავარია, აშკარად გაწირა თავისი მოკავშირე, ქართლის მეფე ვახტანგ VI. თუ რუსეთ-ირანის 1723 წლის 12 სექტემბრის პეტერბურგის საზავო ხელშეკრულებამ (ტრაქტატმა) ვახტანგ VI-ის ინტერესები სავსებით უგულვებელყო, რუსეთ-ოსმალეთის 1724 წლის 12 ივნისის ხელშეკრულებამ (ტრაქტატმა) დაადასტურა ქართლის სამეფოს, ისე როგორც კახეთის სამეფოს, ოსმალეთის ხელში გადასვლა.

ირანისა და ოსმალეთისგან ერთდროულად დევნილი ქართლის მეფე ვახტანგ VI რუსეთში გადაიხვეწა.

რუსეთ-ოსმალეთის 1724 წლის 12 ივნისის სტამბოლის ხელშეკრულების (ტრაქტატის) დადების შემდეგ მთელი საქართველო ოსმალეთის ხელში აღმოჩნდა.

#### პასტანგ გურული

(გაგრძელება იქნება)

რუსეთის პირველი იმპერატორი პეტრე I







# როგორ მოსთხოვეს ქართველებმა ავტონომია რუსეთის იმპერიას ოფიციალურად

## სოციალისტ- ფედერალისტების პარტია

ქართველ  
პოლიტიკოსთა ბალერაა

ბოლო 20-25 წლის განმავლობაში საქართველოში მრავალპარტიული სისტემის სპეცი-  
ფიკური ფორმა დამკვიდრდა. პოლიტოლოგიურ ლიტერატურაში ამ ფორმას ატომისტურს  
უწოდებენ. პოლიტიკური პარტიების სიმრავლემ ისეთ ზღვარს მიაღწია, რომ პარტიათა შექმ-  
ნის პროცესმა დაკარგა პოლიტიკური ლოგიკა და ფაქტობრივად, წვრილი საძმოების, კლანების  
შექმნის პროცესად გარდაიქმნა.

ამგვარი ანომალიის მიზეზის დასადგენად, რამაც ოცწლეულის დრამაში არცთუ უმნიშ-  
ვნელო როლი შეასრულა, თვალი გადავავლოთ ქვეყანაში პოლიტიკური პარტიების ადრეულ  
ისტორიას. როდის წარმოიქმნენ საქართველოში პარტიები; რა ნიშნით იქმნებოდნენ; რა იყო  
მათი მიზნები, რა საშუალებებით იბრძოდნენ მათ განსახორციელებლად და საზოგადოდ, რა  
როლი შეასრულეს ქვეყნის ისტორიაში XX საუკუნის პირველ მეოთხედში. აგრეთვე, რა მემკვი-  
დრეობა დაუტოვეს მაშინდელმა პოლიტიკურმა პარტიებმა დღევანდელ ქართველ საზოგა-  
დოებას და პოლიტიკურ ელიტას?

თუ მართებულია ფორმულა, რომელიც ამ 23 წლის წინ კიდევ ერთხელ გაიმეორა მალკოლმ  
პოგარდმა, რომ ისტორიკოსის ფუნქცია „წარსულის შესწავლით აწმყოს გაგების გაადვილე-  
ბაა“, მაშინ ქართული მრავალპარტიულობის გამოცდილების გაცნობა, ალბათ, გაგვიადვილებს  
თანამედროვე მრავალპარტიული დემოკრატიის პრობლემების უკეთ გააზრებას.

\* \* \*

1890-იან წლებში საქართველოს საზოგა-  
დობრივ ასპარეზზე ახალგაზრდა მოღვაწე-  
თა მთელი თაობა გამოვიდა. ეს იყო ქართველ  
თერგდალეულთა ეროვნულ და სოციალურ  
იდევებზე აღზრდილი თაობა. სწორედ ოთხმოც-  
დაათიანელთა წარმომადგენლებმა ჩაუყარეს  
საფუძველი XX საუკუნის ზღურბლზე წარ-  
მოქმნილ პოლიტიკურ პარტიებს.

რუსეთის იმპერიაში პოლიტიკური პარტი-  
ის ორგანიზება რთული და სახიფათო წამოწ-  
ყება იყო, რის გამოც წლობითაც ჭინურდ-  
ებოდა. ამისი მაგალითი თვით სოციალისტ-ფე-  
დერალისტთა პარტიის ჩამოყალიბებაა, რაც  
ათ წელიწადს გრძელდებოდა.

1894 წელს ციმბირის გადასახლებიდან დაბ-  
რუნდა ყოფილი ხალხოსანი-რევოლუციონე-  
რი გიორგი ლასხიშვილი. ერთი წლის შემდეგ

მან მუშაობა დაიწყო გაზეთ „ივერიაში“. სულ მალე მის გარშემო თავი მოიყარა ახალგაზრდა პატრიოტ-რადიკალების ჯგუფმა, რომელშიც შედიოდნენ კიტა აბაშიძე, გიორგი დეკანოზიშვილი, ილია ნაკაშიძე, ვასილ წერეთელი და სხვანი. ესენი იყვნენ ე.წ. ახალგაზრდა ივერიელები, რომელთა ოცნება ავტონომიის ფორმით ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენა იყო. მიუხედავად იმისა, რომ მათ რადიკალიზმს არ იზიარებდა, ილია ჭავჭავაძემ ფართოდ გაულო კარი ახალგაზრდა ივერიელებს და მალე თითქმის მთლიანად გადააბარა მათ თავისი გაზეთი. ილიამაც და მისმა ახალგაზრდა მიმდევრებმა შესაბამისი რეაქცია ხელისუფლებისგან მალე მიიღეს — 1896 წლის მაისში იმპერიის ხელისუფლებამ „ივერიის“ გამოცემა რვა თვით აკრძალა. ახალგაზრდა ივერიელები აქეთ-იქით დაიფანტნენ. პატრიოტ-ავტონომისტების კონსოლიდირების პირველი ცდა მარცხით დასრულდა.

1900 წლიდან ყოფილი ახალგაზრდა ივერიელები გაზეთ „ცნობის ფურცლის“ გარშემო იყრიან თავს. ავტონომისტების რიგებს ავსებენ მომავალი პარტიის წამყვანი აქტივისტები. 1901 წლიდან „ცნობის ფურცელში“ ქვეყნდება არჩილ ჯორჯაძის წერილების სერია. ახალგაზრდა პუბლიცისტი ილია ჭავჭავაძის, ნიკო ნიკოლაძისა და სხვა მოღვაწეთა ნააზრვეის სინთეზის გზით აყალიბებს ახალ თეორიულ სისტემას, რომელიც საერთო მოქმედების ნიადაგის თეორიის სახელით გახდება ცნობილი. ხუთპუნქტიანი პროგრამის გარშემო არჩილ ჯორჯაძე ერთობლივი მოქმედებისკენ მოუწოდებს საქართველოში არსებულ პოლიტიკურ მიმდინარეობებს.

1901 წლის შემოდგომაზე ავტონომისტებმა პოლიტიკური პარტიის ორგანიზება გადაწყვიტეს. აზრი ორად გაიყო. ძველი მოღვაწეები უფრო მიზანშეწონილად მიიჩნევდნენ, ახალი ქართული პარტია რუს სოციალისტ-რევოლუციონერთა ძლიერ პარტიაში გაერთიანებულიყო. ამ აზრს მკვეთრად დაუპირისპირდნენ ახალგაზრდები, რომელთა პოზიციას გამოხატავდა ვლადიმერ ლორთქიფანიძე: „რას ჰკავს ეს! რუსეთისგან გინდათ თავი გაინთავისუფლოთ და რუსულ პარტიას ემორჩილებით! რომელი რუსული პარტია იქნება გულწრფელი მომხრე საქართველოს განთავისუფლებისა?“ ახალგაზრდებმა თავისი გაიტანეს



არჩილ  
ჯორჯაძე



გიორგი  
ლასხიშვილი



გიორგი  
დეკანოზიშვილი





სოციალისტ-ფედერალისტების დამაარსებელთა და შენევის კონფერენციის მონაწილეთა ჯგუფი: ალექსანდრე ვაზუნია, გიორგი ვოგელია, ვარლამ ჩერქეზიშვილი, არჩილ ჯორჯაძე, გიორგი დეკანოზიშვილი, მიხაკო წერეთელი



იოსებ ბარათაშვილი (ზის მარცხნიდან პირველი). აგრეთვე სხედან (მარცხნიდან მარჯვნივ): ნოე ჟორდანი, მ.ს. ჯაფარიძე, ისიდორე რამიშვილი; დგანან მარცხნიდან მარჯვნივ: ივანე გომართელი, ირაკლი წერეთელი

და იმავე წელს შექმნეს ჯერ კიდევ ბოლომდე ჩამოუყალიბებელი პარტიის მთავარი კომიტეტი, რომელშიც ხუთი კაცი აირჩიეს: გიორგი ლასხიშვილი, არჩილ ჯორჯაძე, ვლადიმერ ლორთქიფანიძე, გიორგი და ანდრია დეკანოზიშვილები.

ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, მკაცრი კონსპირაციის პირობებში ხდებოდა. მათი მიზნების შესახებ ფართო საზოგადოებამ ჯერ კიდევ არაფერი იცოდა. ლეგალური პრესა მათი პროგრამის საქვეყნოდ გამოცხადების საშუალებას არ იძლეოდა. ამიტომ კომიტეტმა არჩილ ჯორჯაძე და გიორგი დეკანოზიშვილი საზღვარგარეთ გაგზავნა თავისუფალი გაზეთის დასაარსებლად, რომელიც ქართველ ხალხამდე მიიტანდა მათ მიზნებსა და გეგმებს.

და აი, 1903 წლის 1-ელ მაისს, პარიზში გამოვიდა ახალი ქართული თავისუფალი გაზეთი „საქართველო“. პირველივე ნომერში გაზეთმა წამოაყენა ქართული სახელმწიფოს აღდგენის მოთხოვნა და მიზანი. გაზეთის აზრით, ქართული სახელმწიფო თავდაპირველად უნდა შექმნილიყო ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიის ფორმით, რომელიც შევიდოდა რუსეთის კონფედერაციის შემადგენლობაში. ორკვირული „საქართველო“ 1903-1905 წლებში გამოდიოდა და მის ფურცლებზე დასაბუთდა ეროვნული სახელმწიფოს პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური საფუძვლები.

რაც მთავარია, არჩილ ჯორჯაძისა და გიორგი დეკანოზიშვილის დიდი ძალისხმევით, ქართულთან ერთად გამოვიდა „საქართველოს“ ფრანგულენოვანი დამატება, გაზეთი „ლა შეორჟი“. როგორც სამართლიანად აღნიშნავდა თედო სახოკია, ფრანგული გაზეთი გაერცვლდა „ევროპის მოწინავე საზოგადოებაში. უკვე შეიქნა ლაპარაკი საქართველოზე, ქართველ ხალხზე. ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა ევროპულ პრესაში ჩვენი ქვეყანა გამოჩნდა და მის პოლიტიკურ უფლებებზე ხმა გაისმა“.

არჩილ ჯორჯაძე და მისი თანამებრძოლები ახლა გაზეთ „საქართველოს“ ფურცლებიდან მოუწოდებდნენ საქართველოში მოქმედ პოლიტიკურ დაჯგუფებებს, შეთანხმებულიყვნენ ეროვნულ საკითხში და ერთობლივად ებრძოლათ სახელმწიფოებრიობის აღდგენისთვის. ავტონომისტებმა გადაწყვიტეს შეექმნათ ისეთი პოლიტიკური პარტია, რომელიც ბლოკის

სახით გააერთიანებდა სხვადასხვა პარტიულ ფრაქციას. ამ მიზნით „საქართველოს“ რედაქციის ინიციატივით 1904 წლის 1-ელ აპრილს, ქენევაში გაიმართა საზღვარგარეთ მყოფი ქართული პოლიტიკური მიმდინარეობებისა და დაჯგუფებების პირველი კონფერენცია. მასში მონაწილეობდნენ თვით ავტონომისტები, ეროვნულ-დემოკრატები, ესერები, ანარქისტები და უპარტიოებიც. ეს იყო ფაქტობრივად პირველი ქართული ინტერპარტიული კონფერენცია, რომლის მუშაობაში ფსევდონიმებით მონაწილეობდნენ: ავტონომისტ-საქართველოისტები: საბუელი (არჩილ ჯორჯაძე), ქართლელი (გიორგი დეკანოზიშვილი), საგარაუდოდ, ცანგალა (თედო საზოკია) და ლიახველი (ანდრია დეკანოზიშვილი); ანარქისტები: მანაველი (ვარლამ ჩერქეზიშვილი), ორგეიანი (გიორგი კომანდო) გოგელია), თერგელი (მიხაკო წერეთელი), ვერმიცანიძე (ალექსანდრე გაბუნია) და სხვანი.


ერთკვირიანი მუშაობის შედეგად, კონფერენციის ფრაქციების გაერთიანებით შეიქმნა ბლოკის ტიპის პარტია, რომელსაც ეწოდა საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია. კონფერენციამ ახალი პარტიის საპროგრამო დებულებები ჩამოაყალიბა რამდენიმე რეზოლუციაში. მათგან უმთავრესი იყო ორი.

პირველი: სოციალისტ-ფედერალისტების პარტია აცხადებდა, რომ მომავალი ქართული სახელმწიფოს „პოლიტიკური წესწყობილება უნდა იყოს ავტონომიური საქართველო, სხვა ერებთან ფედერატიულად შეკავშირებული“. რა თქმა უნდა, ფედერალისტები ავტონომიას უფრო რეალისტურ მიზნად მიიჩნევდნენ, თორემ საოცნებო და საბოლოო მიზანი მათთვის საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფო გახლდათ. „ჩვენ უფრო უკიდურესი თავისუფლების მომხრენი ვართ, — წერდა გაზეთი „საქართველო“, — მაგრამ ჯერჯერობით იმას ვითხოვთ, რაც უფრო ადვილი მისაღწევია“.

და მეორე: ფედერალისტები სოციალურ-ეკონომიკური მოწყობის საუკეთესო ფორმად სოციალისტურ სისტემას მიიჩნევდნენ. ისინი უარყოფდნენ მარქსისტულ, რუსული ტიპის ბოლშევიკურ თუ მენშევიკურ ფორმებს და ერთადერთ მისაღებ სისტემად ევროპული ტიპის სოციალიზმს მიიჩნევდნენ. ევროპული სოცია-



გიორგი აბაშიძე



თედო საზოკია



გიორგი  
ზდანოვიჩი-  
მაიაშვილი





სამსონ ფორცხალავა

ლიხმის ქართული მოდელი გულისხმობდა კაპიტალისტური სისტემის პირობებში სოციალისტური რეფორმების თანდათანობით განხორციელებას და მის ევოლუციურ ტრანსფორმაციას კაპიტალიზმიდან სოციალისტური სისტემისკენ. ეს შორეული პერსპექტივა იყო, მანამდე კი უპირველესი მიზანი ეროვნული საკითხი — სახელმწიფოებრიობის აღდგენა გახლდათ.

სოციალისტ-ფედერალისტების პარტიამ სწრაფად მოიპოვა პოპულარობა. ქართველ ხალხს ორი მძიმე პრობლემა აწუხებდა — ეროვნული და სოციალური უსამართლობა. ფედერალისტების პარტია ორივე უსამარ-

*დუშეთის მაზრის ხაზინის ექსპროპრიაციისას სოციალისტ-ფედერალისტების წარმომადგენლებმა გენერალ გიორგი ედუარდოვიჩ ბერხმანის ხელმოწერა გააყალბეს*



თლობის წინააღმდეგ ბრძოლას პირდებოდა. განსაკუთრებით დიდი გავლენა ფედერალისტებს ქართული ინტელიგენციის, ახალგაზრდობისა და მოსახლეობის საშუალო ფენებში ჰქონდათ. ფედერალისტების პარტიის წევრი ან თანამგრძობი იყო ქართული მწერლობის, ხელოვნების, მეცნიერებისა და საერთოდ ინტელექტუალური წრეების დიდი ნაწილი: გრიგოლ რობაქიძე, ვაჟა-ფშაველა, ივანე ჯავახიშვილი, მიხეილ ჯავახიშვილი, იოსებ გრიშაშვილი, კონსტანტინე გამსახურდია და მრავალი სხვა. სოციალისტ-ფედერალისტების მიერ გამოცემული გაზეთები: „ცნობის ფურცელი“, „ისარი“, „მეგობარი“, „დროება“, „სახალხო გაზეთი“ თუ „სახალხო ფურცელი“ ქართული პრესის საუკეთესო გამოცემებს წარმოადგენდნენ და დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ მოსახლეობაში.

სოციალისტ-ფედერალისტების პარტია ეროვნულთან ერთად რევოლუციური პოლიტიკური ორგანიზაცია გახლდათ. იგი კალამთან ერთად პრაქტიკულად, შეიარაღებული ბრძოლის გზითაც უპირისპირდებოდა რუსეთის მონარქიას. 1906 წლის 12 აპრილს ფედერალისტებმა დუშეთის მაზრის ხაზინის ექსპროპრიაცია განახორციელეს და 315.000 მანეთი გაიტაცეს. ტასო ვახვახიშვილმა მოამზადა ყალბი ბრძანების ტექსტი დუშეთში მდგარი ნოვობაიაშეთის პოლკის მეთაურის, პოლკოვნიკ დიკის სახელზე. თითქოს მთავარი სამხედრო შტაბის „ბრძანების“ საფუძველზე, დუშეთის მაზრის ხაზინის სადარაჯო რაზმს დარაჯობა უნდა გადაეხადებინა თბილისიდან საგანგებოდ გამოგზავნილი რაზმისთვის. გენერალ გიორგი ედუარდოვიჩ ბერხმანის ხელმოწერილი ყალბი ბრძანება მცხეთის ბოქაულს გადასცეს. იმავედროულად, თბილისიდან მცხეთა-დუშეთს გაემგზავრა სამხედრო ტანსაცმელში გამოწყობილი ახალგაზრდა ფედერალისტების ჯგუფი, რომელშიც შედიოდნენ: ივანე და ილია თაქთაქიშვილები, ლეო და გიორგი კერესელიძეები, კორნელი კასრაძე — ცნობილი ტერორისტი, ფედერალისტთა სამხედრო ორგანიზაციის წევრი და სხვანი, რომლებმაც უპრობლემოდ გაიტაცეს ფული და პარტიის მთავარ კომიტეტს გადასცეს. „ექსპროპრიაციამ საზოგადოებაში პირდაპირ სენსაცია მოახდინა და თავზარი დასცა ადგილობრივ ადმინისტრაციას, — იგონებდა გიორგი ლას-

ხიშვილი, — დაფაცურდა მთელი თბილისის გუბერნიის პოლიცია, მოუყარეს თავი ჯაშუშებს, პოლიციის დაგეშილ აგენტებს, მაგრამ ვერ იქნა, კვალს ვერ მიაგნეს“.

კიდევ უფრო მასშტაბური იყო ფედერალისტთა პარტიის მიერ საზღვარგარეთიდან იარაღის დიდძალი რაოდენობის შემოტანა საქართველოში. 1904-1905 წლებში რუსეთ-იაპონიის ცნობილი ომის პერიოდში, იაპონიის სპეცსამსახურების დაფინანსებით ვეროპაში მყოფმა გიორგი დეკანოზიშვილმა იყიდა რვა ათასზე მეტი თოფი და დიდძალი ტყვია-წამალი. მანვე ჰოლანდიელ ანარქისტ კრისტან კორნელსენისა და სხვა ვეროპელი რევოლუციონერების დახმარებით შეიძინა გემი „სირიუსი“, იარაღით დატვირთა და საქართველოსკენ გამოამგზავრა. 1905 წლის ნოემბერში „სირიუსი“ ფოთს მოადგა. მართალია, იარაღის ნაწილი იმპერიის ხელისუფლებას ჩაუყარდა ხელში, მაგრამ ფედერალისტებმა სამი ათასამდე ცალი თოფ-იარაღი დასავლეთი საქართველოს რევოლუციურად განწყობილ მოსახლეობაში დაარიგეს.

სოციალისტ-ფედერალისტები რევოლუციური ტერორსაც მიმართავდნენ. დღეს ისტორიკოსებს შორისაც გაჩნდა მკვეთრად უარყოფითი აზრი მაშინდელი პარტიების ტერორისტული საქმიანობის შესახებ. არ გვგონია, ამგვარი აზრი მთლად მართებული იყოს 1900-იანი წლების ეროვნულ-რევოლუციური პარტიებისადმი, რომელნიც იმპერიის ხელისუფლების წინააღმდეგ თეთრი ხელთათმანებით ვერ იბრძოლებდნენ და ვერც რაიმე წარმატებას მიაღწევდნენ მისი ჯარის, პოლიციისა თუ ჟანდარმერიის რეპრესიების გასანეიტრალებლად. ფედერალისტების პარტია ტერორს იყენებდა, როგორც თავდაცვის საშუალებას, მონარქიის ყველაზე რეპრესიული თანამდებობის პირთა წინააღმდეგ. პირველი რევოლუციის პერიოდში ფედერალისტების მიერ მოწყობილი ტერორისტული აქტების მსხვერპლი აღმოჩნდა გორის მაზრის უფროსი. 1905 წლის 12 ივლისს მათ დაჭრეს თბილისის პოლიცმაისტერი გიორგი სამუილოვიჩ კოვალევი. ჟანდარმერიის მტკიცებით, ფედერალისტებმა მოკლეს საქართველოს ეგზარქოსი ნიკონი, რომელიც ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის სასტიკი მოწინააღმდეგე გახლდათ და ტერორიც ამ ნიადაგზე უნდა განხორციელებულიყო.



ეგზარქოსი ნიკონი

*ჟანდარმერიის მტკიცებით, ფედერალისტებმა მოკლეს საქართველოს ეგზარქოსი ნიკონი, რომელიც ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის სასტიკი მოწინააღმდეგე გახლდათ და ტერორიც ამ ნიადაგზე უნდა განხორციელებულიყო.*

ვარლამ გელოვანი







მიხეილ ჯავახიშვილი

1909 წელს სოციალისტ-ფედერალისტების პარტია შეეცადა, როგორმე დაპირისპირებოდა შიდა რუსეთიდან საქართველოში რუსი გლეხი-კოლონისტების ჩამოსახლებას. ფედე-

გაზეთ „საქართველოს“ პირველი ნომრის გარეკანი (1903 წლის 1-ელი მაისი)



რალისტების კომიტეტზე გადაწყდა, ტერორით დამუქრებოდნენ რუს კოლონისტებს, რომლებიც შეეცდებოდნენ ქართველი თავადებისგან მიწების შესყიდვას და იმ ქართველ თავადებსაც, რომლებიც რუს კოლონისტებს მიჰყიდდნენ მიწებს. ამ მიზნით პარტიამ საგანგებო პროკლამაცია გაავრცელა მოსახლეობაში. სხვათა შორის, ფედერალისტები ტერორით დამუქრებიან სიდნალის მაზრის მემამულე ანდრონიკაშვილებს, არ მიეყიდათ მამული ჩამოსახლებული რუსებისთვის.

ფედერალისტების პარტია აქტიურად მონაწილეობდა რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში. მან ორჯერ შეძლო საკუთარი დეპუტატის არჩევა იმპერიის პარლამენტში. პირველ სათათბიროში აირჩიეს ცნობილი ვექილი იოსებ ბარათაშვილი, ხოლო მეოთხე სათათბიროს დეპუტატი ფედერალისტების პარტიიდან გახდა ვარლამ გელოვანი. სწორედ ამ უკანასკნელმა 1912 წელს დეკემბერში შეძლო იმპერიის პარლამენტში ოფიციალურად წამოყენებინა საქართველოს ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიის მოთხოვნა.

1910-იან წლებში სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიამ რამდენიმე მძიმე დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა ამ პარტიის თითქმის ყველა წამყვანი და გამორჩეული ლიდერი: ვლადიმერ ლორთქიფანიძე 1909 წელს; გიორგი დეკანოზიშვილი — 1910 წელს; არჩილ ჯორჯაძე 1913 წელს. შემდგომ წლებში მათ მიჰყვნენ კიბა აბაშიძე და გიორგი ზდანოვიჩი-მაიაშვილი. ძველი ლიდერებიდან მხოლოდ გიორგი ლასხიშვილი, სამსონ ფირცხალავა და გრიგოლ რცხილაძე შემორჩნენ. ლიდერთა ახალი თაობის წარმომადგენლები თედო ღლონტისა თუ არჩილ ჯავახიშვილის სახით, ძველ ავტორიტეტთა მხოლოდ აჩრდილებსდა წარმომადგენდნენ. ამ დანაკარგმა ერთგვარად გააძლიერა სოციალისტური ფრაზეოლოგიისადმი მიდრეკილება და გადახრა პარტიაში.

შედევად ამისა, სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია გარკვეულწილად შესუსტებული შეხვდა 1917 წელს რუსეთში მომხდარ დემოკრატიულ რევოლუციას და მონარქისტული იმპერიის დამხობას. მიუხედავად ამისა, იგი მაინც ინარჩუნებდა სიძლიერით მეორე პოლიტიკური პარტიის მდგომარეობას ქართულ რეალობაში.

ლიბიბრი შველიძე



# ქახთველი ხანოები რუსი იმპერატორის მსახურში

საიმპერატორო კანოის ისტორია 1811 წლის 18 მაისიდან დაიწყო, როცა კახაკებისგან რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე პირველის პირადი დაცვა შეიქმნა. კანოი არა მხოლოდ ტუსათა ბაღრაგს ნიშნავდა, არამედ მეომართა ჯგუფს, რომელიც საჯარო გზებს იცავდა.

კანოი საიმპერატორო სახლის მშვიდობიანი ცხოვრების პერიოდში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. იგი გვერდიდან არ შორდებოდა იმპერატორსა და მის ოჯახს, იცავდა იმპერატორის სასახლეებს, მონაწილეობდა ყველა დღესასწაულში, რომელიც იმპერატორის კარზე იმართებოდა, ასევე უცხოური დელეგაციების შეხვედრებში, სამეფო ოჯახის საქორწინო ცერემონიებში და სხვ.

კანოი შედიოდა საიმპერატორო გვარდიაში, რომელიც რუსული არმიის ელიტურ დანაყოფს წარმოადგენდა. რჩეული, სხვადასხვა ეროვნების მეომრებისგან დაკომპლექტებულ ამ ქვედანაყოფს განსაკუთრებული უფლებები ჰქონდა. ელიტარულობა გამოიხატებოდა ქვედანაყოფის წევრობის კანდიდატთა სკრუპულოზური შერჩევით, მაღალი ხელფასითა და

პრივილეგიებით. ბევრის აზრით, მისი უდიდებულესობის კანოიში მოხვედრა შესაძლებელი იყო პროტექციით, ანდა იმ შემთხვევაში, თუ ცნობილი სამხედრო პირის შვილი იყავი. თუმცა კანოელები ამას უარყოფდნენ. ისინი ამტკიცებდნენ, რომ მისი უდიდებულესობის კანოიში მხოლოდ განსაკუთრებული თვისებების (ფიზიკური მონაცემები, კომუნიკაბე-





კავკასიელი კანოელი

ქართველი კანოელები



ლურობა, გამჭრიახობა, განვითარების მაღალი დონე) გამო ხვდებოდნენ.

1856 წელს მეფის მთავრობამ გადაწყვიტა, კანვოსთვის დაემატებინა ახალი ნაციონალური ქვედანაყოფი — ქართველების შემადგენლობით. იმპერატორის ბრძანებით, ახალ დანაყოფში უნდა მიეღოთ მართლმადიდებელი, ჯანმრთელი, არა უმეტეს 25 წლის ქართველი ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიების ცნობილი თავადური ოჯახებიდან, რომლებიც მოხარული იქნებიან, იმსახურონ მისი უდიდებულესობის ამაღლაში.

თავდაპირველად შიშობდნენ, რომ სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის ერთ ორგანიზმად ჩამოყალიბება არ იქნებოდა მიზანშეწონილი, რადგან ქართველი თავადაზნაურობა, რომელიც ამაყობს საკუთარი წარმოშობითა და გვარი-შვილობით, შეუძლებელი იყო ერთ რიგში დაეყენებინათ კავკასიელი ხალხების სხვა წარმომადგენლებთან ერთად. ეს, მათი აზრით, დაპირისპირებას გამოიწვევდა. მაგრამ იმპერატორმა ეს აზრი არ გაიზიარა და ქართველები ესკადრონის თაგში, №1 ოცეულად ჩააყენა. ასეთი გადაწყვეტილება მიიღეს იმის მიუხედავად, რომ ქართველებზე მეტხანს იქ სხვა კავკასიური წარმოშობის ხალხი მსახურობდა. ამალის უფროსად დაინიშნა ასევე ქართველი, 1812 წლის რუსეთის სამამულო ომის გმირის, პეტრე ბაგრატიონის ძმისწული და სენია პეტრე რომანის ძე ბაგრატიონი. ქართველებსადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება ასევე იმით გამოიხატა, რომ იმპერატორმა 1857 წლის მაისიდან ნება დართო ბაგრატიონს, ქართული ოცეულის მუნდირი ეტარებინა. მიუხედავად იმისა, რომ კანვოს უფროსი კაზაკების ესკადრონში ირიცხებოდა და მათი ფორმა უნდა სცმოდა.

ორიოდე სიტყვით შევჩერდებით პეტრე ბაგრატიონის ბიოგრაფიაზე. 1832 წელს ქართველ თავადაზნაურთა მიერ მოწყობილი შეთქმულება იასე ფალავანდიშვილმა გასცა, რის გამოც შეთქმულები დააპატიმრეს და გააციმბირეს. ნიკოლოზ ბარათაშვილმა დაწერა გალექსილი სატირა, რომელიც ფოსტის საშუალებით გაგზავნა გამცემის ძმას, ნიკოლოზ ფალავანდიშვილს, რომელსაც იმ დროს თბილისის სამოქალაქო გუბერნატორის პოსტი ეკავა. გამოძიების შემდეგ გარკვეა სატირის ავტორისა და მისი ამხანაგის, პეტრე ბაგრატი-

ონის ვინაობა. ისინი მცირეწლოვანების გამო ციხეს გადაურჩნენ, მაგრამ სამაგიეროდ გაროზგვა მიესაჯათ. ეგზეკუცია უნდა ჩატარებულიყო შინ, მშობლებისა და ახლობლების თანდასწრებით. ნიკოლოზ ბარათაშვილს 25 როზგი არ აკმარეს და მამამისმა მელიტონმა „სახელმწიფო განაჩენს თავის მხრივ ცემატყეპა დაუმატა“.

ამ სანახაობით შეძრწუნებული ყმაწვილი პეტრე პეტერბურგში გაიქცა, სადაც პაპიდასთან, ანა ბაგრატიონ-გოლიცინასთან დაბინავდა. მისივე წყალობით, 1833 წელს ის გვარდიის პოდპრაპორშჩიკებისა და კავალერთა იუნკრების სკოლაში ჩაირიცხა. მომდევნო წელს იუნკერი ბაგრატიონი ცხენოსანთა ესკადრონში გადაიყვანეს, 1840 წელს კი პოდპორუჩიკად დაწინაურდა. დაახლოებით ამავე წლიდან დაიწყო 24 წლის ბაგრატიონმა სამეცნიერო მუშაობა ფიზიკასა და ქიმიამი. იგი პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის კაბინეტში აწყობდა ცდებს სახელგანთქმული გერმანელი ფიზიკოსის, სანქტ-პეტერბურგის საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს ბორის იაკობის ხელმძღვანელობით. „გალვანურ მეცადინეობაში წარმატებისთვის“ პეტრე ბაგრატიონი 1843 წელს დააჯილდოვეს სტანისლავის მესამე ხარისხის ორდენით. ოთხ თვეში მან გალვანური ელექტროდენების საშუალებით კრონშტადტის ნავსადგური ყინულისგან გაწმინდა, რისთვისაც მადლობა გამოეცხადა. პირველი მეცნიერული ნაშრომი ბაგრატიონმა 1843 წელს გამოაქვეყნა მისი შექმნილი გალვანურ ელემენტის შესახებ. როგორც ირკვევა, ეს ელემენტი სწრაფად გაერცვლდა და წარმატებით იყენებდნენ როგორც რუსეთში, ასევე ევროპასა და აშშ-ში. მისი შრომები ითარგმნა და დაბეჭდა ლონდონში, პარიზსა და ჟენევაში. ბაგრატიონმა პირველმა აღმოაჩინა ლითონური ოქროს, ვერცხლისა და სპილენძის ხსნადობა ტუტე ლითონთა ციანიდების წყალხსნარებში, რაც საფუძვლად დაედო დაციანების მეთოდს. მას იყენებდნენ სამხრეთ ამერიკისა და ავსტრალიის ფაბრიკებში. 1847 წელს ურალში ექსპედიციის დროს მან მინერალ ორტიტის სახეობა – შავი კრისტალი აღმოაჩინა, რომელსაც „ბაგრატიონიტი“ უწოდეს. ამ ექსპედიციაში მან შეაგროვა მინერალების უმდიდრესი კოლექცია, რომელიც მომდევნო წლებში რუსე-



*პეტრე რომანოვის ბაგრატიონი*

თიდან გაიტანა მიუნხენში პერცოგ ლეიხტენბერგმა, რომლის ადიუტანტად ერთ დროს ბაგრატიონი მსახურობდა.

იმავე წელს იგი მიაგლინეს ევროპაში, სადაც შეიდ წელიწადს დაყო. უცხოეთიდან ჩამოსვლის შემდეგ, 1853-54 წლებში მას დაევალა ტულისა და ხარკოვის გუბერნიებში საყოველთაო მობილიზაციის ჩატარება, რომელსაც ბრწყინვალედ გაართვა თავი. 1854 წელს ბაგრატიონი დაინიშნა იმპერატორ ნიკოლოზ I-ის სასახლის კომენდანტად, ხოლო 1857 წელს მას, სხვა მრავალრიცხოვან ჯილდოსთან ერთად, გენერალ-მაიორის წოდება მიენიჭა და იმპერატორის ამაღლის — კანოის უფროსად დაინიშნა. 1862-68 წლებში პეტრე ბაგრატიონი იყო ტვერის გუბერნატორი; როგორც თანამედროვენი აღნიშნავენ, მისმა პროგრესულმა მოღვაწეობამ მნიშვნელოვანი კვალი დატოვა ტვერის მხარის ისტორიაში. მომდევნო წლებში იყო ბალტიისპირეთის ქვეყნების გენერალ-გუბერნატორი. 1876 წლის იანვარში პეტერბურგში მივლინებით ჩასული პეტრე ბაგრატიონი ასთმის შეტევით გარდაიცვალა.





კანოელები ტფილისში, მთავარმმართველის სასახლეში

ქართულ ჯგუფში 1857 წლიდან კავკასიელი სომხების მიღებაც დაიწყო, მაგრამ ისინი მთელი შემაღენლობის ერთ მუხუთედზე მეტი არ უნდა ყოფილიყვნენ.

თავიდანვე ქართველმა კანოელებმა განსაკუთრებული ყურადღება დაიმსახურეს მშვენიერი კოსტიუმების, მდიდრული იარაღის,

გაწვრთნილობისა და ბრწყინვალე ჯირითის წყალობით. 1858 წლის 30 მაისს პეტერბურგში ისააკის ტაძრის კურთხევაზე სხვებთან ერთად, ქართველებიც მონაწილეობდნენ, რომელთა შორის იმყოფებოდა ეკატერინე ჭავჭავაძის ვაჟი, 11 წლის ნიკო დადიანი. „...იწვევა პარადი, რომელშიც თვით ხელმწიფე კა-





მანდობს. ამ შემთხვევაში პირველი რიგი გამოსვლისა ჩემსობას იყო ქართველი (კანვოების) ცხენოსნების, ე.ი. ქართლ-კახელების, იმერელ-მეგრელ-გურულების, რომელსაც კამანდობდა კნიაზი პეტრე ბაგრატიონი, — წერდა ამბის თვითმხილველი თედო ზოშტარია, — როცა ხელმწიფემ შესძახა კანვოელებს გა-

ჭენებით გაგლა, მაშინ კნიაზ მენგრელსკიმაც სხვებთან ერთად, თერთმეტი წლის ყმაწვილმა, ფიცხლად გააჭენა ცხენი — დიდი ალტაცებული ხმოვანება შექმნეს მაყურებლებმა, დიდებულებმა და ხალხმა და შექმნეს სრიალი და უკანასკნელნი აქებდნენ ამ სიტყვით „გრუნისკი ცარს“ და გაჭენების შემდეგ დაიბარა ხელმწიფემ, ცხენდაცხენ გადაკოცნა, მერმედ ჩამოიყვანეს ცხენიდან და მოიყვანეს იმპერატრიცასთან, რომელმაც დიდი ალერსით მიიღო და დაკოცნეს ველიკი კნიაზებმა და მათში გაერია“.

1873 წლის 15 აპრილს ქართველთა გამოსვლით მოხიბლულმა გერმანიის იმპერატორმა და პრუსიის მეფემ ვილჰელმ პირველმა ხუთი კანვოელი პრუსიის წითელი არწივის მედლით დააჯილდოვა, მათ შორის რუბენ ლოლბერიძე, კონსტანტინე ცომაია და ივანე შერვაშიძე.

ცნობილი რუსი იურისტის, ანატოლი ფიოდოროვიჩ კონის მოგონების მიხედვით, კავკასიელები, რომელთაც გემო გაუგეს დედაქალაქის ცხოვრებას, ყველაზე ხშირად თვალწარმტაც აღმოსავლურ კოსტიუმებში გამოწყობილი სტუმრობდნენ პასაჟს (ვეროპის ერთერთ უძველეს და უმსხვილეს უნივერსიტეტს სანქტ-პეტერბურგში), რომელიც რატომღაც მათ საყვარელ ადგილად იქცა. „ჩემს თავგადასავალში“ აკაკი წერეთელი წერდა: „ჩემი ძმა პეტერბურგში არ დამიხვდა. კანვოელები „ცარსკოე სელოში“ გადაეყვანათ და მხოლოდ მეორე დღეს წავედით მის სანახავად... ბოლოს ყველამ მირჩიეს: „რადგან სამხედრო სამსახურში აპირებ შესვლას, აქ დარჩი, ჩვენთან: კანვობას არა სჯობია რაო! ჩვენი სამსახური, სამსახური კი არ არის, ღზინი და ქეიფიაო!“ მართლაც, საზოგადო კანვოების და განსაკუთრებით ქართველების მდგომარეობა უსაქმური კაცისთვის სანატრელი იყო. კარგად სვამდენ, კარგად სჭამდენ, კარგად ეცვათ, დღეში რამდენიმე საათს ცხენს აჭენებდნენ, ათამაშებდნენ და დანარჩენ დროს აქეთ-იქით საქეიფოდ ინახავდენ. — როგორც კავკასიელებს, დიდ პატივსაც სცემდენ საზოგადოდ, განსაკუთრებით ქალები“.

პირველი ჯგუფი ქართველებისა (ათი ქართველი და ერთი სომეხი) სანქტ-პეტერბურგისკენ 1857 წლის 18 დეკემბერს გაემართა. ახალმა ოცეულმა ვერც კი მოასწრო პეტერბურგში





ქართველი კანოელები

ჩასვლა, რომ კავკასიურმა ესკადრონმა დაუმორჩილებლობა გამოაცხადა. საქმე ის გახლავთ, რომ კანვოის უფროსმა ბაგრატიონმა კავკასიელ თავადაზნაურთა ყოველდღიურ ცხოვრებაში არმიის განაწესი შეიტანა, რაც ნაკლებ თავისუფლებასა და დისციპლინას ნიშნავდა. მთიელებისა და ლეკთა დაბალჩინონებმა გადაწყვიტეს ბაგრატიონისთვის ეჩივლათ გენერალ-ადიუტანტ გრაფ ადლერბერგთან. ის ადგილზე არ დახვდათ, ამიტომ გადაწყდა ეჩივლათ დიდ მთავართან, კონსტანტინ ნიკოლაევიჩთან. ბაგრატიონს, რომელიც მათ დაწინარებას ცდილობდა, ყურადღებას არ აქცევდნენ. ამ მინიამბოზის შედეგად ორმოცდაათი მონაწილე გაირიცხა კანვოის რიგებიდან. მხოლოდ ერთი ლეკი იუნკერი, რომელიც ცდილობდა მათ დაშოშმინებას, დააწინაურეს კორნეტად მოვალეობის ღირსეულად შესრუ-

ლების გამო. მსგავსი ინციდენტი იშვიათად, მაგრამ მაინც ხდებოდა. გამონაკლისი არც ქართული ოცეული გახლდათ. 1863 წელს კანვოიდან გარიცხეს რამდენიმე ქართველი თავადი. მათ მხარი დაუჭირეს დასჯილ თავად ციციანოს (ციციშვილს), რომელმაც შვებულებიდან დააგვიანა. 1874 წელს რვა ქართველმა დემონსტრაციულად წარადგინა მოთხოვნა კანვოის დატოვების შესახებ ოჯახური პირობების გამო. ყოველი ასეთი ინციდენტი მაშინვე იხილებოდა. ამ შემთხვევაში გამოვლინდა ორი წამქეზებელი იუნკერი — დავით ლომიძე და გიორგი კირვალიძე, რომლებიც კანვოის წესებით უკმაყოფილო იყვნენ. საქმის ძიების დასრულებისთანავე წამქეზებლები გარიცხეს კანვოიდან და სასწრაფოდ გააძევეს პეტერბურგიდან.

ოფიცრებს აზარტული თამაშები უყვარ-

დათ. ერთხელ მეფის სასახლეში კანკოის მორიგე ოფიცერთა ოთახში ბანქოს თამაშობდნენ. მოულოდნელად მათ თავს პიჟამაში გამოწყობილი იმპერატორი წამოადგათ. მან მოთამაშეები დატუქსა, მაგრამ შემდეგ ყველას სათითაოდ თუძან-თუძანი ჩამოურიგა და თავდაც მიუჯდა სათამაშო მაგიდას. ერთ-ერთი ქეიფის შემდეგ კი იმპერატორის ფავორიტმა „არაორდინარულმა და ექსცენტრიკულმა“ დავით (უჩა) დადიანმა მისი უდიდებულესობა ნიკოლოზ II გააოცა, როცა განუცხადა, რომ მან საკუთარი ეპოლეტები დააგირავა, რაც ნიშნავდა, რომ მან პატიოსანი სიტყვა მისცა (ვალს აუცილებლად გადაიხდიდა).

დროის გასატარებლად კანკოელებს უამრავი საბაბი ჰქონდათ: პოლკის დღესასწაულები, სხვადასხვა გამარჯვების აღმნიშვნელი თარიღები, იმპერატორისა და იმპერატრიცას, თავიანთი უფროსების დაბადების დღეები. რაც შეეხება სმას — გვარდიელი ოფიცრისთვის დალევასა და დათრობას შორის დიდი განსხვავება იყო. ღვინო და არაყი კანკოელთა ყოველდღიურ მენიუში შედიოდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ისინი ზღვარს არ გადადიოდნენ. კანკოელებთან არსებობდა დაუსწრელი კანონი — ოფიცერი უნდა იყოს „კარგ ხასიათზე“, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა დათვრეს!

კანკოის წვერები სულითა და ხორციით იმპერატორის ერთგული იყვნენ. ერთხელ აგარაკზე, ლივადიაში მეფე ნიკოლოზ II ტერასის ერთ კუთხეში ვილაცას ესაუბრებოდა, ტერასის მეორე მობირდაპირე კუთხეში დავით (უჩა) დადიანი იმყოფებოდა. მოულოდნელად მეფემ იგი თავისთან მოიხმო. უჩა მეფისკენ თავქუდმოგლეჯილი გამოიქცა. მათ შორის დიდი გაშლილი მაგიდა იდგა. დადიანმა არც აცია და არც აცხელა და მაგიდას გადაეკლო. ნახტომი ბრწყინვალე გამოდგა, მაგრამ ჩოხის კალთა ძვირფასი სერვიზის ჭიქასა და თეფშს წამოსდო, რომელიც ძირს დაენარცხა და ნამსხვრეეებად იქცა. დადიანმა დაიმორცხვა, თუმცა მას შემდეგ, რაც მეფემ სიცილი დაიწყო, მიხვდა, რომ მის უდიდებულესობას ეს ნახტომი მოეწონა.

კანკოიში სამსახური ორ წელიწადს გრძელდებოდა, ამის შემდეგ ქართველები სამშობლოში ბრუნდებოდნენ. ხელგამლილ და უზრუნველ ცხოვრებას დაჩვეული ბევრი ყო-



უჩა დადიანი

ქართველი კანკოელები სამხედრო ვარჯიშისას





ფილი კანვოელი უფრო მდორედ მიმდინარე ცხოვრების რიტმს ვედარ მისდევდა, ამიტომაც ბევრი მრუდე გზას დაადგა. გიორგი ლას-ნიშვილი, როცა ციხეში იჯდა, იხსენებდა ვინმე გიორგი მიქელაძეს, იმდროინდელ „დასავლეთ საქართველოს ზელიმ-ხანს“, რომელმაც, როცა სახსრები შემოაკლდა, ყაჩაღობა დაიწყო. „მთელი ჯარი, პოლიცია ფეხზე დააყენეს მის დასაჭერად, მაგრამ ამაოდ! სასწაულებრივ უქრებოდა ხელიდან მდევნელთ. რამდენჯერმე ციხიდანაც გაიქცა. ქუთაისის ციხეში ჩემი ყოფნის დროს იგი უკვე მოხუცებული და დაურღომი იყო. ავადმყოფობის გამო კარტორ-ლაშიც არ გზავნიდნენ“.

მას შემდეგ, რაც რუსეთმა საქართველო დაიპყრო, ქართველი ერის ნაღები მშვენიერად მოერგო არსებულ სიტუაციას; რუსის სამსახურში ყოფნა ქართველს საშუალებას აძლევდა, პრივილეგირებულ მდგომარეობაში ყოფილიყო, თავი უცხოდ არ ეგრძნო, ანუ ამ ბუნებრივად უცხო ორგანიზმის განუყოფელი ნაწილი გამხდარიყო. აღსანიშნავია, რომ ქართველები ახალი „სამშობლოსა“ და პატრო-

ნის ყველაზე ერთგული და საიმედო დამცველები გახდნენ. პეტერბურგში მყოფი ილია ჭავჭავაძე ახლოს იცნობდა ქართველ კანვოელებს და მათდამი მიძღვნილ ლექსში სწორედ ამ გულისტკივილს გამოხატავდა:

ვსთქვი თუ, ვისთვის შენ კისკასობ,  
ვისთვის იჩენ სიმარდესა?  
შენი რაა, რომ ამშვენებ  
შენს დამღუპველ ოსმალებსა?

ლექსის თავდაპირველი სახელწოდება იყო „კანვოელი“. ტექსტში მე-12 სტრიქონი თავდაპირველად ასე იკითხებოდა: „შენი რაა, რომ ამშვენებ შენს დამღუპველს ჩრდილოეთსა“. ცენზურის გამო ლექსის დაბეჭდვა შეუძლებელი იყო, ამიტომაც ილიამ შეცვალა თავდაპირველი სათაური „კანვოელი“ — „იანიჩარი“, ხოლო სიტყვა „ჩრდილოეთსა“, სიტყვით „ოსმალებსა“. ლექსი ილიას სიცოხლეში ასეთი სახით იბეჭდებოდა.

კანვოის ისტორია ას წელიწადზე ოდნავ მეტს მოითვლის. თებერვლის რევოლუციის შემდეგ, 1917 წლის 4 მარტს, კანვოიმ არსებობა შეწყვიტა.

ირაკლი მახარაძე



ქართველი  
კანვოელები და  
რუსი მოხელეები



# ლაგენდად ქსეული ნეკრესი

*ნეკრესი უძველესი ისტორიული ქალაქია კახეთში, ვვარლის რაიონის სოფელ შილდის მახლობლად. მას საფუძველი მეფე ფარნაჯომმა (ძვ. წ. II-I სს.) ჩაუყარა: „ფარნაჯომ იყო შენებად კახეთს ქალაქსა ნელქარისსა, რომელ არს ნეკრესი“, ხოლო IV საუკუნეში მეფე მირიანის დროს მისმა მამამძუძემ მირვანოზმა განამტკიცა ქალაქის ზღუდენი.*

„ქართლის ცხოვრება“ მოგვითხრობს: „მირვანოზ ჰმატა ყოველთა სიმაგრეთა ქართლისათა და უმეტეს ყოველთა მოამტკიცნა ზღუდენი ნეკრესისა ქალაქისანი“. მეფე მირიანის შვილიშვილის, თრდატის დროს ნეკრესში ქრისტიანული სამლოცველო, ხის ეკლესია აუშენებიათ: „ნეკრესს კახეთისასა ეკლესიად აღაშენა განსრულებით“. ამ პირვანდელი პატარა ეკლესიის ზომაა 4,6 მ X 3,8 მ. იგი იმდენად მცირეა, რომ მეფის საძვალეს უფრო ჰგავს, ვიდრე სამლოცველოს.

VI საუკუნეში საქართველოში, კერძოდ კი ქართლ-კახეთში ჩამოდის უდიდესი ქრისტიანული სამისიონერო ძალა ასურელ მამათა სახით. მათ სათავეში იოანე ზედაზნელი ედგათ. 13 ასურელი სასულიერო პირი იოანეს ხელშეწყობით აარსებს მრავალ სამონასტრო ცენტრს აღმოსავლეთ საქართველოში. ასირი-

ელი მამებიდან ერთ-ერთი გამორჩეული იყო აბიბოს ნეკრესელი, რომელიც ნეკრესის საეპისკოპოსოს ხელმძღვანელობდა.

აბიბოს ნეკრესელს რთულ პერიოდში მოუწია მღვდელმთავრობამ. იგი აღმოსავლეთ საქართველოში გაბატონებულ სპარსელებსა და მათ მიერ ძალმომრეობით დამკვიდრებულ აღმსარებლობას, ცეცხლთაყვანისმცემლობას სასტიკ წინააღმდეგობას უწევდა. ცეცხლთაყვანისმცემლობა სპარსელთა ეროვნული სარწმუნოება იყო. შინაარსობრივად, მაზდეანები ცეცხლს აღმერთებდნენ, აგებული ჰქონდათ სამლოცველოები და ყველა მორწმუნე მაზდეანის ოჯახში ენთო „წმინდა ცეცხლი“. მისი ჩაქრობა რელიგიის შეურაცხყოფასა და დაგმობას ნიშნავდა.

აბიბოს ნეკრესელმა სპარსელთათვის ყოვლად მიუღებელი საქციელი ჩაიდინა, მათი



ღმერთი – ცეცხლი შეურაცხყო: „დააასხა მცირედ წყალი ხენეში და დაშრიტა“, დაღწეა კერპები და მკაცრად ქადაგებდა ქრისტიანობას. ეს ფაქტი გახდა მიზეზი მისი მოწამებრივი აღსასრულისა. მარხდენმა მოხელემ – მარხპანმა წმინდა მამის დასასჯელად განსაკუთრებული სისასტიკე ჩაიდინა. აი, ასე გამოგვეცემს მათიანე წმინდა მამის სიკვდილით დასჯას: „ქვით განტვენეს, მოკლეს და განათრიეს გარეშე ქალაქსა“. ნაწამები ცხედარი ქალაქში დააგდეს, რათა ნადირ-ფრინველს დაეგლიჯა. წმინდანის ნეშტს მხეცი არ შეხებია. ბერებმა იგი დიდი პატივით დაკრძალეს ჯერ სამთავისში, ხოლო მოგვიანებით გადააბრძანეს სამთავროს დედათა მონასტერში.

ამით სარკინოზებს სურდათ ქრისტიან მონასტრობაში შიში დაეთესათ, თუმცა რელიგიისადმი სიყვარული და თანაგრძნობა კიდევ უფრო გაიზარდა.

დიდა ნეკრესის საეპისკოპოსოს ღვაწლი აღმოსავლეთ საქართველოს რელიგიური, პოლიტიკური და საზოგადოებრივი განვითარების საქმეში. ნეკრესიდან ვრცელდებოდა პოლიტიკური გავლენა აღმოსავლეთ კავკასიონის მთიანეთზე.

ნეკრესის სამონასტრო კომპლექსი ქართული ხუროთმოძღვრების რამდენიმე ძეგლს აერთიანებს. კომპლექსი შეიცავს ადრეულ IV საუკუნის სამლოცველოს, სამეკლესიან ბაზილიკას (VI-VII სს.), გუმბათიან ეკლესიას (VIII-IX სს.), საეპისკოპოსო სასახლეს (IX ს.), კოშკს (XVI ს.), მარანს, რამდენიმე სამეურნეო შენობის ნაშთს, სატრაპეზოს, ბერთა სენაკებს, მცირე სამლოცველოებს და სხვ.

ნეკრესის მონასტერში მშენებლობის დაწყება საქართველოში ქრისტიანობის მიღებისა და მისი სახელმწიფო რელიგიად აღიარების პირველივე წლებთანაა დაკავშირებული. სწორედ ამ დროს, დღევანდელი კომპლექსის ცენტრში, ააგეს მცირე ზომის სამლოცველო. მოგვიანებით კომპლექსმა მრავალჯერად რესტავრაციას გაუძლო.

მემკვიდრის ცნობით, პირვანდელი ეკლესია მცირე ზომებით და არქაულობით მეფე თრდატის დროსაა (IV საუკუნის II ნახ.) აგებული. ეს მცირე თავისებური ნაგებობა გართავი სივრცისკენ თაღებით იხსნება. როგორც ჩანს, ქრისტიანობის დამკვიდრების ამ პირველ ეტაპზე ეს გარემოება საშუალებას აძლევდა



მლოცველს წირვის დროს გარეთ დარჩენილიყვნენ.

მკაფიოდ გამოვლენილი ნალი, ქართული ხუროთმოძღვრების ეს ერთ-ერთი ადრეული ფორმა, არაერთგზის არის გამოყენებული ამ სამლოცველოშიც. ასეთივე ნალისებრი ფორმის თაღით სრულდება ყველა სარკმელი. ადრეული პერიოდის მანიშნებელია აღმოსავლეთ კედელში კარის გაჭრა, რაც მომდევნო საუკუნეებში აღარ გვხვდება.

მოგვიანებით ეს ეკლესია საცხოვრებლად იყო გადაკეთებული და დროთა განმავლობაში საგრძნობი ცვლილებებიც განიცადა.

VI-VII საუკუნეების მიჯნაზე, მცირე სამ-



*ნეკრესის სამონასტრო კომპლექსის საერთო ხედი. მარჯვნივ — საძვალე და მარანი*

ლოცველოს აღმოსავლეთით აიგო მონასტრის მთავარი ტაძარი — სამეკლესიანი ბაზილიკა. მისი ინტერიერი განსხვავებულია: თითოეული ნაწილი ყრუ კედლით არის გამოყოფილი და დამოუკიდებელი ეკლესიის სახეს იღებს. ამ ორიგინალური ტიპის წარმოშობა უკავშირდება დღის განმავლობაში რამდენიმე წირვის გადახდის საჭიროებას, რაც წესისამებრ, ცალკე საკურთხეველს ითხოვდა. ნეკრესის სამეკლესიანი ბაზილიკა ღვთისმშობლის მიძინების სახელზეა აგებული. ტაძარი XVI საუკუნეში მოუხატავთ და თითქმის სრულადაა შემონახული ცენტრალურ ეკლესიაში.

აქ დაცულია ქართული და ნაწილობრივ ბერ-

ძნული ფრესკული წარწერები. ამ ეკლესიის სამხრეთი კედლის დასავლეთ ნაწილში მხატვრობის დამკვეთი, მეფე ლეონ (1520-1574 წწ.), მისი მეუღლე თინათინი და ვაჟი ალექსანდრე (ალექსანდრე II, კახთა მეფე) არიან გამოსახული. გარდა საერო პირთა მხატვრობისა, არის უამრავი ზატწერა წმინდანთა გამოსახულებით, მოწამეების, წმინდა მეომრების. აგრეთვე გვხვდება რელიგიური სცენები: „საიდუმლო სერობა“, „იუდას ამბორი“, „მაცხოვრის დატოვება“, „ქრისტეს შობა“, „ნათლისღება“, „მიჩქმა“.

XVI საუკუნის 80-იან წლებში მონასტერს რუსი ელჩები ეწვივნენ. თავის ნუსხებში, მონასტერში დაცულ სიძველეთა აღწერისას ისი-



ნი ხზგასმით აღნიშნავდნენ, რომ ღვთისმშობლის მიძინების ეკლესია მთავარი ტაძარია მონასტრისა და სწორედ მასშია დაცული მათ მიერ აღწერილი მთელი რიგი ძვირფასი ხატი.

გაცხოველებული მშენებლობა მიმდინარეობდა მონასტერში VIII-IX საუკუნეებში, ამ დროს კომპლექსს ჩრდილო-დასავლეთიდან დაემატა გუმბათიანი ეკლესია (IX ს.)

სახურავი კრამიტისაა. გვემით იგი უჩვეულო შთაბეჭდილებას სტოვებს. ეკლესია თითქოს სხვადასხვა ნაწილისგან არის შედგენილი. მშენებლობის თვალსაზრისითაც ეს ნაწილები მიშენებულია ერთმანეთთან. ნაგებობის მთავარი ნაწილი არის მცირე ზომის კვადრატის, რომელსაც მაღალი გუმბათი ასრულებს. აღმოსავლეთიდან მიშენებული აქვს ხუთწახნაგა საკურთხეველი, ხოლო დანარჩენი სამი მხრიდან ვიწრო გარშემოსავლელი.

ამავე დროს, გუმბათიანი ეკლესიის აღმოსავლეთით, ხვეის პირას აუცილთ გრძელი, ორსართულიანი საეპისკოპოსო სასახლე, რომლის სამხრეთის ფასადის ორივე სართულზე გაჭრილი მაღალი თაღოვანი სარკმლებიდან იშლება ალაზნის ველის შესანიშნავი ხედი.

სასახლის გაგრძელებაზე აღმოსავლეთით, განლაგებულია ერთსართულიანი შენობა, რომელშიც მარანია მოწყობილი. 2008 წლის არქეოლოგიური გათხრების შედეგად მარნის ქვედა ჩრდილოეთ კედელში აღმოჩნდა ძველისძველი ქვის საწნახელი, და კედელში დატანებული

ლი რკინის მილი, რომელიც საგარაუდოდ, დიდი რეზერვუარიდან ამარაგებდა მარანს, შემდგომ კი სპეციალური თიხის მილით გარეთ იღვრებოდა. ეს ყოველივე მეტყველებს მაღალ კულტურულ დონეზე.

მარნის თავზე XVI საუკუნეში ააშენეს ოთხსართულიანი თავდაცვითი დანიშნულების მქონე კოშკი, რომელშიც მოხვედრა მხოლოდ მარნიდანაა შესაძლებელი. კოშკის ოთხივე კედელს ზედა სართულზე ფართო სარკმლები დაუყვება. კოშკი მხატვრულ-ისტორიული თვალსაზრისით თავისი დროის თავდაცვით ნაგებობათა საინტერესო და მნიშვნელოვან ნიმუშს წარმოადგენს.

სამონასტრო კომპლექსში განთავსებულია შენობა, რომელიც საგარაუდოდ სატრაპეზოს წარმოადგენდა. ანსამბლი გარშემორტყმულია ქვის გალავნით. შემოსასვლელი გალავანს სამხრეთ-დასავლეთით ჰქონდა. გვიან შუა საუკუნეებში კომპლექსს მცირე ზომის, კოხტა დარბაზული სამლოცველო შეემატა.

ნეკრესის მონასტერი, რომელიც საუკუნეთა განმელობაში ქართული კულტურის უმნიშვნელოვანეს ცენტრს წარმოადგენდა, არაერთგზის დაურბევით ლეკებს. მათი შემოსევები XIX საუკუნის შუა წლებამდეც კი გაგრძელდა. XX საუკუნის ოციან წლებში დაიწყო ძეგლის მეცნიერული შესწავლა, ხოლო მოგვიანებით, 1940-1950 წლებში კომპლექსზე მიმდინარეობდა დაცვით-გამაგრებითი სამუშაოები.

ფრესკა ნეკრესის მთავარი ტაძარში





სამონასტრო კომპლექსის მთავარი ტაძარი — დეთისმშობლის მიძინების ეკლესია

საქართველოს ეროვნული მუზეუმის ნეკრესის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 2009 წელს წარმართულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა ხუთი აკლდამა აღმოაჩინა. აქედან ორი საკურთხეველში საკმაოდ ღრმადაა შეჭრილი, რაც ნიშნავს მის არსებობას სამლოცველოს აგებამდე. მიცვალებულები ქრისტიანული წესით არიან დაკრძალული და ოჯახურ განსასვენებელს ჰკავს. სამარხში, რომელიც VI-IX საუკუნეებით თარიღდება, აღმოჩნდა იმდროინდელი ნივთებისა და კერამიკის ნაშთები.

### ლეგენდა ნაპრუსზე

საქართველოში ქრისტიანობის დამკვიდრების შემდგომ მრევლს ტაძრებში შესაწირავი, ძროხის, ცხვრისა და ფრინველის სახით, ყოველთვის მიჰქონდა. ეს უფლისადმი მადლიერების გამოხატვის ერთგვარი ფორმა გახლდათ. ერთადერთი ცხოველი იყო ღორი, რომელიც მხოლოდ ნეკრესის ტაძარში მიჰყავდათ შესაწირავად. ამ ფაქტს ხალხური გადმოცემა უღვევს საფუძვლად:

„მაჰმადიან თათრებს ერთი სასტიკი და პირისხლიანი მეფე ჰყოლიათ — შაურბაზი. მან მრავალი ქვეყანა დაიპყრო და ჯერი კახეთზე მიდგა. მოსახლეობა მთაში გაიხიზნა და იქიდან მალულად ებრძოდნენ მტერს. ახლომახლო სოფლიდან ხალხი ნეკრესის სამლოცვე-

ლოს აფარებდა თავს. მტერმა მონასტერს ალყა შემოარტყა. საშველი არსაიდან ჩანდა. სწორედ ამ დროს მტრისგან გარემოცულმა ქართველებმა საინტერესო ხერხს მიმართეს: თათრებს სძულდათ და ეშინოდათ ღორისა. კახელი გლეხები ნეკრესში თავისი სარჩო-საბადებლით გაიხიზნენ. ამიტომაც ტაძრის ეზოში ბევრი ტახი იყო დამწყვედებული. ქართველებმა ტახები აშიშშილეს და თავდამსხმელ ყიზილბაშებს შეუსიეს. მტერი უკან მოუხედავად გაიქცა“.

ამ ლეგენდის თანახმად, ყოველ წელს, ნეკრესობას მრევლი სხვადასხვა კუთხიდან მოდის ნეკრესის ტაძარში და მსხვერპლად ღორს სწირავს.

დღეისათვის, ნეკრესის სამონასტრო კომპლექსი სრულად აღდგენილია. უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევითა და წმინდა სინოდის ხელდასხმით აღდგა ნეკრესის ეპარქია და მის მმართველად დაინიშნა მთავარეპისკოპოსი სერგი (ჩეკურიშვილი), რომელიც ამჟამად მიტროპოლიტის ხარისხს ატარებს. კომპლექსში აღდგა მონასტრის ძმობა, აიგო სენაკები და სატრაპეზო. მონასტერში არსებობს ხატწერის სკოლა და წმინდა აბბოს ნეკრესელის სახელობის სასულიერო სემინარია.


ენო გვილიძე



# ქართული საბა პაკისტანში

**პოპულარული  
პაკისტანელი ქალის,  
მეჰერაფროზე მირზა  
ჰაბიბისა და მისი  
წინაპრების  
საქართველოში უცნობი  
ისტორია**

*პაკისტანის ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი და წარმატებული მეცენატი ქალბატონის შესახებ „ისტორიანს“ ირანისა და პაკისტანის ისლამურ რუსუბლიკებში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩმა უამბო. გიორგი ჯანჯღაგა მეჰერაფროზე მირზა ჰაბიბს კარაჩიში, შარშან ნოემბერში შეხვდა.*



წარმოშობით ქართველი ქალბატონით, მეჰერაფროზე მირზა ჰაბიბით საქართველოს ელჩი მას შემდეგ დაინტერესდა, რაც ოქსფორდის გამომცემლობამ მისი წიგნი, „ქართული საბა — კავკასიიდან მდინარე ინდამდე“ გამოს-

ცა. ავტორისა და წიგნისა შესახებ გიორგი ჯანჯღაგამ აშშ-სა და გაეროში საქართველოს ყოფილი ელჩებისგან შეიტყო.

„პრეზიდენტ ასიფ ალი ზარდარისთვის რწმუნებათა სიგელების გადასაცემად 2011



*მეჰერაფროზე მირზა ჰაბიბს საქართველოს სრულუფლებიანი ელჩი ირანსა და პაკისტანში, გიორგი ჯანჯღაგა 2012 წლის ნოემბერში, კარაჩიში შეხვდა*

წლის დეკემბერში პაკისტანის ისლამური რესპუბლიკის დედაქალაქში ჩავედი. ისლამაბადში ყოფნისას მოვიძიე ინფორმაცია ამ ქალბატონის შესახებ და ტელეფონით დაუკავშირდი. ჩემი ზარი ძალიან გაუხარდა. იმჟამად კარაჩიში იმყოფებოდა, რომელიც ისლამაბადიდან 1500 კილომეტრით არის დაშორებული. დროის სიმცირისა და დიდი მანძილის გამო მაშინ ვერ შევძელით შეხვედრა. მაგრამ მქონდა შეხვედრა მის შვილთან. ხოლო თვით მეპქერაფროზე მირზა ჰაბიბს შარშან ნოემბერში, კარაჩიში ყოფნისას შევხვდი“, — ამბობს გიორგი ჯანჯღავა.

### ქართული საგა

წიგნი „ქართული საგა — კავკასიიდან მდინარე ინდამდე“ ავტორმა მამის, მირზა ფეროზე ბეგის ხსოვნას მიუძღვნა. საგა მათი წინაპარი ქართველი თავადის, მირზა ხოსრო ბეგის ისტორიას მოგვითხრობს, რომელიც სინდის პროვინციის მმართველმა, მირ ქარამ ალი ხან ტალპურმა და ასევე ქართული წარმოშობის ფარიდანმა შეიფარეს. ამ ისტორიის მიხედვით, მან კავკასიიდან შორეული ინდის ნაპირებამდე რთული გზა გაიარა.

მირზა ხოსრო ბეგის მიერ სამშობლოს დატოვების ამბამდე ავტორი საზოგადოებას მოკლედ და პოპულარული ენით აცნობს საქართველოს ისტორიის ცალკეულ მონაკვეთს და იმ მიზეზებს, რამაც მისი წინაპარი 1800-იან წლებში სინდის პროვინციაში ჩაიყვანა.

ისტორიული ცნობების თანახმად, ტალპურები ბელუჯების ერთ-ერთი ტომიდან იყვნენ. ისინი სინდისა და პენჯაბის პროვინციაში ნადირ შაჰის შემოსევისას მოვიდნენ. ტალპურთა დინასტიას სათავე მირ ტალა ხანმა დაუდო.

ტალპურებმა მალევე შექმნეს კონფედერაცია სინდის იმჟამინდელი მმართველი დინასტიის, კალპორების წინააღმდეგ, თუმცა მოგვიანებით დაუზავდნენ მათ და გაერთიანდნენ სინდის პროვინციაში ბელუჯის დაუმორჩილებელი ტომების წინააღმდეგ. ზავიდან მალევე ტალპურებმა ძალაუფლება მოიპოვეს და პალანთან ბრძოლისას საბოლოოდ დაამხეს კალპორთა დინასტია. დიდ მოვალთა იმპერიის მმართველის, აკბარ შაჰ II-ის მიერ 1783 წელს გამოცემული ფირმანის შემდეგ კი ორი გვარი საბოლოოდ დაზავდა. ხოლო ფათეხ ალი



მირზა ფეროზე ბეგი, ქალბატონ მეპქერაფროზეს მამა

ხან ტალპური სინდის ახალი ნაიბი, ანუ მმართველი გახდა. ტალპურთა დინასტია მართავდა სინდის პროვინციას 1783-დან 1843 წლამდე, ვიდრე ბრიტანეთის ოსტინდურმა კამპანიამ არ დაამხო, რომელსაც გენერალი ჩარლზ ჯეიმს ნაპიერი მეთაურობდა.

სწორედ ტალპურთა დინასტიის წარმომადგენლებთან ახალგაზრდა ქართველი თავადის მირზა ხოსრო ბეგის ურთიერთობით იწყება და XX საუკუნის შუახანებამდე გრძელდება ქართული წარმომავლობის გავლენიანი პაკისტანური ოჯახის შესახებ ავტორის მონათხრობი.

„როგორი მკაფიოა ბავშვობის მოგონებები. მახსოვს, როგორ ვისხედით ბავშვები ჩვენი წინაპრების სახლის დია ეზოში და ვუსმენდით მამის ბებეას, რომელიც გვიამბობდა თავისი ბავშვობის წლებზე ტანდო ტოროში. გვიყვებოდა, როგორ იხსენებდა მისი ბავშვობისას მამა იმ ტრაგიკულ მოვლენას, რომელიც მრავალი წლის წინ მოხდა საქართველოში და რომელმაც საბოლოოდ გამოიწვია ჩვენი წინაპრების გამომგზავრება კავკასიიდან ინდისკენ.





მირზა ფათილ ბეგმა (1853-1929) სინდის ლიტერატურას დიდი ღვაწლი დასდო

ეს მონათხრობი იმდენად მკაფიო იყო, რომ უკვე ასაკში შესულმა გადაწყვეტიტე, მეტი შემეწვალა ამ ისტორიის შესახებ“, — წერს ავტორი.

სწორედ წინაპრების მემუარები, წერილები, მოგონებები უდევს საფუძვლად მონათხრობს მირზა ხოსრო ბეგისა და მისი შთამომავლების შესახებ. როგორც ირკვევა, ამ დოკუმენტების მნიშვნელოვანი ნაწილი სპარსულ ენაზეა შექმნილი.

### გზა თბილისიდან თბირანამდე

მეკერაფროზე მირზა ჰაბიბი წერს, რომ სინდის პროვინციაში მოსული მისი წინაპარი მირზა ხოსრო ბეგი, დაუდ ხანის შთამომავალი და უფლისწულ ალექსანდრეს უმცროსი ვაჟი იყო. საოჯახო არქივში დაცული მემუარების თანახმად, უფლისწული ალექსანდრე მეფე ერეკლე II-ის მხარდამხარ იბრძოდა ირანის შაჰის, ალა მახმად ხან ყაჯარის შემოსევისას და ამ ბრძოლაში დაიღუპა.

ამ დროს მას ორი ვაჟი ჰყავდა — 9 წლის ჰუმაიუნი და 7 წლის ხოსრო.

უფლისწულ ალექსანდრეს მამული, ავტორის განმარტებით, თბილისის გზაზე იყო, მდინარე მტკვრის მიმდებარედ. სპარსელთა შემოსევის შესახებ ცნობის მიღების შემდეგ მოსახლეობა გახიზნულა. ხოსროს უფროსი ძმა ავად ყოფილა და ჩამორჩენილა. უმცროსს ტირილი დაუწყია და ძმას ვერ მოაშორეს.

ჰუმაიუნისა და ხოსროს, მცველების მცირე რაზმთან ერთად, სასახლის ბაღისთვის შეუფარებიათ თავი.

კრწანისის ომში სპარსელთა გამარჯვების შემდეგ ერთ-ერთი სამხედრო მეთაური ალი მურად ხანი ბანაკში ბრუნდებოდა. მტკვრის სანაპიროზე მხლებლებთან ერთად მიაჭენებდა ცხენს, როცა ალექსანდრეს სასახლის ტერიტორიას გადააწყდა. სასახლის გაჩხრეკის შემდეგ ალი მურად ხანის ახალგაზრდა შვილიშვილებმა იპოვეს ბავშვები და ისინი სპარსეთის არმიის მხედართმთავრის, მოჰამედ იბრაჰიმ ხანის ბანაკში მიიყვანეს.

ჰუმაიუნი და ხოსრო ცალკე კარავში მოათავსეს. იმ დამით ნადავლის, ქალებისა და ბავშვების გაყოფისას ტყვეთა ბანაკში სპარსელ ჯარისკაცებს შორის დავა და ხმაური ატყდა. ეს ამბავი მოჰამედ იბრაჰიმ ხანის ყურამდეც მივიდა და საქმის გამოსაძიებლად ბანაკს თავად წყვია. სწორედ მაშინ შენიშნა პატარა ბიჭი, რომელიც საწყალობლად ტირიოდა. სარდალმა შეამჩნია, რომ ის უბრალო ბავშვი არ იყო. მდიდრულად ეცვა და აშკარად ემჩნეოდა, თავადის ოჯახიდან უნდა ყოფილიყო. იბრაჰიმ ხანი მივიდა ბიჭთან და ტირილის მიზეზი თურქულად ჰკითხა. ბავშვმა უთხრა, რომ მას ხოსრო ჰქვია, ხოლო მისი უფროსი ძმა, რომელიც ავად იყო, გამთენიისას გარდაიცვალა და მისი ცხედარი ამ დრომდე კარავშია.

სარდალმა ბრძანება გასცა, ცხედარი ჩვეულებრივ, მუსლიმური წესით დაეკრძალათ. იბრაჰიმ ხანი მგრძობიარე ადამიანი იყო, ამასთან თითქმის ხოსროს თანატოლი შეილებიც ჰყავდა. ამიტომ მასზე ზრუნვა გადაწყვიტა, ბრძანება გასცა, ბიჭი მის კარავში გადაეყვანათ, რადგან ამიერიდან მფარველობას გაუწევდა.

არმიის თეირანში დაბრუნების შემდეგ მოჰამედ იბრაჰიმ ხანმა ხოსრო შინ მიიყვანა,

წარუდგინა მათ, როგორც საქართველოს საუფლისწულო ოჯახის შვილი და გასცა ბრძანება, ღირსეულად მოპყრობოდნენ, როგორც ოჯახის წევრს.

ხოსრო ოჯახის დიასახლისმაც შვილად მიიღო. ის იბრაჰიმ ხანის ვაჟთან, მირზა მოჰამედ ხანთან ერთად იზრდებოდა. სწავლობდა სპარსულსა და არაბულს. ქართველი დიდგვაროვანი მეურვის ოჯახში რამდენიმე წლის განმავლობაში, იბრაჰიმ ხანის გარდაცვალებამდე ცხოვრობდა.

მფარველის გარდაცვალების შემდეგ ის შირაზში, მედრესეში გააგზავნეს სასწავლებლად.

ამ პერიოდში ალა მაჰმად ხანი მოკლეს და სპარსეთის ტახტზე მისი ძმისშვილი ფათჰალი-ხანი ავიდა ბაბა ხანის სახელით.

### ინდის ნაპირებისკენ

„ქართული საგას“ ავტორი წერს, რომ ხოსრო მირზას შირაზში ყოფნისას, ირანის ახალ შაჰს სინდის პროვინციიდან ელჩი ეწვია, სეიდ მოჰამედ ისმაილი. მოხდა ისე, რომ ფათჰალი-შაჰისთვის ბიძის გარდაცვალების გამო სამძიმრის სათქმელად ელჩს შირაზში მოუხვდა ჩასვლა.

ხოსროს მეურვემ, რომელიც შაჰის ყოფილი ვეზირი და სინდის მმართველის წარმოგზავნილთან დაახლოებული პირი იყო, ელჩს ქართველი ბიჭის კეთილშობილი წარმომავლობის შესახებ უამბო. უთხრა ისიც, რომ ახალგაზრდაზე შესაბამისად ვეღარ ზრუნავდა მას შემდეგ, რაც ვეზირის სახელო ჩამოართვეს. სწორედ მეურვემ შესთავაზა ელჩს, ხოსრო მირზა სინდის მმართველის, მირ ქარამ ალი ხან ტალპურისთვის ჩაეყვანა. მას შვილი არ ჰყავდა და ეძებდა კეთილშობილი წარმომავლობის ახალგაზრდას, რათა შვილად აეყვანა და მემკვიდრედ დაესახელებინა.

მეურვემ ხოსროსაც ურჩია, ელჩის ქარავანს გაჰყოლოდა, თუკი შაჰი თანხმობას განაცხადებდა.

სეიდ მოჰამედ ისმაილმა სთხოვა ფათჰალი-შაჰს, ხოსროსთვის მასთან ერთად გამგზავრების ნება მიეცა და დასძინა, რომ კეთილშობილი ქართველი, სინდის მმართველისთვის, სპარსეთის მმართველის მიერ მიძღვნილი შესანიშნავი საჩუქარი იქნებოდა. შაჰმაც თანხმობა სიხარულით გასცა. ელჩი კი დაპირდა ხოსროს მეურვეს, რომ სინდის



მირზა ყალბის ბეგის პირდაპირი წინაპარი ნადირ შაჰს ლაშქრობებში ახლდა

მმართველის კარზე მას კარგი მომავალი ელოდა...

### ქართველი მირზას კაკისტანელი მემკვიდრეები

ხოსრო მირზა სინდის მმართველთან 1805 წელს ჩავიდა. მირ ქარამ ალი ხანმა და მისმა ოჯახმა ქართველი უფლისწული შვილად მიიღო. სწორედ ხოსრო მირზას შთამომავალია წიგნის „ქართული საგა — კავკასიიდან მდინარე ინდამდე“ ავტორი. ის მირზა ყალბის ბეგის ოჯახში დაიბადა, რომელიც ცნობილი ლიტერატორი გახლდათ და დიდი ღვაწლი დასდო სინდის ლიტერატურას.

„ქალბატონი მეჰერაფროზე მირზა ჰაბიბი ამ წიგნში მხოლოდ წინაპრის, ხოსრო მირზას სინდის პროვინციაში ჩამოსვლის ისტორიას როდი ასახავს XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე, არამედ მისი შთამომავლების ცხოვრებასაც.





ერეკლე II-ის მხარდამხარ ბრძოლისას დაიღუპა ხოსრო მირზას მამა, უფლისწული ალექსანდრე

დღეს მეჰერაფროზე მირზა ჰაბიბი გახლავთ პაკისტანში ცნობილი და გაგლენიანი ჰაბიბების გვარის წარმომადგენელი, რომელიც დაახლოებულია ქვეყნის პოლიტიკურ ხელმძღვანელობასთან.

იგი სრულიად პაკისტანის ქალთა საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი. ჰაბიბების გვარს ეკუთვნის 1841 წელს დაარსებული House of Habib-ი ([www.hoh.net](http://www.hoh.net)), რომელშიც გაერთიანებულია რამდენიმე მსხვილი კომპანია, როგო-

რებიცაა Indus Motor Company-Toyota/Daihatsu, Habib Bank-ი, Habib Insurance Company.

გარდა წინაპართა მიერ განვლილი გზისა, წიგნში გვხვდება მონათხრობი საქართველოს ისტორიის ცალკეული მონაკვეთის შესახებ. ამ ისტორიის თხრობისას დაშვებულია რიგი უზუსტობები, თუმცა მთავარია, რომ ამ ქალბატონსა და ამ ოჯახს სურს ქართველობა, თავი ქართველად მიაჩნია და უყვარს საქართველო“, — ამბობს გიორგი ჯანჯღავა.

მეჰერაფროზე მირზა ჰაბიბი წერს, რომ ხოსრო მირზას შთამომავალთა ნაწილი დღესაც ცხოვრობს კარაჩიში. ნაწილიც — ტანდოტოროში.

მისი წიგნის მიხედვით, რომელიც წინაპართა მემკურების, წერილებისა და დოკუმენტების საფუძველზე დაიწერა, ისინი ქართველ დიდგვაროვნთა შთამომავლები უნდა იყვნენ. შესაძლოა სწორედ ამიტომაც ატარებდნენ ხოსროც და მისი მემკვიდრეებიც ტიტულს — მირზა. თუმცა ამ ისტორიაში ბევრი რამ არის დასაზუსტებელი. პირველ რიგში, კერძოდ რომელი დაუდ ხანის შთამომავალი შეიძლება იყო უფლისწული ალექსანდრე, ან ახლდა თუ არა ასეთი პირი ერეკლე II-ს კრწანისის ომში.

გაურკვევლობას იწვევს ხოსრო მირზას უფროსი ძმის სახელიც, ჰუმაიუნი — რომელიც ქართული წარმოშობის ამკარად არ ჩანს. თუმცა იმ მასალის შესწავლის შემდეგ, რომელიც ქართველი მირზას მემკვიდრეების, ასევე პაკისტანის თუ ბრიტანეთის არქივებშია დაცული, შესაძლოა ბევრ ბუნდოვან დეტალს მოეფინოს ნათელი.

6060 ჰაზარაძე

1795 წლის კრწანისის ბრძოლა, ბორის რომანოვსკი, 1939 წ.



# დუელის ფანოზენი



## კონფლიქტი დაფერილ და დაუფარელ კანონებს შორის (პირველი ნაწილი)

*დუელი სპეციფიკურად ევროპული ფენომენია და სწორედ ეთნოკულტურულ ტრადიციათა სხვაობის გამო, ის უბრალოდ ვერ დაინერგებოდა აღმოსავლურ სამყაროში, სადაც სატიისფაქციის საუკუნეობრივი და მყარი ტრადიცია არსებობდა, ხოლო ნოუატორული სულით გაჯერებულ ამერიკაში კი იშვიათი ტრაგიკომიკურობის პიბრიდები წარმოშვა (უფრო დაწვრილებით ამ თემაზე ჟურნალის მომდევნო ნომერებში ვისაუბრებთ).*

ევროპაში დუელი, როგორც პიროვნების ღირსების დაცვის საშუალება, რაინდული ორთაბრძოლებიდან იღებდა სათავეს. დუელის არქეტაპულ ფორმად „დვთის სამსჯავრო“ მიიჩნევა, რომელიც შუა საუკუნეებში ხელისუფალთა მიერ იმ შემთხვევაში ინიშნებოდა, თუ უპატიებელ საქციელში ეჭვიშანილი არისტოკრატები ერთმანეთს ადანაშაულებდნენ, მაგრამ გარდა სიტყვიერი მტკიცებისა, სხვარამ სამხილი არ გააჩნდათ. ასეთ სიტუაციაში მტყუან-მართლის გამოვლენას იღბალს (ანუ — ზეგარდმო სამართალს) „გადააბარებდნენ“: დამარცხებული და მიწას გართხმული, რაღა

თქმა უნდა, ის იქნებოდა, ვისაც ცრუ ფიცის ცოდვა ამძიმებდა.

დუელს (რომელიც ევროპაში XVI საუკუნის პირველ ნახევარში გავრცელდა), წინ ერთი ისტორიული ეპიზოდი უძლოდა: საფრანგეთის მეფემ ფრანსუა I-მა, საღვთო რომის იმპერიის იმპერატორ კარლოს V-ის უტაქტობა პირად შეურაცხყოფად აღიქვა და „კოლეგა“ ორთაბრძოლაში გამოიწვია. მართალია, გამოწვევა უსისხლოდ დამთავრდა, მაგრამ ამ პრეცედენტს ევროპაში დუელების ნამდვილი ეპიდემია მოჰყვა. XVI საუკუნის საფრანგეთში დუელებს მეტი თავდა-აზნაური შეეწირა, ვიდ-





ფრანსუა I, საფრანგეთის მეფე



შუა საუკუნეების  
ოსტატის  
დამზადებული  
დაშნის ვადა

რე რამდენიმეწლიან სამოქალაქო ომს. აბსოლუტიზმის განმტკიცების პერიოდში, ანრი IV-ის ქრონისტებმა, მისი მეფობის 16 წლის განმავლობაში (1594-1610) დუელებში დაღუპულთა რიცხვი 8 ათასი კაცით განსაზღვრეს.

ფრანსუა I-ის მაგალითი მისაბადი აღმოჩნდა. ერთი საუკუნის შემდეგ, შვედეთში, სადაც სიმაძაციტა და მხედართმთავრის ნიჭით გამორჩეული მეფე გუსტავ ადოლფუსი სასტიკად სდევნიდა დუელანტებს, მან გაფიცებისას სილა გააწნა ერთ-ერთ თავის პოლკოვნიკს. ეს უკანასკნელი, მეფეს, ცხადია, დუელში ვერ გამოიწვევდა, მაგრამ თავის ქვეყანაში დარჩენა აღარ ისურვა და უცხოეთს მიაშურა. ამ ამბის შეტყობისთანავე, მეფე ზედ საზღვარზე დაეწია შეურაცხყოფილ ქვეშევრდომს, სადუელო დამბაზა გაუწოდა და ასე მიმართა: „აქ, სადაც მთავრდება ჩემი სამეფო, გუსტავ ადოლფი უკვე მეფე აღარ არის და როგორც წესიერი ადამიანი, მზად ვარ პასუხი ვაგო მეორე წესიერი ადამიანის წინაშე“.

დუელის მთელი ისტორია — ეს არის კონფლიქტი დაწერილ და დაუწერელ კანონს შორის (სხვაგვარად, მორალსა და სამართალს შორის). ამიტომაც, ყოველთვის ძალიან ძნელი იყო კონფლიქტური ვითარების გადაჭრის ამ ისტორიულ-კულტურული მოდელის სიღრმისეული და ობიექტური კვლევა: თუ ერთნი, დუელის „სიტუაციური უნიკალურობიდან“ გამომდინარე, ამ აქტში აბსოლუტიზმის წინააღმდეგ მიმართულ ამბოხს ხედავდნენ, მეორენი მას დღემდე „კულტურული სტატუსის მქონე აგრესიულ ქმედებად“ მიიჩნევენ.

ჩვენთვის ესოდენ საინტერესო სურათის სისრულისთვის, დუელის ისტორიული რეტროსპექტივა იარაღიდან დაიწყო: XVI საუკუნიდანვე ძირითად სადუელო იარაღად მიიჩნეოდა დამბა, თუმცა მიმართავდნენ ხმალსაც (გერმანიასა და ავსტრია-უნგრეთში XIX საუკუნის ბოლომდე) და, ზოგჯერ — ხანჯალსაც კი (ეს, უპირატესად ესპანეთში, უთუოდ, არაბული გავლენით). ზოგიერთ ქვეყანაში სადუელო იარაღის შერჩევა რეგლამენტირებული იყო: ასე მაგალითად, თუ ევროპაში სადუელოდ დამბის სახეობათაგან, როგორც წესი, ყველაზე საშიშს — რაპირას ირჩევდნენ, XIX საუკუნიდან გერმანიაში იწყება მისი აკრძალვა და 1840 წელს იენის უნივერსიტეტი ბოლო იყო, რომელმაც რაპირა ესპადრონით შეანაცვლა.


XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან ევროპაში სადუელო იარაღად, დაშნის პარალელურად, დამბაჩაც გავრცელდა. თავდაპირველად კაჟის, ხოლო XIX საუკუნის 30-იანი წლებისთვის უკვე დენთის პისტონებით აღჭურვილი, რომელიც, რაც უნდა გასაკვირი იყოს, 1805 წელს, ნადირობით გატაცებულმა ინგლისელმა მღვდელმა — ალექსანდრ ფერგიუსონმა გამოიგონა (ცნობილია, რომ პუშკინსა და დანტესს დუელის დროს დამბაჩების სწორედ ასეთი წყვილი ჰქონდათ). ეს „წყვილი იარაღი“, რომლის თითოეული ცალი აბსოლუტურად იდენტური უნდა ყოფილიყო (მათ მხოლოდ ნომრის აღმნიშვნელი დამლა განასხვავებდა), დუელის აუცილებელი ატრიბუტი გახლდათ. მხოლოდ უიშვიათეს შემთხვევაში („მესამე ხარისხის“ შეურაცხყოფის დროს) დუელანტებს შეეძლოთ ერთი კალიბრის, მაგრამ თავ-თავიანთი იარაღი ჰქონოდათ (აქვე შევნიშნავ, რომ გასული საუკუნის 60-იან წლებში ჩატარებულმა საკონტროლო გასროლებმა ცხადდევს, რომ პისტონიანი და ღარლულიანი სადუელო დამბაჩის ტყვია 25 მეტრის მანძილზე ისევე ატანდა ერთმანეთზე მიწყობილ ფიჭვის რვა ფიცარში, როგორც ჩვენთვის კარგად ცნობილი პისტოლეტი TT).

შეურაცხყოფის ხარისხის დადგენა, ისევე როგორც შესატყვისი იარაღის შერჩევა — სეკუნდანტების მოვალეობა იყო. „სადუელო კოდექსის“ შემუშავებამდე სეკუნდანტები მხო-



გუსტავ II ადოლფუსი, შვედეთის მეფე

ილუსტრაცია  
პირველი  
ცნობილი  
დუელის  
კოდექსიდან,  
რომელიც  
დაახლოებით  
1410 წელს  
გამოჩნდა  
იტალიაში





ლოდ დამკვიდრებულ ტრადიციას ეყრდნობოდნენ, მაგრამ მას შემდეგ, რაც 1836 წელს გრაფმა დე შატოვილიარმა გამოაქვეყნა პირველი ბეჭდური „სადუელო კოდექსი“, სატი-სფაქციის (შეურაცხყოფილის დაკმაყოფილება, რაც დუელში გამოწვევის მიღებით გამოიხატებოდა) მიზეზთა კლასიფიკაციას უფრო მყარი საფუძველი დაედო.

დუელის მოდა, ისე როგორც მისი წესები, ევროპაში ტრადიციისამებრ საფრანგეთიდან მოდიოდა და არავის უკვირდა, რომ მაგალითად გერმანელი სტუდენტები, რომელთათვისაც, რუსი არისტოკრატებისგან განსხვავებით, ფრანგული მეორე ენად არ ქცეულა, დუელის დროს სწორედ ფრანგულ ენას მიმართავდნენ.

თითქმის მთელი XIX საუკუნის განმავლობაში დუელანტები ძირითადად ზემოთ მოხსენიებულ შატოვილიარის კოდექსით ხელმძღვანელობდნენ. საუკუნის დასასრულისთვის შატოვილიარის ნუსხა შეცვალა გრაფ დე ვერჟეს „სადუელო კოდექსმა“, რომელიც ევროპული დუელიანის ოთხსაუკუნოვან გამოცდილებას ითვალისწინებდა.

სადუელო კოდექსის ფუნდამენტურ ცნებას წარმოადგენდა საკუთრივ დუელის განმარტება, რომელიც ფრანც ფონ ბოლგარმა წარმოადგინა წიგნში „დუელის წესები“: „დუელი — ეს არის ორ პირს შორის წინასწარი შეთანხმების შედეგად წარმოებული ორთაბ-

როლა მომაკვდინებელი იარაღით, დადგენილი წესებითა და მოპირისპირე მხარეთა მიერ მოხმობილი მოწვევის თანდასწრებით. მიზეზი დუელისა — ეს არის ერთი პირის მიერ მეორის გამოწვევა მიყენებული შეურაცხყოფის სატი-სფაქციისთვის“.

ამის შემდგომ უმნიშვნელოვანესი იყო შეურაცხყოფის ხარისხის გარკვევა, რადგან სწორედ ამ კლასიფიკაციას ეყრდნობოდა სატი-სფაქციის ფორმა — დუელის პროცედურის, სადუელო იარაღის არჩევისა და შესაფერისი ატრიბუტიკის ყველა დეტალის გათვალისწინებით.

სქემატურად, ეს კლასიფიკაცია ამგვარი გახლდათ:

ა) უმნიშვნელო შეურაცხყოფა, რომელიც, როგორც წესი, კონკრეტულ არისტოკრატიულ თუ ოფიცერთა წრეში მიღებულ ურთიერთობათა ნორმების ხელყოფით გამოიხატებოდა (ეტიკეტის დარღვევა, გარეგნობისა თუ მანერების ირონიული მოხსენიება და სხვ.).

თუ სადუელო გამოწვევის (კარტელის) მიზეზად ქცეული ინციდენტი მიღებული წესებიდან უნებლიე გადაცდენა იყო ან მართლაც ძალიან უმნიშვნელო, შესაძლებელი ხდებოდა სეკუნდანტების მეშვეობით კონფლიქტის უსისხლოდ მოგვარება (როგორც წესი — მონანიების წერილობითი დასტურის საფუძველზე). თუ შეურაცხყოფილს არ აკმაყოფილებდა ამგვარი მონანიება, კოდექ-



დენტის პისტონებით აღჭურვილი სადუელო დაშბაჩები ნადირობით ვატაცებულმა ინგლისელმა მღვდელმა — ალექსანდრ ფერგიუსონმა გამოიგონა

სის თანახმად, მას იარაღის არჩევის უფლება ეძლეოდა;

ბ) **სიტყვიერი შეურაცხყოფა** გულისხმობდა როგორც ადრესატის მისამართით გამოთქმულ შეურაცხმყოფელ ტექსტს, აგრეთვე მის დადანაშაულებას (საჯაროდ თუ ზურგსუკან) უღირს საქციელში ან თვისებებში. შეირგება აქ პრაქტიკულად გამორიცხული იყო, ხოლო შეურაცხყოფილს უფლება ჰქონდა, გარდა იარაღისა, დუელის სახეობაც აერჩია (ანუ — პირველ სისხლამდე, სერიოზულ ჭრილობამდე ან ერთ-ერთის სიკვდილამდე);

გ) **ქმედებით შეურაცხყოფა** არ გახლავთ ზუსტი ანალოგი იმისა, რასაც ჩვენ დღეს ფიზიკურ შეურაცხყოფას ვუწოდებთ, რადგან გულისხმობდა ადრესატისკენ მიმართულ ნებისმიერ აგრესიულ ქმედებას ან მოძრაობას. უკიდურესი შეურაცხყოფის ფორმა აქ სილის გაწვნა იყო (და არა მუშტის, სხვათა შორის) და მიზეზ-შედეგობრივი თვალსაზრისით, შეურაცხყოფილის ფერხთ დაგდებული ხელთმანი სიმბოლურად სწორედ სილის გაწვნას ასახიერებდა. სადუელო კოდექსის კლასიფიკაციის თანახმად, ეს, მესამე რანგის შემთხვევა, ანუ ქმედებით შეურაცხყოფა შეურაცხყოფილს (გარდა იმ პრივილეგიებისა, ზემოთ რომ ვახსენეთ) სადუელო დისტანციის არჩევის ნებასაც აძლევდა (ცხადია, იმ შემთხვევაში, თუ დამბაჩებით წარმოებდა ორთაბრძოლა), რასაც, პრაქტიკულად, დუელის უსისხლო ფინალი უნდა გამოერიცხა.

სადუელო კოდექსის პარაგრაფების რეალურ სინამდვილესთან ბოლომდე მისადაგება მაინც შეუძლებელი იყო, რადგან ვერც ერთი სქემა ვერ გაითვალისწინებდა იმ მოულოდნელ დეტალებსა და ნიუანსებს, რაც ნებისმიერ კონფლიქტურ სიტუაციაში ახლავს.

ასე მაგალითად, 1721 წელს ირლანდიაში აღწერილია შემთხვევა, როცა უმნიშვნელო შეურაცხყოფის კლასიფიკაციით დაწყებული დუელი ორ ახალგაზრდა ირლანდიელს შორის სეკუნდანტებმა ვერანაირად ვერ განმუხტეს, რასაც შედეგად ერთ-ერთის სიკვდილი მოჰყვა. ყველაზე ოდიოზური ამ ისტორიაში დუელის მიზეზია — ორი განუყრელი მეგობარი რომელიღაც ბერძნული სიტყვის წარმოთქმის სისწორეზე ვერ შეთანხმდა...

თავად სეკუნდანტების როლიც განსხვავებული იყო სხვადასხვა ეპოქაში. XVI საუკუ-



*ნეაპოლში 1552 წელს იზაბელა დე კარაზი და დიამბრა დე პოტინელო მამაკაცის გულისთვის ერთმანეთს დუელში შეერკინნენ. ორთაბრძოლას ესპანეთის მეფისნაცვალმა ვასტო და მრავალი მყურებელი შეესწრო. მანამდე ქალბატონებმა მილანის ქალთა მონასტერში ოთახი ითხოვეს ვითომ ერთობლივი ლოცვისთვის (ზოსე რივერა, 1636 წ.)*

ნეში და XVII-ის დასაწყისში საფრანგეთში სეკუნდანტები, როგორც წესი, თვითონაც ებმებოდნენ დუელში. ისე რომ, ალექსანდრე დიუმას მიერ აღწერილი კონფლიქტური დუელების მიზანსცენები ნამდვილად არ არის მხატვრული ფანტაზიის ნაყოფი. შემდგომ ისტორიულ პერიოდში სეკუნდანტი თანამებრძოლის ფუნქციიდან თავისუფლდება და ერთგარი მომრიგებელი მოსამართლის როლს ასრულებს. 1818 წელს გამოცემული აბრაამ ბოსკეტის „სადუელო ტრაქტატში“ უკვე გარკვევით წერია, რომ „სეკუნდანტის მოვალეობა — იშუამდგომლოს კონფლიქტში და მაქსიმალურად შეუწყოს ხელი ვნებათაღელვის დაცხრომას“.

სხვათა შორის, სეკუნდანტის როლიც არ გახლავთ მთლად უზიფათო. ამის საილუსტრაციოდ, რიჩარდ პოპტონს თავის კაპიტალურ ნაშრომში დუელის ისტორიის შესახებ





მენზურა — სტუდენტური დუელი გერმანიაში. დუელი გერმანელებმა ექსტრემალურ სპორტს დაამხვავეს ის ყველაზე მეტად სწორედ სტუდენტურ წრეებში გავრცელდა

ასეთი ტრაგიკომიკური შემთხვევა მოჰყავს: დუელის ერთ-ერთ ტრადიციულ სახეობაში, მოწინააღმდეგენი თავდაპირველად ზურგით ღვანან ერთმანეთთან სადუელო არენის ცენტრში; ამის შემდგომ, სეკუნდანტის ნიშანზე, დაშვებული დამბაჩებით ნელი ნაბიჯით მიდიან არენის კიდევზე მონიშნულ ბარიერთან, უცდიან სეკუნდანტის მეორე ნიშანს და შემოტრიალებებისთანავე ესვრიან ერთმანეთს. დაუჯერებელია, მაგრამ ერთ-ერთ ასეთ დუელზე ორივე ტყვია ერთდროულად სეკუნდანტს მოხვდა და ადგილზევე განგმირა...

### დუელის გეოგრაფია

XIX საუკუნის დასაწყისის ირლანდიელი ავტორის, ჯოზეფ ჰამილტონის „სადუელო ცნობარი“ ცხადყოფს, როგორი პათოსით აიტაცეს ფრანგული მოდა მეზობელ ქვეყნებში. თუმცა თავ-თავისი კვალი ყველამ დააჩნია. თუ გულფიცხი ირლანდიელები უმცირესი მიზეზის გამო აკვდებოდნენ ერთმანეთს, რაციონალურმა გერმანელებმა დუელი სულ უფრო და უფრო დაამსგავსეს ექსტრემალურ სპორტს:


აქ დუელი ყველაზე მეტად სტუდენტურ წრეებში გავრცელდა (ცალკე ტერმინიც კი არსებობდა სტუდენტური დუელის აღსანიშნავად — „მენზურა“) და ის, რაც დანარჩენ ევროპაში სადუელო კოდექსით აკრძალული იყო, აქ, პირიქით — ტრადიციად დაინერგა: დამცავი კორსეტები, „კაშნეები“ და სხვ.; საგანგებო დეზინფექცია უტარდებოდა იარაღს („პალაშს“ — ორლესულ მახვილს, რომელმაც შეანაცვლა აკრძალული რაპირა; სადუელო იარაღის ეს ნაირსახეობა, როგორც წესი, მხოლოდ ბოლო 10 სანტიმეტრზე იყო კარგად გალესილი, წვეტი უბრალოდ არ ჰქონდა და, პრაქტიკულად, სასიკვდილო იარაღად არ მიიჩნეოდა).

შესაბამისად, იმდროინდელი გერმანული სადუელო სტატიისტიკა მეტყველებს, რომ 20 ათას დუელზე წელიწადში, უამრავი ნაიარევი მოდიოდა და თითზე ჩამოსათვლელი ფატალური შემთხვევები. ამ ნაიარევებით განსაკუთრებით ამაყობდნენ „ბურშები“ — სტუდენტურ კორპორაციათა წევრები (ერთი ამითგანი ოტო ბისმარკი გახლდათ, რომელმაც გეტინგენის უნივერსიტეტში სწავლისას, წელი-

წად-ნახევრის განმავლობაში 27 დუელში მონაწილეობა მიახერხა).

XVII საუკუნის საფრანგეთის სადუელო რომანტიკა ჩვენ ედმონ როსტანის დრამატურგიაში და ალექსანდრე დიუმა(მამის) რომანებში გაგვაცნო. როსტანის გმირის, სირანო დე ბერჟერაკის პროტოტიპს — მესიერ დე ბერჟერაკს (1619-1655) დუელებში მინიმუმ ათი კაცი ჰყავდა მოკლული და მისი სახელი იმთავითვე ყველას პირზე ეკერა. ბერჟერაკზე არანაკლებ პოპულარული იყო კარდინალი დერეცი (1613-1679), რომელსაც სასულიერო წოდებამ ვერ შეუშალა ხელი ვერც სასიყვარულო და ვერც სადუელო ასპარეზზე. მის თანამედროვე მუშკეტერ შარლ დე ბაცს კი პოპულარობა უკვე ორი საუკუნის შემდეგ ზედა წილად — დიუმას ლიტერატურულ პერსონაჟად — დ'არტანიანად სახელდებულს.

XVII საუკუნის 50-იანი წლებისთვის საფრანგეთში არსებული სიტუაციით შეშფოთებული ვოლტერი წერდა, რომ „დუელი, ეს გოთური ბარბაროსობა ერის ნობილიტეტს (დიდებულებს) გაწყვეტით ემუქრება, რადგან ეროვნული ხასიათის ნაწილად იქცა“. ეს „მასობრივი ჭკუასგადაცდენა“ XIX საუკუნემდე გაგრძელდა: ფრანგული პრესის ამომავალი ვარსკვლავი — ემილ დე ჟირარდენი 1836 წელს დუელში იწვევს თავის კოლეგას — არმან კარელს, რომელსაც ეს ორთაბრძოლა სიცოცხლის ფასად უჯდება; გამოჩენილი ჟურნალისტი — ანრი რომფორი რამდენიმე დუელის ინსპირატორია (აქედან ერთ-ერთი — აშილ მიურატთან ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა, რადგან მოგვსენებათ — ფრანგი პრინცი სალომე დადიანის მეუღლე იყო). XIX საუკუნის შუა წლებისთვის სადუელო აჟიოტაჟი მეტ-ნაკლებად ცხრება და სულ უფრო და უფრო იღებს სიმბოლურ ხატისფაქციის ფორმას (რასაც ძალიან წააგავს „ქართული დუელები“, რომელთაც მკითხველი პუბლიკაციის ბოლო ნაწილში გაეცნობა). ამ მეტამორფოზის ერთ-ერთი კონკრეტული ნიმუში განუმეორებელი იუმორით აღწერა მარკ ტვენმა XIX საუკუნის 70-იანი წლების ორი გამოჩენილი ფრანგი პოლიტიკოსის — ლეონ-მიშელ გამბეტასა (რომლის სეკუნდანტიც თავად მარკ ტვენი გახლდათ) და მარი-ფრანსუა ფურტუს მშვიდობიანი დუელის მაგალითზე.



რეპორტაჟი დუელის შესახებ Le Petit Journal-ში, 1890 წ.

შემდგომი თაობის ფრანგმა პოლიტიკოსებმა, მწერლებმა და ჟურნალისტებმა შესაშური ენთუზიაზმით აიტაცეს ეს იდეა: მიიჩნეოდა, რომ ჟორჟ კლემანსო (რომელიც ორჯერ ედგა სათავეში მინისტრთა კაბინეტს) ოცზე მეტ (საბედნიეროდ, უმსხვერპლო) დუელში მონაწილეობდა; 1897 წელს ისეთმა ანაქორეტმაც (განდევნილმა) კი, როგორც მარსელ პრუსტი იყო, მორალური შეურაცხყოფისთვის დუელში გამოიწვია ჟურნალისტი ჟან ლორენი (მათი ორ-ორი გასროლა უშედეგოდ დამთავრდა); დასასრულ, საფრანგეთში სოციალისტური მოძრაობის ლიდერი და საყოველთაო მშვიდობის აპოლოგეტი ჟან ჟორესი, პოლიტიკური დისკუსიის დროს განწყვენებული, 1904 წლის დეკემბერში დუელში იწვევს თავის ოპონენტს, პოლ დელურედს. ეს დუელიც უშედეგოდ დამთავრდა, თუმცა, ეტყობა, ჟორესის ბედი სწორედ ტყვიისგან სიკვდილი იყო. ათი წლის შემდეგ იგი, პარიზის კაფეში განიგმირა ულტრანაციონალისტი მკვლელის ხელით...

ზაზა აზზიანიძე





# დიდი არმიის „წაუგებელი დაპარსება“

## ნაპოლეონის რუსული კამპანია

*„დასასრულის დასაწყისი“ — ასე შეფასდა 1812 წლის რუსული კამპანია ნაპოლეონის ეპოპეაში. რივოლის, არკოლის ხიდის, მარენგოს, აუსტერლიცის, ფრიდლანდის თუ ვაგრამის ბრძოლების შემოქმედ ფრანგულ არმიას ნაპოლეონის მეთაურობით, ღრმად სჯეროდა მომავალი გამარჯვების, თუმცა ეს კამპანია საბედისწერო გამოდგა პირველი ფრანგული იმპერიისთვის. „დიდი ფრანგული არმია“ რუსეთის უზარმაზარ ტერიტორიაზე კატასტროფისთვის იყო განწირული. რუსეთის ისტორიაში 1812 წელი პირველი სამამულო ომის სახელით შევიდა. მოგვიანებით წმინდა ელენეს კუნძულზე გადასახლებული ნაპოლეონი ამბობდა: „მოსკოვში შესვლისთანავე უნდა მოემკვდარიყავი“.*

რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობა XIX საუკუნის დამდეგს არცთუ სახარბიელო იყო. 1805 წელს აუსტერლიცის ბრძოლაში რუსულ-აუსტრიული ჯარების სასტიკად დამარცხების შემდეგ ფრთებშესხმული საფრანგეთის იმპერატორი ევროპის რუკის „მოწყობას“ განაგრძობდა. 1806 წლის 21 ნოემბერს ბერლინში ნაპოლეონ ბონაპარტმა ხელი მოაწერა დეკრეტს „კონტინენტური ბლოკადის“ შესახებ, რის მიხედვითაც საფრანგეთის მიერ დაპყრობილ და მის მოკავშირე ქვეყნებს ინგლისთან ვაჭრობა ეკრძალებოდათ. ამით ბონაპარტს სურდა, ძლიერი დარტყმა მიეყენებინა ინგლისის ეკონომიკისთვის, თუმცა ეს დარტყმა მძარბოვანი აღმოჩნდა ასევე კონტინენტის ქვეყ-

ნებისკენაც, რადგან საფრანგეთი ძლიერი ფლოტის გარეშე ვერ ახერხებდა, მთლიანად გაეკონტროლებინა ევროპის კონტინენტი და შესაბამისად, კონკურენცია გაეწია ინგლისური პროდუქციისთვის.

1807 წელს ნაპოლეონმა ორჯერ იბრძოლა რუსეთის წინააღმდეგ. ზამთარში პრესბურგის ბრძოლაში ფრანგებს გაუჭირდათ გამარჯვება, ხოლო ზაფხულში ფრიდლანდის ბრძოლაში ნაპოლეონმა კიდევ ერთხელ და უფრო დამაჯერებლად დაამარცხა რუსები. ამ ბრძოლებს მოჰყვა რუსეთ-საფრანგეთის შორის 1807 წელს დადებული ტილზიტის ზავი, რომლის მიხედვითაც რუსეთმა აღიარა ნაპოლეონის დაპყრობილი ტერიტორიები. ეშმაკმა ბი-

ზანტიელმა, როგორც ნაპოლეონი უწოდებდა რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე I-ს, ტილზიტში განუცხადა საფრანგეთის იმპერატორს, რომ რუსებისა და ფრანგების საერთო მტერი ინგლისი იყო.

„კონტინენტური ბლოკადა“ ძალიან ართულებდა მდგომარეობას ევროპის კონტინენტზე. სწორედ ამ დეკლარაციის დარღვევის გამო 1807 წელს ნაპოლეონმა ჯარები შეიყვანა ესპანეთში, სადაც ფრანგების მდგომარეობა გართულდა. ინგლისთან ვაჭრობა ესაჭიროებოდა რუსეთსაც, რომელიც როგორც საფრანგეთის მოკავშირე, ამ უფლებას მოკლებული აღმოჩნდა. რუსული ხორბალი ვერ პოულობდა გასაავალს ინგლისისკენ, ასევე ინგლისური პროდუქციისთვის დახურული აღმოჩნდა რუსეთის ბაზარი. ამას ემატებოდა ნაპოლეონის მიერ ჯერ კიდევ 1806 წელს დაპყრობილი ვარშავის საჰერცოგოს შექმნის შედეგად გაჩენილი პლაცდარმი, საიდანაც ფრანგებს რუსეთში გალაშქრება შეეძლოთ.

დაძაბულ მდგომარეობასთან ერთად, როგორც ცნობილია, თავად ნაპოლეონი არცთუ დიდი ენთუზიაზმით იყო განწყობილი რუსეთში ლაშქრობისკენ. არ ურჩევდნენ რუსეთში გალაშქრებას იმპერატორს ასევე მის გარშემო მყოფი მინისტრები და თავად ჟოზეფინაც კი. ცნობილია საფრანგეთის იმპერიის პოლიციის მინისტრის, ჟოზეფ ფუშეს წერილი ნაპოლეონისადმი, სადაც მინისტრი სთხოვდა იმპერატორს, რუსეთში არ ელაშქრა და აქვე ახსენებდა შევდეთის მეფის, კარლ XII-ის ბედს 1709 წელს პოლტავის ბრძოლაში. უკვე 1811 წელს ნაპოლეონი ამბობდა: „იმედი მაქვს, მშვიდობა კონტინენტზე არ დაირღვევა“, თუმცა მშვიდობას ევროპაში დიდი დღე არ ეწერა.

1812 წლის 22 ივნისს ნაპოლეონმა რუსეთს ომი გამოუცხადა. ამ დროისთვის ფრანგებს საომარ მზადყოფნაში ჰყავდათ 685 ათასი ჯარისკაცი, თუმცა 235-ათასიანი ნაწილი ნაპოლეონმა თავიდან საფრანგეთში დატოვა და თან იახლა 420 ათასი ჯარისკაცი. 23 ივნისს ფრანგული ჯარები მიაღწენ მდინარე ნემანს (ლიტვაში), საიდანაც რუსეთში უნდა შესულიყვნენ. სწორედ აქ მოხდა საინტერესო შემთხვევა, — როცა ნაპოლეონი ცხენზე ამხედრებული ათვალიერებდა მდინარე ნემანის ნაპირს, უეცრად იმპერატორის ცხენის ფეხქვეშ

კურდღელმა გაირბინა. ცხენის მოულოდნელმა დაფრთხობამ მხედარი ძირს დასცა. „ცუდი ნიშანია! რომაელები არ გარისკავდნენ ამ მდინარის გადალახვას!“ — წარმოთქვა ერთ-ერთმა თანმხლებმა. ნაპოლეონზე ძლიერ იმოქმედა ამ შემთხვევამ, რომელიც თითქოს იმის საწინდარი უნდა ყოფილიყო, რომ მომავალი კამპანია ყველაზე მძიმე და სისხლიანი გამოდგებოდა ფრანგული არმიისთვის.

რაც შეეხება რუსთა ლაშქარს, მის მეზობლობა რიცხვი 225 ათასს აღწევდა და სამ ნაწილად იყო გაყოფილი. პირველს სათავეში ედგა სამხედრო მინისტრი, წარმოშობით შოტლანდიელი ბარკლაი დე ტოლი და განლაგებული იყო მდინარე ნემანის გასწვრივ; მეორეს მეთაურობდა პეტრე ბაგრატიონი და სამხრეთით, ბელორუსიის ტერიტორიაზე იყო დისლოცირებული; მესამე ნაწილს კი ხელმძღვანელობდა გენერალი ტორმასოვი და განლაგებული იყო უკრაინის ტერიტორიაზე. ფრანგულმა ნაწილებმა, მდინარე ნემანის გადალახვის შემდეგ, თავი მოიყარეს ქალაქ ვილნოში, სადაც ნაპოლეონმა ნაწილები 18 დღის განმავლობაში შეაჩერა, რადგან შეესებას ელოდა. ზოგიერთი მკვლევარი სწორედ ამ 18-დღიან ლოდინს მიიჩნევს ნაპოლეონის მთავარ შეცდომად.

რუსული ჯარების ძირითად სამოქმედო

„ნაპოლეონი ზამთრის ტანსაცმელში“.  
კასილი ვერეშაგინის  
ნახატი





გეგმას წარმოადგენდა ფრანგების შეტყუება ქვეყნის ვრცელი ტერიტორიის სიღრმეში, შემდეგ შეერთება და გენერალური ბრძოლის გამართვა. ნაპოლეონს არაფრით არ უნდა დაეშვა რუსული სამხედრო ნაწილების გაერთიანება. მისი მიზანი იყო მათი დამარცხება ცალ-ცალკე და სწრაფად, თუმცა ეს შეუძლებელი აღმოჩნდა.

თავად ნაპოლეონი გაემართა ბარკლაი დე ტოლის ნაწილებისკენ, ხოლო ბაგრატიონის სამხედრო ნაწილების მხარეს გაგზავნა მარშალი დაუ, რომელსაც რუსთა ნაწილისთვის უნდა მოეხპო ბარკლაი დე ტოლის სამხედრო ნაწილებთან შეერთების შანსი. თუმცა აქ დაუშვეს შეცდომა, რომელიც უკავშირდება ნაპოლეონის უმცროსი ძმის, ვესტფალიის მეფის ჟერომის სახელს. მან დააგვიანა და ვერ მიახსნო 23 ივლისს გამართულ ბრძოლას ბაგრატიონსა და დაეუს შორის მოგილევთან, სადაც ბაგრატიონმა მოიგერია ფრანგული ნაწილები და განაგრძო სვლა ბარკლაი დე ტოლის ჯარებისკენ, რომელთაც გეზი სმოლენსკისკენ აედოთ. ფრანგებმა ვერ შეძლეს რუსთა ცალ-ცალკე დამარცხება და იძულებული გახდნენ, რუსულ ჯარს აღმოსავლეთით გააპყლოდნენ.

ბარკლაი დე ტოლისა და ბაგრატიონის ნაწილები შეერთდნენ სმოლენსკთან, სადაც 16 აგვისტოს, დილის 6 საათიდან დაიწყო სამხედრო მოქმედებები რუსებსა და ფრანგებს შორის. ბრძოლა მომდევნო დღესაც გაგრძელდა, რუსები ფრანგული არტილერიის ცეცხლქვეშ მოექცნენ 16-17 აგვისტოს მთელი დამის განმავლობაში, თუმცა 17 აგვისტოს საღამოს უეცრად საშინელი აფეთქებების ხმა გაისმა რუსთა მხარეს. ეს იყო დენთის საწყობების აფეთქების ხმა. რუსებმა სმოლენსკის დატოვება გადაწყვიტეს და ცეცხლი დენთის საწყობებს წაუკიდეს. მარშალი დაუ ქალაქში უბრძოლველად შევიდა. რუსები აღმოსავლეთის მიმართულებით განაგრძობდნენ უკან დახვეას და გზად სწავდნენ სოფლებს, რაც ფრანგულ არმიას სურსათის გარეშე ტოვებდა. მას უკვე საკმაოდ დიდი მანძილი აშორებდა საკუთარ სარეზერვო ნაწილებს. ბონაპარტი გრძნობდა, როგორ ეცლებოდა ძალები ფრანგულ ჯარს. შიშმილისგან იხოცებოდნენ ჯარისკაცები და ცხენები და რაც მთავარია, ფრანგი იმპერატორი ხვდებოდა, რომ ბრძო-



ლა რუსების წინააღმდეგ მიმდინარეობდა არა ფრანგული, არამედ რუსული წესებით. სწორედ ეს ფაქტორი გახდა დამლუპველი ბონაპარტისთვის.

რუსები უკან იხევდნენ და გაურბოდნენ გენერალურ ბრძოლას. რაც უფრო მეტად უახლოვდებოდა რუსული ჯარი მოსკოვს, მით მეტად იმატებდა იმპერატორ ალექსანდრე I-ის უკმაყოფილება შოტლანდიელი ბარკლაი დე ტოლისადმი, რომელიც მალევე შეცვალეს მიხაილ ილარიონოვიჩ კუტუზოვით.

1812 წლის 7 სექტემბერს რუსული და ფრანგული ჯარები ერთმანეთის პირისპირ



*ბოროდინოს ბრძოლა*

აღმოჩნდნენ მოსკოვიდან 125 კილომეტრზე დასავლეთით, სოფელ ბოროდინოსთან. ფრანგების განკარგულებაში იმყოფებოდა 135 ათასი ჯარისკაცი და 587 საარტილერიო ქვემეხი, ხოლო რუსების განკარგულებაში — 103 ათასამდე ჯარისკაცი და 640 საარტილერიო ქვემეხი. სწორედ აქ გაიმართა ყველაზე სისხლისმღვრელი ბრძოლა ნაპოლეონის ეპოქაში.

7 სექტემბერს დილით ამოსულ მზეს ნაპოლეონმა აუსტერლიცის მზე უწოდა. მას სჯეროდა, რომ ეს ბრძოლა ფრანგების ტრიუმფით დასრულდებოდა, თუმცა ამჯერად ყვე-

ლაფერი სხვაგვარად წარიმართა. ბრძოლის ველზე ორივე მხრიდან დაეცა 70 ათასამდე ჯარისკაცი (30 ათასი ფრანგების, 40 ათასი კი რუსების მხრიდან). ამასთან, ფრანგებმა 47 გენერალი დაკარგეს. მართალია, ნაპოლეონმა შეძლო დიდი ზიანი მიეყენებინა რუსული ჯარისთვის, თუმცა საბოლოოდ ბრძოლა თანაბრად დასრულდა. „მე ვხედავ გამარჯვებას, მაგრამ ვერ ვხედავ სარგებელს“, — ამბობდა ბონაპარტი. ამ ბრძოლაში მიღებული ჭრილობისგან მოგვიანებით დაიღუპა რუსთა სახელგანთქმული გენერალი პეტრე ბაგრატიონი, რომელმაც მძიმე ბრძოლა გაუმართა ფრან-





*კუტუზოვი იღებს გადაწყვეტილებას მოსკოვის დატოვების შესახებ*

გულ არტილერიას. კუტუზოვმა გადაწყვიტა, მოსკოვი უბრძოლველად დაეთმოთ, უკან დაეხიათ, შევსება მიეღოთ და ნაპოლეონის ჯარები საბოლოოდ დაემარცხებინათ.

14 სექტემბერს ფრანგები მოსკოვში შევიდნენ. 15 სექტემბრის საღამოდან კი დაიწყო მოსკოვის ხანძარი, რომელიც ადგილობრივმა მო-

სახლეობამ გააჩაღა. მოსკოვის ხანძარი გაგრძელდა 15-18 სექტემბერს და ქალაქის უდიდესი ნაწილი იმსხვერპლა. ამ სანახაობით გაოგნებული ნაპოლეონი ამბობდა: „რა საზარელია! ისინი თავად აჩაღებენ ცეცხლს... რა სიმტკიცეა! რა ხალხია — ნამდვილი სკვირები არიან!“ ნაპოლეონმა სცადა სამშვიდობო

*მოსკოვს ცეცხლი რუსებმა წაუკიდეს*



მოლაპარაკება ალექსანდრესთან, თუმცა რუსთა იმპერატორი არ აპირებდა დაზავებას ფრანგებთან. „მე ვიომებ ბოლომდე, უკანასკნელ ჯარისკაცამდე, ვიომებ ციხეში, ვიომებ კამნატკაზე, ზავზე კი არ წავალ“, — ამბობდა იმპერატორი ალექსანდრე.

შექმნილ მძიმე ვითარებაში, როგორც ცნობილია, ნაპოლეონი ფეოდალურ რუსეთში გლახთა აჯანყების გამოწვევაზე ფიქრობდა. ამისთვის საჭირო იყო გლახთა განთავისუფლების დეკრეტის გამოცემა, რაც გამოიწვევდა თითქმის მონურ მდგომარეობაში მყოფი რუსი გლახობის აჯანყებას ცარიზმის რეჟიმის წინააღმდეგ, თუმცა საბოლოოდ ნაპოლეონმა ასეთ ჩანაფიქრზე უარი თქვა. ბონაპარტი იმპერატორი იყო და მას საქმე ჰქონდა იმპერატორ ალექსანდრესთან, ხოლო გლახთა აჯანყებას კი სტიქიური ხასიათი ექნებოდა, რაც თავის მხრივ დამატებით პრობლემებს შეუქმნიდა ფრანგებს. სწორედ ამ და სხვა მიზეზთა გამო ნაპოლეონმა უარი თქვა ჩანაფიქრზე და გააყვა რუსულ სამხედრო ნაწილებს გადაბუჯულ და მოსახლეობისგან დაცლილ ტერიტორიებზე.

მოსკოვში შესვლიდან 34 დღის შემდეგ, 19 ოქტომბერს, ძალიან მძიმე ვითარებაში მყოფმა ფრანგულმა ჯარმა, ნაპოლეონ ბონაპარტის მეთაურობით დატოვა დედაქალაქი. როგორც ცნობილია, მოსკოვის დატოვებისას ნაპოლეონმა 10-ათასიანი კორპუსი დატოვა ქალაქში მარშალ მორტიეს მეთაურობით და უბრძანა, ქალაქიდან გამოსვლისას კრემლი აეფეთქებინა, თუმცა ამ ბრძანების შესრულება მორტიემ ვეღარ მოასწრო, რადგან მოგვიანებით ისიც იძულებული გახდა, სასწრაფოდ დაეტოვებინა მოსკოვი. ქალაქიდან გამოსვლის შემდეგ, 24 ოქტომბერს, ფრანგებსა და რუსებს შორის გამართული მორიგი მძიმე ბრძოლა მალოიაროსლავეცთან 1812 წლის კამპანიაში გარდამტეხ მომენტად ითვლება. სწორედ ამის შემდეგ დაიწყო ფრანგთა უკან დახევა. მომდევნო დღეს, საბრძოლო პოზიციების დასათვალისწინებლად გასული ნაპოლეონი კაზაკების ტყვეობას ძლივს გადაარჩინეს მისმა მარშლებმა. ამ შემთხვევის შემდეგ მან ფრანგული ჯარის ექიმს ძლიერმოქმედი საწმლავი დაამზადებინა, ტყვედ ჩავარდნის შემთხვევისთვის.

მალოიაროსლავეცთან ბრძოლის შემდეგ,



*ნაპოლეონი ვადაშვარ ქალაქს კრემლიდან გადაჭყურებს*

სმოლენსკში დაბანაკებულ ნაპოლეონს აცნობეს, რომ ოსმალეთის ფრონტიდან დაძრული რუსული ნაწილები სამხრეთიდან უახლოვდებოდნენ მდინარე ბერეზინას და ფრანგებისთვის უკანდასახევი გზის მოჭრას ლამობდნენ. საჭირო იყო მოქმედება. ნაპოლეონმა საკუთარ ჯარისკაცებს მდინარეზე გადასასვლელი ხიდი ააგებინა. მუშაობა მიმდინარეობდა საკმაოდ ცივ ამინდში, ჯარისკაცები წელამდე წყალში მუშაობდნენ — 26-27 ნოემბერს ფრანგებმა შეძლეს ბერეზინას გადალახვა, თუმცა დაახლოებით 10-ათასიანმა ფრანგულმა ნაწილმა ვერ მოასწრო მდინარეზე გადასვლა და ვერც ნაპოლეონი დაელოდა მათ, რადგან ლაშქრის ძირითადი ნაწილის მდინარეზე გადასვლისთანავე თავიანთივე აგებული ხიდები დააწვევინა.

ფრანგები უკან იხევდნენ. 6 დეკემბერს ქალაქ სმორგონში, ნაპოლეონმა ფრანგული ჯარის უკანდახევის ხელმძღვანელობა ჩააბარა იოაკიმ მიურატს, თვად კი კოლენკურთან ერთად პარიზს გაემართა, სადაც მისი ყოფნა აუცილებელი იყო. ცნობილია ნაპოლეონის დამკვიდრებული ლეგენდა „გენერალ ზამთრის“





ფრანგების უკანდახევა მდინარე ბერუზინაზე

შესახებ, რომელმაც იმპერატორის თქმით, ფრანგული არმია დაამარცხა! ამ მხრივ საინტერესოა 1812 წლის კამპანიაში, ფრანგული არმიის რიგებში მყოფი დიდი ფრანგი მწერლის — ანრი მარი ბეილის (სტენდალის) ჩანაწერები, სადაც იგი აღნიშნავს: „შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ 1812 წლის ზამთარი რუსეთში ადრე დადგა; როდესაც მოსკოვი დავტოვეთ 19 ოქტომბერს, მზიანი ამინდი იდგა და ტემპერატურა მხოლოდ -3 გრადუსი იყო“ (საინტერესოა, რომ სტენდალმა მოსკოვიდან უკან დახვეისას დაკარგა ნაშრომი — „იტალიური ფერწერის ისტორია“). „რუსული ზამთარი“, გადმოცემის მიხედვით, დაიწყო მხოლოდ დეკემბრის დასაწყისში, როდესაც ტემპერატურა -28 გრადუსამდე დაეცა. უამრავი ფრანგი ჯარისკაცი გზად ეცემოდა და ადგომას ვეღარ ახერხებდა, იყინებოდნენ. 2002 წლის გაზაფხულზე ლიტვის დედაქალაქ ვილნიუსში აღმოაჩინეს „დიდი ფრანგული არმიის“ სამარხი, სადაც ორი ათასამდე ფრანგი ჯარისკაცის ძვლები იპოვეს. მათ ფი-

ზიკური ზიანის არანაირი კვალი არ ეტყობოდათ. მეცნიერებმა დაასკვნეს, რომ ეს იყო იმ ფრანგ ჯარისკაცთა ძვლები, რომლებიც რუსეთიდან უკან დახვეისას ყინვისგან დაიღუპნენ.

თორმეტი დღე დასჭირდა საფრანგეთის პირველ იმპერატორს ევროპის გადასაკვეთად. გადმოცემით, სმორგონიდან გასვლისას ნაპოლეონი ისეთივე შშვიდი და გაწონასწორებული ყოფილა, როგორც ოთხი თვის შემდეგ, როდესაც კიდევ ერთხელ გაუძღვა ფრანგულ ნაწილებს აჯანყებული ევროპის დასაშოშმინებლად. ხან ეტლით და ხანაც ციგით, ბონაპარტი უჩვეულო სისწრაფით კვეთდა ყველა იმ ქვეყნის საზღვარს, რომელიც მას საფრანგეთს აშორებდა. რუსეთიდან საფრანგეთის გზაზე მიმავალმა ნაპოლეონ ბონაპარტმა წარმოთქვა ცნობილი სიტყვები: „დიადიდან სასაცილომდე მხოლოდ ერთი ნაბიჯია!“

18 დეკემბერს ნაპოლეონი უკვე ტიულრის სასახლეში იყო...

კახაბერი შალიჩავა

მსოფლიოში ყველაზე ცნობილი მთხრობელი



წარმოგიღებთ დიდ საყვარელო ენციკლოპედიას

შეაგროვა ამგები და შექმენი „დისკავერის ენციკლოპედიის“

**4 გოგაული საკუთარი ხელით !**

დისკავერის დიდი ენციკლოპედიის ოთხი ტომი, ოთხ, განსხვავებული თემატიკაზე, ყუთში მოექცევა. თითოეულ ყუთში (ანუ ტომში) 16 წიგნი მოიყრის თავს, ყოველი ეს წიგნი კი ახალი სამყაროა. პირველი ტომის პირველი წიგნი სპეციალურ ყუთთან ერთად გამოვიდა, რომელშიც მთელი პირველი ტომის წიგნები უნდა მოათავსოთ.



ყოველ ოთხშაბათს!

წიგნის ფასი 2 ლარი



შეიძინე დისკავერის ენციკლოპედია:

**ქართულ ენაზე ან ინგლისურ ენაზე**

და გაეცანი უჩვეულო მოვლენებსა და საინტერესო ფაქტებს

გაიგანი სამყარო და თან დახვეწე ინგლისური. ყოველ მომდევნო ტომთან ერთად აიმაღლე ენის ცოდნის საფეხური

იკითხათ წიგნის მაღაზიებში და პრესის გამავრცელებლებთან!





# ჰასტინგსის ბრძოლა



ნორმანებთან სისხლისმღვრელი ომი, რომლის  
შედეგად ინგლისი „ხელახლა დაიბადა“

*შუა საუკუნეების სამხედრო ისტორიაში ბევრი არ არის ბრძოლა, რომელსაც შედეგად ასე მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური ძვრები მოჰყოლია. ჰასტინგსთან ბრძოლამ, ერთი მხრივ, დამპყრობელი ნორმანდიის ჰერცოგის, უილიამის ჯარსა და მეორე მხრივ, ანგლოსაქსი მეფე ჰაროლდ II გოდვინსონს შორის — ერთ-ერთი უძველესი ევროპული სამეფოს ბედი გადაწყვიტა. ქვეყანაში დაიწყო ცვლილებების ერა, რომელიც XIII საუკუნის ბოლომდე გაგრძელდა. ნორმანი და ანგლოსაქსი ზალხი საბოლოოდ გაერთიანდა, ერთმანეთს შეერია მათი წეს-ჩვეულებები, ისტორია და ჩამოყალიბდა დიდებული ევროპული სახელმწიფო, ინგლისის სამეფო, ერთიანი ენით, სარწმუნოებითა და კულტურით.*

## მითაზრები და ქვეყნები

ჰერცოგ უილიამს დრო სჭირდებოდა, რათა მთლიანად დაემორჩილებინა ანგლოსაქსების უძველესი მიწა. ჰასტინგსთან გამარჯვებამ მას შესაძლებლობა მისცა, თავისი მიზნისთვის უფრო სწრაფად და მარტივად მიეღწია, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ ბრძოლაში მეფე ჰაროლდთან ერთად მისი ძმები, გირტი და ლეოთვინი დაიღუპნენ. ჰაროლდის მიზნის აღსრულებას ხელს უწყობდა მაშინდელი ინგლისის მდგო-

მარეობაც. ქვეყანაში არეულობა სუფევდა. ვიკინგები, განსაკუთრებით კი დანები (დანეელი ვიკინგები) მოსვენებას არ აძლევდნენ ინგლისის მცხოვრებთ. მათ ბრიტანეთის წინააღმდეგ აქტიურად მოქმედება შეჭრამდე ორისამი საუკუნით ადრე დაიწყეს. დანიელებისგან დასუსტებულ ქვეყანაში შიდა არეულობა სუფევდა, რასაც უესექსის გრაფის, ჰაროლდ გოდვინსონის ტახტზე ასვლის შემდეგ ნორვეგიელი ვიკინგი მეფის, ჰარალდ ჰარდრადას შემოსევაც მოჰყვა. მასთან ბრძოლა მძიმე გა-

მოდგა, მაგრამ საბოლოოდ მაინც ინგლისელებმა გაიმარჯვეს. მოხერხებულმა და ჭკვიანმა ნორმანდიელმა ჰერცოგმა უილიამმა გადაწყვიტა, სწორედ ნორვეგიელთა შეტევის შემდეგ დასხმოდა თავს დასუსტებულ სამეფოს. ეს სწორი ნაბიჯი იყო, რადგან ჰაროლდს მრისხანე ვიკინგებთან ბრძოლაში საკმაო ზარალი ენახა, თანაც მისი არმია ამ ლაშქრობასა და ბრძოლას ძალიან გადაეღალა.

წარმოშობით ინგლისელი ჰაროლდი, მეფე ედუარდ აღმსარებლის ცოლის, ედიითის ძმა გახლდათ. ედუარდ აღმსარებელი ჰაროლდს ენდობოდა, სამართავად უესექსის საგრაფო უბოძა და თავის მთავარ მრჩეველადც დანიშნა. საბოლოოდ, ედუარდის სიკვდილის შემდეგ, ჰაროლდი სამეფო ტახტზე ავიდა.

უილიამ დამპყრობელი 1035 წელს გახდა ნორმანდიის ჰერცოგი, მას შემდეგ, რაც მისი მამა, რობერტი, წმინდა მიწიდან დაბრუნებისას გზად დაიღუპა. უილიამმა ერთგულ ბარონთა დახმარებით მმართველობა განიმტკიცა და ძლიერი სამხედრო ძალის შექმნას შეუდგა, მალე გამოაგლინა მხედართმთავრული ნიჭი და დიდებულთაც შეიმოსა.

1066 წელს (ინგლისში ლაშქრობამდე) მას უკვე შემოეერთებინა მენის საგრაფო და ბრეტანისა და ჰონტიეს ნაწილი. ჰერცოგი უილიამი მალე ინგლისის მეფე ედუარდს დაუახლოვდა. დაუსუსტებელი მონაცემებით, თითქოს ნორმანდიელები და თვითონ უილიამიც ამბობდნენ, რომ ედუარდმა მას ინგლისის მეფობა „უანდერძა“, ოღონდ საკუთარი სიკვდილის შემდეგ. ცნობილია, რომ ედუარდ აღმსარებლის გარდაცვალების მერე ჰაროლდი და უილიამი ინგლისის ტახტისთვის იბრძოდნენ, როგორც მემკვიდრეები. ზოგიერთი წყარო ამტკიცებს, რომ ჰაროლდი ნორმანდიაში ჯერ კიდევ ედუარდ აღმსარებლის სიცოცხლეშივე ჩავიდა და უილიამს ინგლისის ტახტის დაკავებასა და განმტკიცებაში დახმარება აღუთქვა. 1066 წლის 5 იანვარს, მომაკვდავმა ედუარდ აღმსარებელმა მეფედ ცნო უესექსის გრაფი, ჰაროლდ გოდვინსონი. მისი გაძეგება არ აღიარეს ჰერცოგმა უილიამმა, დანიის მეფე სვენ ესტრიტსონმა და ნორვეგიის მეფე ჰარალდ ჰარდრადამ (შეუბრალებელმა). სამივე მბრძანებელმა ინგლისში შეჭრა და ჰაროლდის ჩამოგდება გადაწყვიტა. ჰარალდ ჰარდრადამ შეუკავშირდა ჰაროლდ გოდვინსონის ძმას,




უილიამ დამპყრობელი

ედუარდ აღმსარებლის გამოსახულება ბაიეს გობელენზე (XI ს.)







ტოსტს. ჰარალდი ნორვეგიიდან და უილიამი ნორმანდიიდან დაახლოებით ერთდროულად უნდა შეჭრილიყვნენ ინგლისში, მაგრამ ნორმანდიელებმა ვერ მოახერხეს ლა-მანშის გადალახვა საშინელ შტორმში, ხოლო ნორვეგიელები ადრე დაიძრნენ სკანდინავიიდან, შეიერთეს რამდენიმე შოტლანდიური რაზმი და ინგლისში ჯარი გადასხეს. ჰაროლდი მალე დაესხა მათ თავს და სტემფორდ-ბრიჯის ბრძოლაში სასტიკად დაამარცხა. ჰარალდ ჰარდრადა და ტოსტ გოდვინსონი დაიღუპნენ. სტემფორდ-ბრიჯის ბრძოლიდან ორი დღის შემდეგ ნორმანდიელებმა უილიამის მეთაურობით ზღვა გადაკვეთეს და ინგლისის სამხრეთ სანაპიროზე გადასხდნენ, შემდეგ ციხესიმაგრე ააგეს და დაბანაკდნენ. ციხესიმაგრეს ნორმანები გამოიყენებდნენ, როგორც საყრდენსა და საფუძველს, თუ ინგლისში ომი გაჭიანურდებოდა და ნორმანდიიდან ძალების მიღებაც დასჭირდებოდათ. უილიამი ამ სიმაგრეში განერდა და ჰაროლდის გამოჩენას დაელოდა, რათა გადამწყვეტ ბრძოლაში შეებოდა.

**მხარეთა განლაგება**

მეფე ჰაროლდ გოდვინსონმა ნორმანების ინგლისში შემოჭრის ამბავი მალევე შეიტყო. იგი სწრაფად დაიძრა მოწინააღმდეგისკენ და ნორმანდიელებთან ახლოს, სენლაკის მთასთან გაჩერდა. ჯარის განსლაგებლად მან აირჩია მალლობზე მდებარე პოზიცია, რომელიც საუკეთესოდ მიიჩნია ბრძოლის გასამართავად. ჰაროლდმა იცოდა, რომ უილიამს ბრძოლა სწყუროდა და ანგლოსაქსთა პოზიციებს მალე დაესხმებოდა თავს. მეფემ ჯარი ძველი ინგლისური წესით განალაგა. ქვეითები მჭიდრო, ღრმა რიგებად იდგნენ და ფარების კედელს ქმნიდნენ, რომლის გადალახვა და რიგების გარღვევა ძალიან რთული იყო, რადგან ანგლოსაქსი მეომრები უზარმაზარ ფარებს იყენებდნენ და მძიმე ცულებითა და ხმლებით იბრძოდნენ. ასეთი განლაგებით ინგლისელები გრძელ და მტკიცე მოძრავ კედელს ქმნიდნენ. ინგლისელებს ჰყავდათ მსუბუქი ცხენოსნებიც, თუმცა მცირე რაოდენობით. ჰაროლდს გამოცდილი მეომრები ჰყავდა (მათ 1063 წელს უელსელები დაამარცხეს, 1066 წელს სტემ-

ფორდ-ბრიჯთან კი ნორვეგიელები). ჰაროლდის ერთგული მეომრები ბოლომდე მამაცურად ბრძოლას აპირებდნენ უილიამის წინააღმდეგ. ინგლისელთა განლაგების ცენტრში მეფის ყველაზე ძლიერი და კარგად აღჭურვილი მეომრები, ე.წ. ჰუსკარლები იდგნენ რკინის უზარმაზარი ცულებით, ფლანგებზე კი ფაირები — ინგლისელი ქვეითები ფარებით, შუბებითა და მახვილებით. ინგლისელებს ჰყავდათ მშვილდოსნების არცთუ მრავალი ცხოვანი რაზმები.

უილიამ დამპყრობლის დასაყრდენს მძიმედ აღჭურვილი ცხენოსნები წარმოადგენდნენ, რომელთაც გამარჯვებაში მთავარი როლი შეასრულეს. ეს მხედრები პერცოგს სხვა ლაშქრობებშიც ახლდნენ და მისი ერთგული იყვნენ. ბრძოლისას უილიამმა მარტოეი, მაგრამ საკმაოდ რისკიანი ტაქტიკა გამოიყენა. მან ცხენოსანთა რაზმებით მალღობზე განლაგებულ ინგლისელთა ფარების კედელზე შეტევა განიზრახა. წარუმატებლობის შემთხვევაში ცხენოსნები უკან იხევდნენ, გადაჯგუფდებოდნენ და ახალ იერიშზე გადადიოდნენ. ასე გრძელდებოდა მანამ, სანამ მოწინააღმდეგის რიგების გარღვევას არ მოახერხებდნენ. ნორმანდიელებს საბრძოლველად კარგად შეიარა-

ღებული ქვეითები და მშვილდოსანთა რაზმებიც გამოჰყავდათ.

### ანგლოსაქსების ჯარი

ინგლისელთა ჯარის მთავარი ძალა ჰუსკარლების რაზმები იყო. ჰუსკარლი (სიტყვასიტყვით — სახლის ხალხი) ეწოდებოდა დიდებულების ან მეფეების დაცვის რაზმის მეომარს ანგლო-დანიური და ანგლო-სკანდინავიური არისტოკრატიიდან. ჰუსკარლები ბრძოლაში ჩვეულებრივ სკანდინავიური ტაქტიკით იბრძოდნენ. ასეთი მეომრების მთავარი იარაღი გრძელტარიანი სეკირა (ცული) იყო, რომლის ერთი მოქნევითაც კი ცხენისთვის თავის მოკვეთა შეიძლებოდა. ჰუსკარლებს ზურგზე დიდი, მოგრძო ფორმის ისეთივე ფარები ეკიდათ, როგორც ჩვეულებრივ ქვეით მებრძოლებს. როგორც წესი, ჰუსკარლები ძლიერი და გამოცდილი მეომრები იყვნენ და თავიანთი საშინელი იარაღის ხმარება შესანიშნავად ეხერხებოდათ, ამიტომ ადვილად უმკლავდებოდნენ ქვეით მეომრებს, რომლებიც ფარებით ცდილობდნენ მათი ცულების არიდებას. ზოგიერთ ჰუსკარლს ხმალი ან შუბი ჰქონდა, რომლის ხმარებაც, ისევე როგორც ცულისა, ოსტატურად შეეძლო.

*ჰაროლდის ჯარის საბრძოლო წესობა. თანამედროვე რეკონსტრუქცია*







ნორმანი ცხენოსნები

**ნორმანდიელთა ჯარი**

ნორმანდიელთა ჯარის მთავარი, დამრტყმელი ძალა მძიმე ცხენოსანი ჯარი იყო. უილიამ დამპყრობლის მხედრები გამოცდილი მებრძოლები იყვნენ, რადგან ზოგიერთ მათგანს უკვე მიეღო მონაწილეობა ჩრდილოეთ საფრანგეთში, სამხრეთ იტალიასა და სიცილიაში მიმდინარე ბრძოლებში. ნორმანი მხედრის მთავარი საჭურველი გრძელი ჯაჭვის პერანგი (ჰაუბერტი) იყო, რომელიც მტკიცე რკინის რგოლებისგან მზადდებოდა და მთელ ტანსა და ბარძაყებს ფარავდა. ასეთი ჯაჭვის პერანგით შემოსილი მებრძოლი მოხერხებულად მოქმედებდა. ეს ერთგვარი უპირატესობა იყო, რადგან ჯაჭვის პერანგი სხეულს იცავდა, ხოლო მებრძოლს საერთოდ არ აბრკოლებდა, ამიტომ ნორმანები ბრძოლის ველზე ისე მოქმედებდნენ, თითქოს აბჯარი არც ეცვათ.

ზოგიერთ მხედარს ფეხზეც ჯაჭვის გრძელი წინდა ემოსა. ცხენოსნებს თავზე მუზარადი ეხურათ, რომელიც თავს და კეფას იცავდა, ხოლო სახე ღია იყო, თუ არ ჩაეთვლით ცხვირის დამცავ მცირე ზარადს. ნორმანდიელი მხედრები მტრის ისრებისგან თავდასაცავად ატარებდნენ გრძელ ფარებსაც. ცხენოსნების მთავარი იარაღი გრძელი შუბი იყო. ამას გარდა მხედრებს, ხმლებიც ჰქონდათ ხელჩართული ბრძოლისთვის.

ანგლოსაქსი ქვეითები



**ბრძოლის დასაწყისი**

უილიამ დამპყრობელმა ბრძოლა დილით ადრე დაიწყო. მან ცხენოსანი ჯარი სამ ნაწილად გაყო და ერთ ფრონტად განლაგა. ნორმანდიელი კავალერია უილიამის მეთაურობით ცენტრში განლაგდა, მარცხნივ ბრეტონელი მხედრები დადგნენ, მარჯვნივ კი — ნორმანდიელი, ფლამანდიელი და ბულონელი ცხენოსნები. მეორე ხაზს ნორმანდიელი ქვეითები და მშვილდოსნები შეადგენდნენ. სწორედ ქვეითებმა დაიწყეს თავდაპირველად იერიში, თუმცა წარუმატებლად და მალე უილიამმა კავალერია დაძრა ინგლისელთა მტკიცე რიგებისკენ. თანამედროვე ისტორიული წყაროები ამტკიცებენ, რომ ნორმანდიული კავალერია რიცხობრივად ჩამორჩებოდა ანგლოსაქსურ ქვეით ჯარს. ცხენოსნები დიდი სიმამაცით ეკვეთნენ მტრის რიგებს, მაგრამ ფარების კედელმა მათ დარ-

ტყმას გაუძლო და ნორმანები აიძულა, უკან დაეხიათ. უილიამმა კავალერია ხელახლა გადააჯგუფა და კვლავ შეუტია მტრის რიგებს, თუმცა ინგლისელთა ჩამორეკვა მალეობიდან ვერ მოახერხა. ანგლოსაქსები უზარმაზარი ფარებით შესანიშნავად იცავდნენ თავს და შესაძლებლობას არ უშვებდნენ ხელიდან, მტერს მძიმე და გამოზომილი დარტყმებით გამასპინძლებოდნენ. შუა საუკუნეების მემკვიდრე გიომ დე პუატიე წერს: „ინგლისელები ისე მყარად იდგნენ მიწაზე, თითქოს ზედ ხეებით ამოსულიყვნენ“.

პასტინგის ბრძოლა, იმდროინდელი ბატალიებისგან განსხვავებით, დიდხანს გაგრძელდა. ნორმანდიული კავალერია დიდი ხნის განმავლობაში უტევდა მტერს, შემდეგ უკან იხევდა, გადაჯგუფდებოდა და ახალ იერიშზე მიდიოდა, თუმცა უშედეგოდ. არც ერთ მხარეს თავდაპირველად დიდი ზიანი არ მიუღია, რადგან ხელჩართული ბრძოლა თითქმის არ იმართებოდა, მხედრები მხოლოდ სწრაფი და ძლიერი დატაკებით ცდილობდნენ მტრის რიგების გარღვევას, შემდეგ უკან იხევდნენ, ინგლისელები კი თავს დიდი ხელოვნებით იცავდნენ. შუა ბრძოლაში ნორმანდიელებში ხმა გაერცვლა, თითქოს ჰერცოგი უილიამი დაიღუპა, ამან დიდი არეულობა შეიტანა ჯარში, თუმცა მალე ყველაფერი თავის ადგილას დადგა, რადგან უილიამმა მუზარადი მოიხადა და ჯარის წინაშე წარდგა.

### ნორმანთა სამხედრო ფანდი

ბრძოლაში თავად უილიამის აშკარად გამოჩენამ ნორმანდიელი მხედრები გაამხნევა. მათ გადაწყვიტეს, კიდევ ერთხელ შეეტიათ ინგლისელებისთვის, მაგრამ უილიამმა, რომელიც ხვდებოდა, რომ ანგლოსაქსთა მტკიცე რიგებს ვერაფერს აკლებდა, საბრძოლო ფანდი გამოიყენა. ნორმანებს თავი უნდა მოეჩვენებინათ მტრისთვის, თითქოს შეეშინდათ, პანიკაში ჩაცვივდნენ და უკან იხევდნენ, შემდეგ კი ნელ-ნელა მართლაც მოეკურცხლათ ბრძოლის ველიდან. თუმცა, რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი იმიტომ იყო საჭირო, რომ ჰაროლდის მტკიცე კვლად აღმართული ქვეითთა რიგები დაშლილიყო და ხელსაყრელი პოზიცია დაეტოვებინა. ამის შემდეგ ნორმანები კონტრშეტევაზე გადავიდოდნენ და ანგლოსაქსებს დაამარცხებდნენ.



უილიამ  
დამპყრობლის  
მონეტა



მტერი მახეში გაება, თუმცა ამისთვის უილიამს ორჯერ დასჭირდა უკან დახევის მოწყობა (პირველმა სვლამ არ გაამართლა). როცა ნორმანებმა მეორედაც შესანიშნავად შეასრულეს უკან დახევის მანევრი, ბევრმა ანგლოსაქსმა დატოვა მწყობრი და მათ გამოედევნა. საბოლოოდ კი ჰაროლდის მთელი არმია „გაქცეულ“ მტერს გამოეკიდა. როცა უილიამმა დაინახა, რომ ინგლისელთა რიგები დაირღვა და აირია, მაშინვე ცხენოსანი ჯარი მოამზადა საიერიშოდ და შეუტია. ნორმანი მხედრები სწრაფად დაესხნენ თავს ველზე მიმოფანტულ ინგლისელ ქვეითებს და განადგურეს. უილიამის კავალერიის შეტევას ანგლოსაქსთა უმრავლესობა ემსხვერპლა, მათ შორის მეფე ჰაროლდის ორივე ძმა, გირტი და ლეოთვინი. ბრძოლის ბედი სწრაფად გადაწყდა. ჰაროლდი შეეცადა, დარჩენილი ჯარი გადაეჯგუფებინა და ბრძოლა განეგრძო, მაგრამ ჯარისკაცები უკვე დამფრთხალიყვნენ იმ საშინელი ზოცვა-ჟლეტის შემდეგ, რომელიც ნორმანმა ცხენოსნებმა მო-





ანგლოსაქსი ჰუსკარლების მუზარადი

აწევს მოხერხებული სამხედრო ფანდით. საქსონური ფარების კედელი ვედარ შეიკრა, თუმცა ერთგული ჰუსკარლები ჯერ კიდევ მეფის გვერდით იყვნენ, როცა მას თვალში ნორმანი მშვილდოსნის გამოტყორცნილი ისარი მოხვდა და სასიკვდილოდ დაიჭრა.

**ბრძოლის დასასრული**

უკანასკნელი ანგლოსაქსური არმია 1066 წელს ჰასტინგსთან ბრძოლაში განადგურდა. ამ დამარცხებამ ანგლოსაქსური ინგლისის არსებობა შეიწირა. უილიამს ომი ჯერ არ დაესრულებინა. ჰაროლდის ორი სარდალი, ედვინი და მორკერი, რომელიც ჰასტინგსში ვერ ჩამოვიდნენ, რადგან ნორვეგიელებს ებრძოდნენ, ჯერ კიდევ მეფის ერთგულები იყვნენ, ამიტომ ნორმანებს მათი დამარცხება მოუწევდათ. ეს უილიამმა სწრაფად და უმტკივნეულოდ მოახერხა, რის შემდეგაც ინგლისის მეფობა დაიმტკიცა და ჰერცოგ უილიამის ნაცვლად, ინგლისის მეფე უილიამ I დამპყრობელი გახდა.

ნიკა სოფიანი

მეფე ჰაროლდის დაღუპვა. ბაიეს გობელენის ფრაგმენტი





## ფრანსის ფუკუიამა

### ზიხვან სანხანდნიფოს ძვან ჩინეიჯის უნდ პუანდლოდით

იაპონური წარმოშობის ისტორიკოსი, პოლიტოლოგი და ეკონომისტი ფრანსის ფუკუიამა სტენფორდის (აშშ) უნივერსიტეტის პროფესორია. მას მსოფლიო აღიარება მოუტანა წიგნმა „ისტორიის დასასრული“, რომელშიც ამტკიცებს, რომ კაცობრიობის პოლიტიკურ-ეკონომიკური განვითარების ბოლო ეტაპს დემოკრატია და თავისუფალი ბაზარი წარმოადგენს. შარშან პოლონეთში გამოიცა მისი ახალი წიგნი „პოლიტიკური წესრიგის ისტორია უძველესი დროიდან საფრანგეთის რევოლუციამდე“. ამასთან დაკავშირებით პოპულარულ პოლონურ ჟურნალ „პოლიტიკაში“ წიგნის ავტორთან ინტერვიუ გამოქვეყნდა, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ.

— რატომ იწყება თქვენი წიგნი ჩინეთიდან და არა საბერძნეთიდან?

— ბერძნებმა მოიგონეს დემოკრატია, მაგრამ სწორედ ჩინელებმა დააფუძნეს პირველი თანამედროვე სახელმწიფო, რომელშიც კანონისადმი ყველა მოქალაქე თანასწორი იყო და ცენტრალიზებული ადმინისტრაცია ჰქონდა. ამ სახის სახელმწიფო ევროპაში მხოლოდ XVII საუკუნის ბოლოს წარმოიშვა, საფრანგეთსა და შვედეთში, ცენტრალიზებული მონარქიების სახით. ჩინელებმა ეს ქრისტემდე III საუკუნეში შეძლეს, ანუ მთელი ორი ათასი წლით დაასწრეს ევროპელებს.

— მაგრამ თუნდაც გამართულად მოქმედი სახელმწიფო ზომ საკმარისი პირობა არ არის პოლიტიკური წესრიგის დასამყარებლად?

— გეთანხმებით. რაც შეეხება კანონის უზენაესობასა და დემოკრატიას, ეს უკვე მმართველი ელიტის პასუხისმგებლობაა. სახელმწიფოს ეს ორი შემადგენელი ნაწილი ჩინეთში არასოდეს ყოფილა განვითარებული: იქ არ უარსებია ისეთი კანონი, რომელიც შეზღუდავდა იმპერატორის ხელისუფლებას და იქ დღემდე არც დემოკრატია არაა.

— მიუხედავად ამისა, ჩინეთში ხელისუფლება მაღალ დონეზეა, ხოლო ეკონომიკა ყვავის. ზოგიერთი ექსპერტის აზრით, ავტორი-



**ტარული კაპიტალიზმი თითქმის ლიბერალური დემოკრატიის ალტერნატივაა.**

— ჩინელებს ხელეწიფებით სწრაფად მიიღონ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, ხოლო ჩვენთან ვერაფერს გაბედავს ვინმეს რამე აუკრძალოს. მაგრამ ჩინურ ეკონომიკურ მოდელს დიდი ხნის სიცოცხლე არ უწერია, ხოლო პოლიტიკური სისტემა არასტაბილური, სერიოზული რყევების შემცველია. მისი არსებობა მხოლოდ განვითარების მაღალ ტემპებზეა დაფუძნებული, როგორც კი ეს ტემპები შენელებდა, ჩინეთს დიდი პრობლემები შეექმნება.

— **ვერობაში სახელმწიფოც გვაქვს, სამართლიანობაც და დემოკრატიაც. მიუხედავად ამისა, საყოველთაოდ გავრცელებულია შეგონება, რომ ჩვენს სამყაროში რაღაც ვერ არის მთლად კარგად.**

— საჭიროა პროპორციის დაცვა. როცა ვამბობთ, რომ ვერობასა თუ ამერიკაში არ არის წესრიგი, ეს უბრალოდ სიმართლეს არ შეესაბამება. ჩვენ დიდი დოზით გვაქვს პოლიტიკური წესრიგი, რომელიც გაცილებით მაღალია, ვიდრე ჰაიტიში, ავღანეთსა თუ სომალიში. ჩვენთან რეალურად არსებობს ისეთი დაწესებულებები, როგორიცაა სახელმწიფო, ხელისუფლების პასუხისმგებლობა ამომრჩეველთა წინაშე თუ კანონიერება. მართალია, ეს ინსტიტუტები ყოველთვის გამართულად ვერ მოქმედებენ, ხელისუფალნიც უშვებენ შეცდომებს, მაგრამ მათი გამოსწორების ბერკეტებიც გავაჩნია, ხელისუფლების შეცვლაც შეგვიძლია. იმის გარანტიაც გვაქვს, რომ ქუჩაში პოლიცია დაგვიცავს, ხოლო სასამართლოში სამართლიან გადაწყვეტილებას მივალწევთ. ეს ყველაფერი კი პოლიტიკური წესრიგის ელემენტებია, რაც ყველა ქვეყანაში როდი არსებობს.

— **90-იან წლებში მოდური იყო დაცემული ქვეყნების შესწავლა-ანალიზი, ისეთების, როგორიცაა თუნდაც ჰაიტი, სომალი თუ ავღანეთი. დღევანდელი საბერძნეთი თუ შეიძლება დაცემულ ქვეყნად მოვიხსენიოთ?**

— საბერძნეთი, რა თქმა უნდა, დღევანდელი ვერობის ერთ-ერთი სუსტი ქვეყანაა, მაგრამ მე მას ვერ ვუწოდებდი დაცემულ ქვეყანას. საბერძნეთში ჯერ არ წარმოქმნილა მოქალაქეთა უშიშროებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებული პრობლემები, ხოლო ქაოსი ბერძნულ პოლი-



*„პირველი თანამედროვე სახელმწიფო სწორედ ბეულმა ჩინელებმა დააფუძნეს“*

ტიკაში გასაგებია, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ წინეს, რომლის ქვეშაც ეს ქვეყანა აღმოჩნდა. საბერძნეთის პრობლემა დღეს უფრო ის არის, რომ ამ სახელმწიფოს ბოლომდე არ განუხორციელებია მოდერნიზაცია, ხოლო პოლიტიკური სისტემა კლიენტელიზმზეა დამყარებული. ყოველი მმართველი პარტია თანამდებობებზე თავისი ხალხის დასმას ცდილობს, ხოლო ბერძნები იმიტომ აღმოჩნდნენ საკრედიტო მარყუქში თავგაყოფილნი, რომ არ აქვთ შესაბამისი დაწესებულება, რომელიც სათანადოდ გააკონტროლებდა საზოგადოებრივ სექტორს.

საბერძნეთს სხვა მნიშვნელოვანი პრობლემებიც აქვს. ბერძენი საზოგადოება ნდობის ძალიან დაბალი დონით გამოირჩევა. ბერძნები მხოლოდ თავიანთ ნათესავეებს ენდობიან, ხოლო სხვებისადმი ნდობა არ აქვთ. ეს უნდობლობა განსაკუთრებით მეორე მსოფლიო ომის



შემდეგ და მით უფრო, სამხედრო დიქტატურის არსებობის შედეგად გაღრმავდა. ამ გამოცდილებამ ბერძნებში ძალიან შეასუსტა ეროვნული სოლიდარობის გრძნობა. იმავედროულად, ბერძნები ახლა დგანან თანამედროვე სახელმწიფოს მშენებლობის აუცილებლობის წინაშე.

**— როგორ უნდა მიაღწიონ მათ ამას, თუ პროცესი რაღაც დაპროგრამებას ექვემდებარება?**

— შეერთებული შტატების ისტორიაში იყო დაახლოებით ერთი საუკუნე, როცა ქვეყნის პოლიტიკური სისტემა ძალიან მიაგავდა იმას, რაც დღეს საბერძნეთში გვაქვს. ორი პოლიტიკური პარტია ერთმანეთს ექიმპებოდა და როცა ერთი მივიდოდა ხელისუფლების სათავეში, მხოლოდ თავის ხალხს სვამდა თანამდებობებზე. მაშინ არ არსებობდა დამსახურებაზე დამყარებული ბიუროკრატია ან რაღაც

ისეთი, რაც დღევანდელ სახელმწიფოს მოგვაგონებდა. მაგრამ ქვეყნის სამეურნეო განვითარებასთან ერთად, იშვა რეფორმატორული მოძრაობა, რომელმაც მიზნად თანამედროვე სახელმწიფოს მშენებლობა დაისახა. ამ მოძრაობამ უარყო პოლიტიკური ნიშნით აღზევებული ბიუროკრატები, კლიენტელიზმი, კორუფცია. შედეგად შეძლეს გარდაქმნათ ამერიკული სახელმწიფო და მის საფუძვლებზე თანამედროვე სახელმწიფო აეშენებინათ.

საბერძნეთში ეს პროცესი ჯერაც არ დაწყებულა. ამასთან, საუბედუროდ, მიუხედავად იმ პრობლემებისა, რომლებიც დამოკლეს მახვილივითაა ამ ქვეყნის თავზე, არც ერთი პოლიტიკური პარტია არ ისახავს მიზნად თანამედროვე სახელმწიფოს აშენებას. აი, ის უმთავრესი რამ, რაც დღეს ბერძნულ პოლიტიკას სჭირს. არც იტალიელებს აქვთ მოდერნიზებული სახელმწიფო, იქ ეს პრობლემა კიდევ უფრო გასაგებია. იტალია წარმოდგა XIX საუკუნეში ხმელთაშუა ზღვის (თითქმის ჩრდილოეთი აფრიკის) შეერთებით ევროპულ, განვითარებულ ჩრდილოეთთან. ამ ქვეყანაში სამხრეთის კორუფცია და კლიენტელიზმი დღემდე ებრძვის ჩრდილოეთის თანამედროვე ეკონომიკას. იგივე სურათი გვაქვს ევროპულ დონეზეც: ვიღ რე იქ ყველა სახელმწიფო თანამედროვე არ გახდება, მანამდე ევროპული ეკონომიკა სწრაფი ტემპებით ვერ განვითარდება.

**— ზოგიერთი დამკვირვებელი ათენში მეორე ვაიმარს ხედავს. მათთვის ეს პოლიტიკური კლასის უუნარობის მაგალითია, რომელიც შეიძლება დასრულდეს დემოკრატიის გაქრობითა და პოტენციურად კიდევ უფრო დიდი პრობლემით.**

— საბერძნეთი ვერ იქნება მეორე ვაიმარის რესპუბლიკა, რადგანაც იგი მეტიმეტად პატარაა იმისთვის, რომ მთელ ევროპას პრობლემები შეუქმნას. მე უფრო ისეთი ხალხი მაფიქრებს, როგორებიც არიან გერტ ვილდერსი ჰოლანდიდან, ნამდვილი ფინელები ფინეთიდან, სახალხო პარტია დანიიდან ან ახალი დემოკრატები შვედეთიდან — ყველა ეს მემარჯვენე პოპულისტები ევროპაში, რომლებიც ანტიპათიით არიან განწყობილი პოლიტიკური ელიტისა და იმ პროექტებისადმი, რომელთა განხორციელებაც ამ პოლიტიკოსებს სურდათ, რათა ევროპაში მშვიდობა და სტაბილურობა ყოფილიყო. დღეს ევროპაში





*საბერძნეთის პარლამენტი. საპატიო ყარაულის შეცვლა*

ანტიიმიგრანტი ზუსტად იმდენია, რამდენიც ანტიევროპელი, რომელიც თავიანთ ძალას ევროკავშირის გაფართოებისადმი უნდობლობიდან იკრებენ. ეს ნამდვილად მნიშვნელოვანი საფრთხეა ევროპისთვის, რომელიც კიდევ უფრო გაღრმავდა ფინანსური კრიზისის შედეგად, რადგანაც ზუსტად ამ პოლიტიკურმა ელიტამ შექმნა ისეთი დეფექტური სტრუქტურა, როგორცაა ევროზონა და რომელიც ამ კრიზისის უმთავრესი წარმოქმნელია.

გერმანული პროექტი, რომელიც სავალუტო კავშირის კიდევ უფრო გაღრმავებას ითვალისწინებს საბიუჯეტო დისციპლინის გამკაცრების გზით, მხოლოდ გაამწვავებს სიტუაციას, რადგანაც ასეთ კავშირს არ აქვს საყოველთაო მხარდაჭერა.

**— თქვენი აზრით, მოსალოდნელია ევროკავშირის დაშლა?**

— კავშირის არა, მაგრამ ევროზონის — ნამდვილად! ეს აუცილებლად მოხდება, რადგან მას საფუძვლად მუტად საეჭვო კონსტრუქცია დაედო. საბერძნეთის გაცილებით ადრე უნდა დაეწყო კავშირიდან გამოსვლაზე ფიქრი. ახლა ამას შესაძლოა უკონტროლო პროცესები მოჰყვეს, რაც სასურველი არ იქნება არა მხოლოდ საბერძნეთისთვის.

— **მიაჩნიათ, რომ ზოგი ევროკავშირის სრული ფედერაციისკენ უბიძგებს. თქვენ, როგორც ისტორიკოსი, თუ ხედავთ რაიმე მსგავსებას დღევანდელ ევროპასა და ამერიკას შორის ამ უკანასკნელის გაერთიანებამდე?**

— სრულიად განსხვავებული პირობებია. ამერიკის შტატებისთვის გაერთიანების ძირითადი მიზეზი გახდა უსაფრთხოების მიზნები — ერთიანი საგადასახადო სისტემის არარსებობამ და ზოგიერთი შტატის დავალიანებამ წარმოქმნა საშიშროება, რომ ბრიტანეთის იმპერია მათ ვალების გამო ჩაიგდებდა ხელში. ევროპა არ დგას ასეთი საფრთხის წინაშე, მას არ აქვს უსაფრთხოების პრობლემები, რომელიც უბიძგებდა ერთიანი სახელმწიფოს შექმნისკენ. ევროპის ქვეყნებს გაერთიანება სურთ ტექნოკრატიული მიზნების გამო, მაგრამ ევროპული საზოგადოების ფართო წრეები ამგვარ მიზნებს მხარს როდი უჭერენ.

მეორე განსხვავება ის არის, რომ კავშირის პროექტი არასდროს ემყარებოდა ევროპული იდენტურობის შეგრძნებას, იმ ღირებულებათა ერთიანობას, რომელმაც ეს კონტინენტი შექმნა. გაერთიანებისას ამერიკას უკვე ჰქონდა ასეთი ერთიანობა: ეს იყო დემოკრატიული ღირებულებები, რომელიც ამერი-

კვლევმა მეფის წინააღმდეგ ბრძოლიდან გამოიტანეს; მათ ასევე უკვე გააჩნდათ აღმასრულებელი ხელისუფლების ძალაუფლების შეზღუდვის პრაქტიკა და აგრეთვე საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლების დაბალანსების გამოცდილება. ევროპასაც შეეძლო შეექმნა რაღაც ამგვარი, მაგრამ მან ტექნოკრატიის განვითარება არჩია, რომლის დროსაც ინტეგრაციის უმთავრესი ბერკეტი ეკონომიკური ეფექტიანობა გახდა და არა პოლიტიკური თვალსაზრისი.

— **მაშასადამე, არც ფედერაცია და არც დაშლა! მაშ, როგორი მომავალი ელის ევროპას?**

— ვფიქრობ, საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში ის დაემსგავსება გერმანელი ხალხის რომის საღვთო იმპერიას. ამ უკანასკნელმა საკმაოდ დიდხანს გაძლო, მიუხედავად იმისა, რომ ის პოლიტიკური ორგანიზაციის გარდამავალი ფორმა გახლდათ, მასში შემავალი ცალკეული ქვეყნის მნიშვნელოვანი ავტონომიურობითა და მათ შორის გაცხოველებული თანამშრომლობით. ცხადია, დღევანდელი ევროპა დიდადაა დაინტერესებული თავისუფალი ვაჭრობით, ინვესტიციების ლიბერალიზაციით, კანონის უნიფიცირებით, მაგრამ ეს პოლიტიკურ გაერთიანებას ვერ გამოიწვევს. ათწლეულების განმავლობაში სწამდათ, რომ თუ ევროპა წინ ვერ წავიდოდა ინტეგრაციის გზაზე, მთელი ეს კონსტრუქ-

ცია უბრალოდ ჩამოიშლებოდა. არ ვიცი, ასე რატომ უნდა მოხდეს. ამგვარი დაწესებულებების მშენებლობა არ ეფუძნება პრინციპს, — ყველაფერი ან არაფერი. ამგვარად, არც ისეა საქმე, რომ თუ ევროპა სრულ ფედერაციად არ გადაიქმნება, იგი არსებობას შეწყვეტს.

— **ამერიკის შეერთებულ შტატებსაც, რომელსაც ნიმუშად გვისახელებთ, აქვს თავისი დიდი პრობლემები. პოლიტიკური პოლარიზაციიდან დაწყებული, რომელიც ხელისუფლებას პარალიზებით ემუქრება.**

— ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკასა და მედიაში პოლარიზაცია კიდევ უფრო ღრმავად ვიდრე პოლარიზაცია საზოგადოებაში. ეს ჩვენი სისტემის ერთ-ერთი მარცხია, რადგან სრულყოფილ დემოკრატია უნდა შეეძლოს მოაგვაროს საზოგადოებრივი კონფლიქტი და გააადვილოს საზოგადოებრივი კონსენსუსი. ამის პარალელურად, შტატებში პოლიტიკა და მედია იმით არიან დაკავებული, რომ საკუთარი ინტერესების შესაბამისად გაზარდონ არსებული განსხვავება, რის შედეგადაც ამერიკული დემოკრატია მუხრუჭდება. ამჟამად ამერიკის შეერთებული შტატების ყველაზე დიდი პრობლემა მეურვე სახელმწიფოს როლზე ხელის ადება. შესაძლებელია ამ პრობლემის მოგვარება, არსებობს საამისოდ კონკრეტული რეცეპტი. საკითხავი მხოლოდ ის არის, როგორ დავინტერესოთ პო-

*„ევროკავშირის დაშლა მოსალოდნელი არ არის, მაგრამ ევროზონის — ნამდვილად“*







ფრენსის ფუკუიამა სამუშაო გარემოში

ლიტიკური სისტემა, რათა დროულად მიიღოს შესაფერისი გადაწყვეტილება.

— ამერიკული დემოკრატია ხომ არ დადგა პოლიტიკური რეგრესის გზას, რის შესახებაც თქვენს წიგნში წერთ?

— პოლიტიკურ რეგრესს ორი ძირითადი წყარო ასაზრდოებს. პირველია ხისტი დაწესებულებები, რაც მათი ბუნებრივი დამახასიათებელია. ისინი რაკი ერთი დაეფუძნებიან, ძალიან ჯიუტი ხდებიან ცვლილებებისადმი, რაღაც მოსაზრებით კი არც ძალუთ ადაპტირება. აბა, ვინმე შეეცადოს ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციაში რამე ცვლილების შეტანას. მეორე წყარო ის გახლავთ, რასაც ჩვენ პოლიტიკის რეპატრიმონიზაციას ვუწოდებთ — მასების ამკარა წინააღმდეგობის

არარსებობის შემთხვევაში, ხელისუფლების მქონე და პოლიტიკურ სისტემის წარმართველი ელიტა იყენებს ყოველივე ამას და კიდევ უფრო აძლიერებს ამ გავლენას. დღეს ეს ყველაფერი კარგად ჩანს ამერიკის მაგალითზე.

— თქვენ წერთ, რომ დემოკრატიის დონის შემცირება მთელ მსოფლიოში შეინიშნება. პოლონეთმა შეძლო თავისი შანსის გამოყენება, მაგრამ უკრაინამ და რუსეთმა ეს უკვე ვედარ მოახერხეს. დიდხანს გაგრძელდება ამ ქვეყნებში პოლიტიკური ავტორიტარიზმი?

— ცენტრალური აზიის ქვეყნები ევროპას კომუნიზმის დადგომამდე ეკუთვნოდნენ, ამიტომ ისინი მზად აღმოჩნდნენ დემოკრატიაზე სწრაფად გადასვლისთვის. რუსეთი და უკრაინა ასეთები არ ყოფილან, მათთვის ყოველთვის იყო დამახასიათებელი აბსოლუტური დაწესებულებები, იქ კანონის უზენაესობას არასოდეს შეუსრულებია არსებითი როლი, ამიტომ გასაკვირი როდია, რომ მათ ეს შანსი არ გამოუყენებიათ, როგორც პოლონეთს, ჩეხეთსა თუ უნგრეთს. მაგრამ ამასთანავე რუსეთში სახეზეა თაობათა ცვლის დასაწყისი — ვლადიმირ პუტინის თაობა მუდმივად ვერ იქნება ხელისუფლების სადავეებთან, საარჩევნო ყუთებთან მივლენ ახალგაზრდები, რომელთაც ბუნდოვნად ახსოვთ 90-იანი წლების ქაოსი. ისინი უკვე დღეს უფრო მეტ პასუხისმგებლობას სთხოვენ ხელისუფლებას, მხოლოდ სტაბილურობა ვედარ აკმაყოფილებთ.

როცა ევროპას ვუყურებ, რუსეთსა და უკრაინაზე მეტად, უნგრეთის მდგომარეობა მაწუხებს. ორბანის ხელისუფლებამ თავისი ანტიდემოკრატიულობა აჩვენა და ეს მით უფრო გასაკვირია, რომ 90-იანი წლების დასაწყისში ეს ქვეყანა სწორად მიმდინარე ტრანსფორმაციის მაგალითს წარმოადგენდა. ორბანს უნგრეთში, იაროსლავ კაჩინსკის — პოლონეთში და პუტინს — რუსეთში, ბევრი რამ ამსგავსებს ერთმანეთთან. მათი პოლიტიკური დასაყრდენი სოფელი, ნაკლებ განათლებული, ფიზიკურად მომუშავე ხალხია. პოლონეთსა და უნგრეთს შორის განსხვავება ის არის, რომ კაჩინსკის არასოდეს ჰქონია ასეთი ხელისუფლება, არ ჰყოლია საპარლამენტო უმრავლესობა, რომელიც მას კონსტიტუციის შეცვლის უფლებას მისცემდა.

*პოლონურიდან თარგმნა  
ამბროსი გრიშოკაშვილი*

# უცხო სხეულის 8-ბონიანი ქანდაკება მიუძღვნეს

ჩინეთის სამხრეთ-აღმოსავლეთში, ქალაქ ჩენდუსთან ახლოს, არქეოლოგებმა უცნობი ცხოველის ქანდაკება აღმოაჩინეს, რომელიც დაახლოებით ორი ათასი წლისაა. სტატუის სიგრძე 3 მეტრს აჭარბებს, სიმაღლე ნახევარი მეტრია, სიგანე კი თითქმის ერთი მეტრი. სპეციალისტთა აზრით, ის რვა ტონაზე მეტს უნდა იწონიდა. მეცნიერებისთვის ჯერ უცნობია, რომელი ცხოველია გამოქანდაკებული. ვარაუდობენ, რომ ეს შეიძლება იყოს პანდა, რადგან პროვინცია სიჩუანი, სადაც ქვის სტატუა იპოვეს, ერთ-ერთია ჩინეთის იმ სამი ტერიტორიიდან, სადაც ეს ცხოველი ბინადრობს.

გათხრებისას სპეციალისტებმა სხვა არტეფაქტებსაც მიაკვლიეს: თიხის ჭურჭელს, ქვევრებს, ფიგურულ ზედა ფრთებს. არქეოლოგები ვარაუდობენ, რომ მათ შესაძლოა რელიგიური ცერემონიებისთვის იყენებდნენ, ხოლო იქ, სადაც ისინი გათხრებს აწარმოებენ, არ არის გამორიცხული, ძველი ტაძრის ადგილსამყოფელი იყოს.



ჩენდუ ჩინეთის ერთ-ერთი უძველესი ქალაქია. მიიჩნევა, რომ ის, ერთსა და იმავე ადგილას, ერთი და იმავე სახელით არსებობდა ოთხი ათასი წელიწადის განმავლობაში. მთელი ეს დრო იგი მსხვილ რელიგიურ ცენტრს წარმოადგენდა.

*მომზადებულია The Daily Mail-ის მასალების მიხედვით*

## „ხორცის გემო“ 1,5 მილიონი წლისაა

ოლდუვაის მღვიმეში მიკვლეულმა თავის ქალის ფრაგმენტმა მეცნიერებს საშუალება მისცა დაედგინათ, რომ ჩვენმა წინაპრებმა ხორცის საკვებად გამოყენება მილიონ-ნახევარი წლის წინ დაიწყეს. დენვერის უნივერსიტეტის ანთროპოლოგიის პროფესორ ჩარლზ მუსიბის განცხადებით, ხორცის საკვებად გამოყენება იყო ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი,


რამაც თავის ტვინის განვითარებასა და ადამიანად ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი.

თავის ქალის ფრაგმენტები, რომელიც კვლევისთვის გამოიყენეს, მეცნიერებმა კაცობრიობის აკვნად აღიარებულ ოლდუვაის მღვიმეში მიაკვლიეს, რომელიც ტანზანიის ჩრდილოეთში მდებარეობს.

ძვლის ხუთსანტიმეტრიანი ფრაგმენტი ორი წლის ბავშვს ეკუთვნოდა და ანემიის ნიშნები ჰქონდა. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ დაავადება ხორცისა და საკვების უეცარმა შეწყვეტამ გამოიწვია. შესაძლოა მაშინ, როცა ცდილობდნენ, ბავშვი ძუძუს გადასჩვეოდა.

კვლევის შედეგები საშუალებას იძლევა გაკეთდეს დასკვნა, რომ უკვე პლეისტოცენის ეპოქაში დაიწყო ადამიანმა ხორცის საკვებად გამოყენება. ანუ, გაცილებით ადრე, ვიდრე აქამდე ვარაუდობდნენ. ცხოველის ხორცის დეფიციტს კი ადამიანის ორგანიზმში პათოლოგიური ცვლილებების გამოწვევა შეეძლო. მათ შორის, შესაძლოა სიკვდილის მიზეზიც გამხდარიყო.

*მომზადებულია Sciencedaily-ის მასალების მიხედვით*







# კარლსბუინი

ჩეხეთის უძირველესი და  
ულამაზესი ციხე-დარბაზის  
ისტორია





„თქვენ იმყოფებით მაღლა, დიდი კოშკის წმინდა ჯვრის კაპელაში, სადაც ოდესღაც საიმპერატორო ხელისუფლების ატრიბუტები ინახებოდა. თითქოს ჯადოსნურ ქვეყანაში მოხვდით და თქვენი ბავშვობის ყველა ოცნება ახდა: ხელაფთ ძვირფასი ქვებით დაფარულ კედლებს მოგარაგებულ ფონზე, ძვირფასეულობით გაბრწყინებულ თაღებს და უამრავ ნახატს. მათი დიდი უმრავლესობა ახალბერძნული სტილის პორტრეტებია ნატურალური ზომით. აქ თითქმის ყველა წმინდანია, ვისაც თავგანს სცემს ქრისტიანული ეკლესია“; — აღტაცებული წერდა კარლშტეინის ციხე-დარბაზის შესახებ ცნობილი კოლექციონერი და ხელოვნებათმცოდნე ბუასერე.  
წმინდა ჯვრის კაპელის ეს აღწერილობა არაერთარ შემთხვევაში გაზვიადებული არ არის და მხოლოდ იმას ადასტურებს, რომ ჩეხეთის დედაქალაქ პრაღის ნებისმიერი სტუმარი, რომელიც ქალაქიდან სამხრეთით 35 კილომეტრით დაშორებულ ციხე-დარბაზს არ ეწვევა, უარს ამბობს საოცარ შთაბეჭდილებებზე.

ანსამბლში კოშკები  
საფეხურებრივად  
არის განლაგებული



ციხე-დარბაზს სახელი ეწოდა მისი ამგების — ჩეხეთის მეფისა და რომის საღვთო იმპერიის იმპერატორის, კარლოს IV-ს პატივსაცემად. კარლშტეინი, რომელიც 1964 წელს კულტურის ეროვნულ ძეგლად გამოცხადდა, ჩეხეთის ყველაზე მნიშვნელოვან და ლამაზ ციხე-დარბაზად ითვლება. იგი იმპერატორმა 300 მეტრის სიმაღლის კირქვის გორაკზე 1348-1354 წლებში ააგო, როგორც საზაფხულო რეზიდენცია და საიმპერატორო რეგალიებისა და წმინდა რელიკვიების საცავი, რომელთა შეგროვებითაც გატაცებული იყო მონარქი.

ციხე-დარბაზი იმპერატორის უშუალო მეთვალყურეობით შენდებოდა შემჭიდრობულ ვადებში, ფრანგი არქიტექტორის მათე არასელის პროექტის მიხედვით. მშენებლობის დამთავრებამდე ორი წლით ადრე, უკვე 1355 წელს, იმპერატორი ახალ რეზიდენციაში შესახლდა კიდევ.

რეგალიებისა და რელიკვიების საცავი აქ XV საუკუნემდე რჩებოდა, სანამ ე.წ. ჰუსიტური ომების გამო დროებით უფრო საიმედო ადგილას არ გადაიტანეს, პრადის „გრადიდან“ წამოდებულ ჩეხ მეფეთა საგანძურთან ერთად. მათ შორის იყო წმინდა ვაცლავის გვირგვინი, რითაც ჩეხეთის მეფეები ეკუთრებოდნენ, კარლოს IV-ის ჩათვლით (გვირგვინი „გრადში“ მხოლოდ 1619 წელს დააბრუნეს). სიფრთხილე ზედმეტი აღმოჩნდა, ციხე-დარბაზმა 1422 წელს წარმატებით გაუძლო ჰუსიტების უშედეგო შვიდთვიან ალყას. 13-წლიანი ომის დროს, 1620 წელს, ციხე-დარბაზი შედეგების ალყაშიც აღმოჩნდა, მაგრამ კარლშტეინი ვერც მათ აიღეს. 1436 წელს სამეფო საგანძური კარლშტეინიდან კარლოსის მეორე ვაჟის — იმპერატორ სიგიზმუნდის ბრძანებით გაიტანეს და დღეს ნაწილი პრადში, ნაწილი კი ვენაშია დაცული.

XVI საუკუნეში ციხე-დარბაზი ოსტატმა უდალრიკო ავოსტალისმა რენესანსის სტილში გადააკეთა. სამი საუკუნის შემდეგ სატაძრო არქიტექტორმა იოსებ მოცკერმა ძეგლს კვლავ გოტიკური სახე დაუბრუნა.

კარლშტეინის არქიტექტურულ გადაწყვეტაში გამოყენებულია ანსამბლში შემავალ მენობათა საფეხურებრივი განლაგების პრინციპი. თითოეული მომდევნო ნაგებობა მომდევნოს დაჰყურებს, ხოლო მწვერვალს ქმნის



წმინდა ვაცლავის თავის ქალა გვირგვინით, რითაც ჩეხეთის მეფეები ეკუთრებოდნენ



საუღიანციო დარბაზი იმპერატორის სასახლეში

დიდი კოშკის წმინდა ჯვრის კაპელის ინტერიერი







კარლშტეინის შიდა ეზო



დიდი კოშკი წმინდა ჯვრის სამრეკლოში, სადაც ინახებოდა სამეფო რელიკვიები, მათ შორის რომის საღვთო იმპერიის გვირგვინი. დიდი კოშკის სიგრძე 25 მეტრია, სიგანე 17, ხოლო კედლების სისქე 4 მეტრს აღწევს. ციხე-დარბაზის ზედა კომპლექსს, დიდი კოშკის გარდა, ქმნის იმპერატორის სასახლე, მარიამის კოშკი ქალწულ მარიამის საყდრით, დაბლა კი განლაგებულია ქვედა ციხე-დარბაზი დიდი შიდა ეზოთი, ე.წ. საბურგგრაფოთი (ბურგგრაფი იყო ციხე-დარბაზის მმართველი და მცველთა მეთაური, რომელსაც ემორჩილებოდა ციხე-დარბაზის გარშემო მცხოვრებ ვასალთა გარნიზონები) და ჭიშკრებით. ყველაზე ქვედა წერტილში ჭის კოშკია. ჭის სიღრმე 80 მეტრია, ხოლო წყლის ამოსაღები მექანიზმის ამოქმედებას ორი კაცი სჭირდება.

ამჟამად ციხე-დარბაზში მოხვედრა შეუძლებელია ძველი ჭიშკრით, ეს მხოლოდ ქვედა სიმაგრეებში ურსულას კოშკის გავლითაა შე-

*ციხე-დარბაზი ჩიტის ვაფრენის სიმალიდან*



სადლებელი, საიდანაც მეორე ჭიშკრის საშუალებით დამთვალეირებლები ზედა სიმაგრეებში ზედებიან. ციხე-დარბაზისთვის შემოვლელულ სიმაგრეთა ორი წრე ნათლად აჩვენებს, რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა კარლოს IV თავისი ძალაუფლების რელიკვიებს. მან შშენებლობის დაწყებისას პირველი ქვაც კი ჩადო საზეიმოდ, ახლო მეგობრის, პრადის არქიეპისკოპოს არნოშტ პარდუბიცელის ხელით, თუმცა იმ დროს ასეთი რამ მიღებული არ იყო.

მთავარი შესასვლელი შიდა ეზოში შედის, საიდანაც იმპერატორის სასახლეში მოხვდებით. ოთახებში გამოფენილი კოლექციები კარლოს IV-ის ცხოვრებასა და დეაწლზე მოგვითხრობს. ადრე ქვედა სართულზე, პირდაპირ მიწაზე, საჯინბოები იყო განთავსებული, მათ თავზე — იმპერატორის ამალისთვის განკუთვნილი „რაინდთა დარბაზი“ ორი ნეფით, კესონირებული ჭვრითა და ხის საყრდენებით, ზედა სართულზე კი თავად იმპერატორის პალატები.

საუდიენციო დარბაზში, რომელიც ყველაზე უკეთაა შემონახული, ნიშებში იმ დროის ორიგინალური სკამები დგას.


მეზობლად მდებარე მარიამის კოშკში არის ღვთისმშობლის ეკლესია მარიენკირხე წმინდა ეკატერინეს კაპელით. XIV საუკუნის შუახანის ფრესკები მხოლოდ ციხე-დარბაზის რესტავრაციისას აღმოაჩინეს. მათზე გამოსახულია აპოკალიფსის სცენები და თავად იმპერატორი, როგორც ქრისტიანული რელიკვიების შემგროვებელი. ვიწრო გასასვლელს ეკლესიის დასავლეთ ნაწილში წმინდა ეკატერინეს კაპელაში მიეყვართ, რომელიც კარგა ხანს ითვლებოდა იმპერატორის პირად სამლოცველოდ, თუმცა ამჟამად ისტორიკოსები ამაში დარწმუნებული არ არიან. საკურთხეველის ნიშის მოხატულობაზე გამოსახულია ქალწული მარიამი ყრმა იესოთი, ხოლო მათ გვერდით იმპერატორი კარლოსი თავის მეუღლე ანა შვეიდნიცთან — პფალცის კურფიურსტის ასულთან ერთად. კაპელის ჭერი ოქროთია მოვარაყებული, ისევე როგორც ნახევრად ძვირფასი ქვებით შემკული ბათქაში.

ეს ძვირფასი მორთულობა მეორდება დიდ

*კიბე აულებელი ციხე-დარბაზის ერთ-ერთი სათვალთვალო კოშკისკენ*



*იმპერატორის გოტიკური სკამი საუდიენციო დარბაზში*





კოშკში განლაგებულ წმინდა ჯგერის კაპელაში, ოღონდ უფრო მდიდრულად. აქ ოქროს ჩარჩოებში ჩასმული დაახლოებით 2300-2500 ძვირფასი ქვა — იასპიდან, აგატიდან, ამეთვისტოდან დაწყებული, ონიქსითა და სარდონით დამთავრებული, — მეტოქეობას უწევს გამოჩენილი ჩენი ოსტატის, თეოდორიკის მოხატულ 129 პანელს. ამ ყველაფერს კი თავს ადგას მოოქრულ ნერვიურებიანი (გოტიკური თაღის კარკასის წიბო) თალი შუშის ელემენტებით, რაც ვარსკვლავიანი ცის შთაბეჭდილებას ქმნის. კარლოსს სურდა, მისი რელიკვიები, სულიერი ღირებულებიდან გამომ-

დინარე, ციხე-დარბაზის საუკეთესო სათავსებში ყოფილიყო დაცული. სავარაუდოდ, მოხატული პანელების გაღერეაც სწორედ ამ მოსაზრებით შეიქმნა: საკულტო განძი რაც შეიძლება მეტ წმინდანს უნდა დაეცვა. თუმცა ყველა პანელის მოხატულობა, მათი დიდი რაოდენობის გამო, თეოდორიკის ფუნჯს ნამდვილად არ ეკუთვნის.

მეფედ კურთხევის ატრიბუტები და ყველაზე ძვირფასი რელიკვიები საკურთხეველის ნიშნის თავზე, ოქროთი დაფარული ცხაურის მიღმა ინახებოდა და მათი ხილვის საშუალება მხოლოდ ღირსეულთ ეძლეოდათ.





## პირველი პრალელი

ლუქსემბურგების დინასტიის წარმომადგენელი ვენცესლავი 1316 წელს დაიბადა პრალაში. აღსაზრდელად იგი პარიზის სამეფო კარზე გაგზავნეს. მიუხედავად იმისა, რომ ჩეხეთს ფაქტობრივად 1342 წლიდან მართავდა, მეფედ მხოლოდ 1346 წლის 26 აგვისტოს, მამის, ჩეხეთის მეფე იოანეს გარდაცვალების შემდეგ ეკურთხა კარელ I-ის სახელით. მანამდე კი, იმავე წლის 11 ივლისს ვენცესლავმა მიაღწია, რომ ხუთ კიურფიურსტს გერმანიის მეფედ აერჩია. 1355 წლის 5 აპრილს კარლოსმა რომის საღვთო იმპერიის გვირგვინი დაიდგა.

კარლოსის მთავარი მიზანი ჩეხეთში ძალაუფლების განმტკიცება იყო. ამიტომაც მან პრალა თავისი იმპერიის ცენტრად აქცია და ცდილობდა, ევროპის ერთ-ერთ მთავარ ქალაქად გაეხადა. შემთხვევითი არ არის, რომ პრალაში მრავალი ნაგებობა ატარებს მის სახელს. იმპერატორი კარლოსი — ბრძენი მმართველი და მორწმუნე ცდილობდა, არა მარტო მიწაზე განემტკიცებინა თავისი დროებითი მმართველობა, არამედ მარადისობაშიც დაეკავებინა ადგილი. კარლოსი 1378 წლის 29 ნოემბერს გარდაიცვალა და უამრავი საკულტო ნაგებობა დატოვა.

*მომზადა რამაზ გურგენიძემ*





# დაიმლერს + ბენცი = მერსედეს



„მერსედეს სიმპლექსი“ დღეს  
ზინსჰაიმის მუზეუმის  
ექსპონატია

„მერსედესის“ მარკის ავტომობილებს მსოფლიო იცნობს და აფასებს. ეს ბრენდი ძვირად ღირებულ, მაგრამ ყველაზე კომფორტულ და უსაფრთხო ავტომობილებთან ასოცირდება. დღეს უამრავი საავტომობილო მარკა არსებობს, არჩევანი უდიდესია, მაგრამ „მერსედესი“ „მერსედესად“ რჩება! რატომ? ამ კითხვაზე პასუხს უნიკალური გერმანული საავტომობილო ბრენდის შექმნის ისტორია გაგცემთ.

გოტლიბ დაიმლერი

კარლ ბენცი

ემილ იელინგი



## გოტლიბი და კარლი

„მერსედესისა“ და ავტონდუსტრიის ისტორია თითქმის ერთდროულად იწყება. 1880-იან წლებში გერმანელებმა გოტლიბ დაიმლერმა და კარლ ბენცმა ერთმანეთისგან დამოუკიდებლად შექმნეს მაღალ ბრუნზე მომუშავე პირველი შიდაწვის ძრავა, რითაც მოტორიზებული ინდივიდუალურ ტრანსპორტს ჩაუყარეს საფუძველი. დაიმლერმა და ბენცმა მეწილეებისა და სპონსორთა დახმარებით თავიანთი კომპანიები ჩამოაყალიბეს. კარლ ბენცმა 1883 წლის ოქტომბერში ქალაქ მანჰაიმში დააარსა ფირმა Benz & Cie., ხოლო 1890 წლის ნოემბერში გოტლიბ დაიმლერმა ქალაქ კანშტატში შექმნა კომპანია „დაიმლერ-მოტორენ-გეზელშაფტი“ (DMG — დაიმლერის ძრავების საზოგადოება).

სენსაციური პროდუქტი უფრო პოპულარული რომ გამხდარიყო და შესაძლო მომხმარებლებს სამომავლოდ სხვა ნაწარმში არ არეოდათ, ორივე კომპანიამ სასაქონლო ნიშნის ძებნა დაიწყო. დაიმლერმა-გამომგონებლებმა არჩევანი თავიანთ გვარებზე შეაჩერეს („ბენცი“ და „დაიმლერი“), მაგრამ საუკუნის მიჯნაზე „დაიმლერ-მოტორენ-გეზელშაფტის“ ფონზე უცნობი და მიშხიდველი სახელწოდება, „მერსედესი“ გამოჩნდა.

## ბიზნესმენის ქალიშვილი

„მერსედესი“ (Mercédès) ქალის სახელია და ესპანურად სათნოებას, გულმოწყალებას ნიშნავს. მაგრამ როგორ მიიღო დაიმლერის მარკამ ასეთი სახელწოდება? მერსედესი ერქვა ებრაული წარმოშობის ცნობილი და უაღრესად წარმატებული ავსტრიელი ბიზნესმენისა და დიპლომატის, ემილ იელინეკის 1889 წელს დაბადებულ ქალიშვილს. უფრო ზუსტად, გოგონას სინამდვილეში ადრიაანა მანუელა რამონა ელინეკი ერქვა, მერსედესს კი შინაურები მოფერებით ემახდნენ, თუმცა რამე კავშირი ესპანურ წარმოავლობასთან ოჯახს არ ჰქონია. ემილ იელინეკი ცხოვრობდა ვენაში, ნიცასა და ბადენში. გატაცებული იყო სპორტით, უდიდეს პატივს სცემდა ტექნიკურ პროგრესს, ავტომობილებს და დარწმუნებული იყო, რომ კაცობრიობის მომავალს სწორედ ავტომობილი შეცვლიდა.

1897 წელს, როცა გოტლიბ დაიმლერის კომპანიის მიღწევათა შესახებ შეიტყო, იელი-



მერსედეს იელინეკი

ნეკი კანშტატში ჩავიდა და „დაიმლერს“ შეუკვეთა პირველი ავტომობილი 2-ცილინდრიანი, 6-ცხენისძალიანი ძრავით. ავსტრიელი ბიზნესმენი მიღებული მანქანით აღფრთოვანებული დარჩა, მაგრამ მალევე მობეზრდა, რადგან რკინის რაშის მაქსიმალური სიჩქარე მხოლოდ 24 კმ/სთ გახლდათ. მაშინ დაიმლერს იელინეკმა ისეთი ავტომობილი შეუკვეთა, რომელიც 40 კმ/სთ-ს განავითარებდა. 1898 წლის სექტემბერში ემილს ორი ავტომობილი წარუდგინეს — პირველი მანქანები წინ ჩადგმული ძრავებით. 4-ცილინდრიანი ავრეგატები 8 ცხენის ძალას ავითარებდნენ.

ემილ იელინეკს საერთაშორისო ბიზნესსამყაროში გაგლენიანი ნაცნობობა ჰყავდა, დაახლოებული იყო არისტოკრატისთან და როგორც ბიზნესმენი, მუდმივად ესწრაფვოდა სიახლეებს. 1898 წლიდან მან „დაიმლერის“ ავტომობილთა პოპულარობას შეუწყო ხელი, როცა ისინი მაღალი კლასის ფართო საზოგადოებას გააცნო. 1899 წელს „დაიმლერ-მოტორენ-გეზელშაფტმა“ ემილ იელინეკს ათი ავტომობილი დაუმზადა, 1900 წელს კი უკვე 29.

იელინეკი „დაიმლერს“ მუდმივად უფრო მძლავრ და სწრაფ მანქანებს სთხოვდა და კანშტატში შექმნილი მოდელები 1899 წლიდან სარბოლო სანახაობებში ჩართო. ყველაზე მასშტაბური საავტომობილო რბოლა ემილმა ნიცაში მოაწყო, სადაც თვითონვე მონაწილეობდა „მერსედესის“ ფსევდონიმით. ცხადია, მისი ქალიშვილი იმხანად ათი წლისა გახ-





ბერტა ბენცი და მისი ორი ვაჟიშვილი თვითმობრავი ეტლით 106-კილომეტრიან მოგზაურობას იწყებენ



ბერტა ბენცი, კარლ ბენცის მეუღლე

ლდათ. თუმცა ეს სახელი ავტომობილს არ ერქვა (ამის უფლება იელინეკს არც ჰქონდა), „მერსედესი“ მისი, როგორც მრბოლელისა და გუნდის ფსევდონიმი იყო.

1900 წელს „დაიმლერ-მოტორენ-გეზელ-შაფტი“ და ემილ იელინეკი დაიმლერის ავტომობილებისა და ძრავების ერთობლივ გასაღებაზე შეთანხმდნენ. იელინეკმა კომპანიას ფინანსური და მარკეტინგული მხარდაჭერა აღუთქვა. გადაწყდა, რომ „დაიმლერში“ შექმნიდნენ ახალ ძრავას, რომელსაც „დაიმლერ-მერსედესი“ ეწოდებოდა.

შეთანხმებიდან 14 დღეში იელინეკმა „დაიმლერს“ 36 ავტომობილი შეუკვეთა. ამ შეკვეთის საერთო ღირებულება 550.000 გერმანული მარკა გახლდათ, რაც დღევანდელი კურსით დაახლოებით 2,3 მილიონ ევროს უდრის. იმ დროისთვის (და არა მარტო იმ დროისთვის) ეს უდიდესი თანხა იყო. პირველი შეკვეთიდან რამდენიმე კვირის შემდეგ იელინეკმა კვლავ მიმართა დაიმლერს და ამჯერადაც 36 ავტომობილის დამზადება სთხოვა...

## ქალბატონი ბენცი

კარლ ბენცის ბიზნესი ბერტა ბენცის (გათხოვებამდე რინგერის) კაპიტალმა გადაარჩინა. ფრაუ ბერტამ ავტომობილი გასართობი, მაგრამ უსარგებლო ტექნიკური ნივთისგან პრაქტიკული გამოყენების საგნად აქცია. 22 წლის ასაკში, 1871 წელს, ახალგაზრდა ქალიშვილმა მამისგან მზითვეი გამოითხოვა და მთელი ფული კარლ ბენცისა და ავგუსტ რიტერის მეტალურგიულ და მანქანათმშენებელ საწარმოში ჩადო. არადა, წარმოების საქმე ცუდად მიდიოდა, სწორედ ფროილან რინგერის ფულმა გადაარჩინა ის გაკოტრებას. ერთი წლის შემდეგ ბერტა კარლ ბენცს ცოლად გაჰყვა.

ქმარს ბერტა მედგრად ედგა მხარში, ამხნეებდა, როცა კარლს სულელიც კი უწოდეს და არ დაანება უარის თქმა თვითმობრავი ეკიპაჟის შექმნაზე, რაც ოჯახის მთელ ბიუჯეტს იწირავდა.

ავტომობილის ისტორიისთვის ღირსშესანიშნაეი დღე 1888 წლის აგვისტოში დადგა. ფრაუ ბენცმა ქმრის დაუკითხავად თვითმობრავი ეტლი გამოიყვანა. ეტლს უკვე ჯილდოც ჰქონდა მიღებული მიუნხენის გამოფენაზე, მაგრამ ხალხი მას ერთგვარ გასართობად აღიქვამდა და პრაქტიკულ სარგებელს ვერ ხედავდა.

ბერტა სტუმრად გაემგზავრა დედასთან და 106-კილომეტრიან გზაზე ორი ვაჟიც გაიყოლა. მანამდე არავის გაუვლია ამხელა მანძილი თვითმობრავი ეტლით. გზად ავტომობილს საწვავი გამოეღია და ქალმა აფთიაქში საწმენდი საშუალება ლიგროინი (ნავთობპროდუქტი, რომლის გამოყენებაც შესაძლებელია ბენზინისა და დიზელის ძრავისთვის) იყიდა. შემდეგ ეტლს ტყავის სამუხრუჭე შალითები გაუცვდა და ფრაუ ბენცმა მეწაღეს მიმართა დასახმარებლად. გაყვდა ამძრავი ჯაჭვიც და მსოფლიოში პირველმა ავტომობილისტმა ქალმა მჭედელთანაც შეიარა. გზადაგზა ბერტა ხალხს უხსნიდა, რამდენად მოსახერხებელია ავტომობილი... ყველაზე დიდი შთაბეჭდილება „მოტორვაგენმა“ სწორედ ქალებზე მოახდინა.

ფრაუ ბენცმა შესაშური ტექნიკური საზრიანობაც გამოავლინა. როცა საწვავის მილში რაღაც გაიჭვდა, თმიდან სამაგრი გამოიძრო და მილი გაწმინდა; როცა ეტლში ჯდომისას დენის მცირე დარტყმა იგრძნო, სადენის ცვეთის ადგილი იპოვა და თავისი წინდის რეზინის სამაგრისგან იზოლაცია გააკეთა. ციკაბო აღმართების დამოუკიდებლად დაძლევა მცირესიმძლავრიან ეტლს არ შეეძლო. დროადრო ქალი იძულებული ხდებოდა, ეტლიდან გადმოსულიყო და თავად მიწროლოდა. მოგ-

1899 წლის 27 აგვისტო, პირველი რბოლა







ნიცის რბოლა.  
1902 წ.

ვიანებით მან შეუღლეს ურჩია, ეტლისთვის მეორე სიჩქარეც დაემატებინა.


ბერტა ბენცის მოგზაურობა თავბრუდამხვევი წარმატებით დასრულდა და ავტოწარმოებისთვის ძალიან დიდი როლი ითამაშა. ეტლმა ნამდვილი ფურორი მოახდინა. ბენცის გამოგონებაზე ყველა ალაპარაკდა და ახალი ავტომობილების დაშხადების შეეკეთებაც მოაწყდა...

### პირველი „მერსედესი“

1900 წლის 22 დეკემბერს „დაიმლერმა“ იელინგს წარუდგინა მორიგი სარბოლო ავტომობილი ახალი, 35-ცხენისძალიანი ძრავით. ეს

იყო პირველი „მერსედესი“, რომელიც „დაიმლერ-მოტორენ-გეზელშაფტის“ შეფკონსტრუქტორმა ვილჰელმ მაიბახმა შექმნა და ამით საუკუნის დასაწყისში ფურორი მოახდინა. დაბალი სიმძიმის ცენტრით, დაპრესილი ფოლადის ჩარჩოთი, მსუბუქი და მძლავრი ძრავით, ასევე ახალი, მანამდე არნახული რადიატორით, ეს მანქანა პირველი თანამედროვე მსუბუქი ავტომობილი გახდა.

1901 წელს, ნიცის კვირეულზე „მერსედესის“ ავტომობილებმა პრაქტიკულად ყველა დისციპლინაში საუკეთესო შედეგები აჩვენეს, რამაც იელინგსა და „მერსედესს“ უდიდესი პოპულარო-



„მერსედესის“  
1901 წლის  
მოდელი

ბა მოუტანა. 1901 წლიდან გამოჩნდა მოდელები 12 და 16, აგრეთვე 8 და 11 ცხენის ძალით. იელინეკი „დაიმლერს“ დაკვეთას დაკვეთაზე აძლევდა და კანშტატის ქარხანაც გაუჩერებლად მუშაობდა. ეს უდიდესი ბუმის ნიშანი გახლდათ, რის გამოც 1902 წლის 23 თვის კომპანიამ სახელწოდება „მერსედესი“ სასაქონლო ნიშნად დარეგისტრირა, 26 სექტემბერს კი ეს სახელწოდება დააბატენტა. 1903 წელს ემილ იელინეკმა გვარის გადაკეთება მოისურვა და იელინეკ-მერსედესი დაირქვა, რაც ბიზნესში მის უტყუარ ალლოზე კიდევ ერთხელ მიუთითებს.

„მგონი, კაცობრიობის ისტორიაში პირველად ხდება ისე, რომ მამა ქალიშვილის სახელს გვარად იყენებს,“ — უთქვამს იელინეკს მასმედიისთვის.

### პარსკვლავი სახლის კედლიდან

„დაიმლერ-მოტორენ-გეზელშაფტს“ უკვე ჰქონდა პოპულარული მარკა, უშვებდა საუკეთესო ავტომობილებს, მაგრამ ჯერ კიდევ არ ჰქონდა თავისი ლოგოტიპი.

გოტლიბ დაიმლერი 1900 წლის მარტში, 66 წლის ასაკში გარდაიცვალა, კომპანიას მისი ვაჟები, პაული და ადოლფი ხელმძღვანელობდნენ. მათ გაახსენდათ, რომ გოტლიბს ადრე ნათქვამი ჰქონდა, კომპანიის სიმბოლოდ ვარსკვლავის გამოყენება მინდაო.

გოტლიბ დაიმლერი 1872-დან 1881 წლამდე დოიტცის გაზის მოტორების ქარხნის ტექნიკური დირექტორი გახლდათ. ვაჟებს გაახსენდათ დედის მონაყოლი, რომლის მიხედვითაც, ხსენებულ ქარხანაში მუშაობის დაწყებისას გოტლიბმა სახლის კედელზე ვარსკვლავი ამონიშნა და მეუღლეს უთხრა, ეს ვარსკვლავი ერთხელაც ჩემი საკუთარი ქარხნის სიმბოლო გახდებაო.

1909 წელს „დაიმლერ-მოტორენ-გეზელშაფტის“ დირექტორთა საბჭომ დაამტკიცა როგორც სამქიმიანი, ისე ოთხქიმიანი ვარსკვლავიც და ორივე სიმბოლო დააბატენტა, თუმცა უშუალოდ ლოგოტიპად მხოლოდ სამქიმიანი ვარსკვლავი გამოიყენეს. 1910 წლიდან ეს ვარსკვლავი „მერსედესის“ ავტომობილებს წინ, რადიატორის თავზე ამშვენებს. მას მერე ლოგო რამდენჯერმე შეიცვალა, მაგრამ მთავარი იდეა, გოტლიბ დაიმლერის ვარსკვლავი „მერსედესის“ მოდელებს დღემდე მოკვება.



მრავალწლიანი კონკურენციის შემდეგ, 1924 წელს „დაიმლერი“ და „ბენცი“ გაერთიანდნენ

### „ორი მართვი“

პირველი მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდი ინფლაციისა და ფინანსური კრიზისის პერიოდი იყო. დიდი ზიანი მიაღწა გერმანულ ავტონდუსტრიასაც. გადარჩენა და თავის გატანა მხოლოდ ფინანსურად ძლიერ და ძალიან პოპულარულ კომპანიებს შეეძლოთ, თუმცა ამას ინდივიდუალურად მაინც ვერ ახერხებდნენ და იძულებული ხდებოდნენ, გაერთიანებულიყვნენ.

ასე მივიდა საქმე იქამდე, რომ მრავალწლიანი კონკურენციის შემდეგ, 1924 წელს „დაიმლერი“ და „ბენცი“ გაერთიანდნენ. თავდაპირველად კომპანიები ერთად, მაგრამ სხვადასხვა სახელითა და ლოგოტიპით მოქმედებდნენ. ორი წლის შემდეგ კი ერთობლივად დააარსეს ახალი სააქციო საზოგადოება „დაიმლერ-ბენცი“. შეიქმნა ახალი ლოგო — გოტლიბ დაიმლერის წრეში ჩასმული სამქიმიანი ვარსკვლავი და ორი წარწერა: „მერსედესი“ და „ბენცი“. ეს ლოგო ათწლეულების განმავლობაში არ შეცვლილა. დღეს „მერსედეს-ბენცის“ ლოგო მხოლოდ გოტლიბ დაიმლერის წრეში ჩასმული ვარსკვლავია, წარწერის გარეშე.

**შალვა ბუაჩიძე**





როცა ამერიკის აღმოჩენ ქრისტეფორე კოლუმბს აბორიგენებმა თამბაქო მიართვეს, მან ძველი ზღვაში მოისროლა

# თამბაქო

ამერიკელ ინდიელთა შურისძიების იარაღი

პაცობრიობის მფხველი ნაწილის წინაშე ქრისტეფორე კოლუმბი უდანაშაულოა

თამბაქო ღმერთების ძველია — სწამდათ ამერიკელ ინდიელებს და მიიჩნევდნენ, რომ მისი კვამლის ზეცისკენ კმევით ღვთაებათა კეთილგანწყობას დაიმსახურებდნენ. ძირძველ ამერიკელებს თამბაქოს მოხმარების განსხვავებული წეს-ჩვეულებები ჰქონდათ. ზოგიერთი ტომი მისი ფოთლების კოცონში აალებით ღვთის სადიდებელს ზედაგდა, ზოგან კი სპეციალური მილაკით — „მშვიდობის ყალიონით“ ჯგუფურად ეწეოდნენ, რაც დაპირისპირებულ მხარეთა შერიგების რიტუალის აუცილებელი ნაწილი იყო.

## პირველი მფხველები

მოწვევის — ანთებული მცენარის კვამლის ჩასუნთქვისა და გამოშვების ჩვეულება სათავეს უხსოვარი დროიდან იღებს და ის მხოლოდ დასავლეთი ნახევარსფეროს მცხოვრებთა „ად-მოჩენა“ ნამდვილად არ ყოფილა. ინდური ტამბაქოს ფრესკებზე გამოსახულია რელიგიური პერსონაჟები, რომლებიც უძველესი ყალიონებით არომატულ კვამლს ყლაპავენ. ასევე არ-

სებობს მოსაწვე საშუალებათა უძველესი ნახატებიც.

მილაკები, რომლებიც საგარაუდოდ, სწორედ „გასაბოლებლად“ გამოიყენებოდა, ეგვიპტეში, ძვ.წ. XXI-XVIII საუკუნეებით დათარიღებულ სამარხებშიცაა აღმოჩენილი.

ისტორიის მამა ჰეროდოტე სკიითების ყოფა-ცხოვრებისა და ადათ-წესების აღწერისას (ძველირანული მოდემის მომთაბარე ტომები,



# 8 თებერვალი

ღავით აღმაშენებლის ხსენების დღეა!

**არ გამოგოვოთ!**

8 ტომის  
სპეციალური ფასი

~~48 ლარი~~  
24 ლარი

წელიწადში ერთხელ  
განსაკუთრებული აქცია!

ყველა ღრმის საუკეთესო  
ისტორიული რომანი -

## კონსტანტინე გამსახურდიას „ღავით აღმაშენებელი“



სრული  
ვერსია  
8 ტომად

ახალ გამოცემაში  
შესულია საჭმლათა  
ეპოქაში ცენზურის  
ძიარ ნიბნიდან  
ამოღებული  
მონაკვეთები

8-დან  
15 თებერვლამდე

შეიძინეთ „ბიბლუსის“ ბალახიები





რომლებიც მოსახლეობდნენ ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში ძვ.წ. VII-IV სს.), ანთებული მცენარის კვამლის ჩაყლაპვის ჩვეულებასაც გვამცნობს.

მოწვევის შესახებ ცნობები ასევე გვხვდება უძველეს ჩინურ ლიტერატურაშიც.

ერთი სიტყვით, აღმოსავლეთ ნახევარსფეროში იმაზე გაცილებით ადრეც ეწეოდნენ, ვიდრე ქრისტიანულ კოლუმბი ამერიკას აღმოაჩენდა, თუმცა მიხნეულია, რომ მათობე- ლა ნივთიერების შემცველი მცენარის (მაგალითად, კანაფის) კვამლის ჩასუნთქვის ჩვეუ- ლებას ევრაზიის კონტინენტის ხალხებში მხო- ლოდ და მხოლოდ რიტუალური დატვირთვა ჰქონდა. თითქოსდა ის ქურუმსა თუ შამანს ცნობიერების ამქვეყნიურისგან გათავისუფლე- ბასა და განსაკუთრებული სულიერი მდგომარეობის მიღწევაში ეხმარებოდა. სხვა შემთხვე- ვაში კი კვამლის ყლაპვა ატლანტის ოკეანის გამოღმა მცხოვრებ რიგით მოკვდავთა ჩვეუ- ლება არ ყოფილა, სანამ კოლუმბი ამერიკას- თან ერთად თამბაქოსაც არ „აღმოაჩენდა“.

### ინდიელთა საკამეველი

თამბაქოს მწვეველის გამოსახულებები მა-

თამბაქოს მწარმოებელი კომპანია „პრინც ალბერტის“ პროდუქციის რეკლამა, 1913 წ.



იასა და აცტეკთა ტომების უძველეს ტაძრებ- ში გვხვდება, ცენტრალური ამერიკის ტერი- ტორიაზე. აქამდე შემორჩენილ მოწვევის ამ- სახველ უძველეს გამოსახულებად კი ძვ.წ. 1000-600 წლებით დათარიღებული კერამიკუ- ლი ფრაგმენტი მიიჩნევა, რომელიც მაიას უძ- ველეს ქალაქ უაკსატუნში (დღევანდელი გვა- ტემალა) აღმოაჩინეს.

თამბაქოს გაბოლება ძირძველი ამერიკელე- ბისთვის მხოლოდ ჩვევა და მით უმეტეს მავნე, სულაც არ ყოფილა. ამ მცენარის ფოთოლს, თესლსა თუ ღეროს, იქაური ექიმბაშები მთელ რიგ სამკურნალო თვისებებს მიაწერდნენ და ფარმაკოლოგიაში საჭირო ინგრედიენტი ყო- ფილა, უძთავრესად კი ის მაინც ტკივილგამა- ყუჩებელ საშუალებად მიაჩნდათ.

საპატიო ადგილი ეკავა თამბაქოს ამერი- კის კონტინენტის უძველესი ცივილიზაციების რელიგიურ რიტუალებშიც. სწამდათ, რომ კვამლის ჩასუნთქვა ღმერთებთან ურთიერთო- ბაში ეხმარებოდათ. იმხანად მოწვევის ორი მე- თოდი არსებობდა: ჩრდილოეთ ამერიკაში პო- პულარული საგანგებო სპეციალური მილაკე- ბით – ერთგვარი ყალიონებით ეწეოდნენ, მა- შინ როცა სამხრეთში უფრო პირველყოფი- ლი სიგარის – დახვეული ფოთლების გაბო- ლება გავრცელდა.

### „ცოდვილი“ ბერი

შემორჩენილია ცნობა, რომ 1492 წელს ამე- რიკის აღმომჩენი ქრისტეფორე კოლუმბი, რო- მელიც პირველი ევროპელი იყო, ვისაც ამე- რიკელებმა კეთილგანწყობის ნიშნად გამომ- შრალი თამბაქოს ფოთლები მიართვეს, დიდად არ აღფრთოვანებულა აბორიგენტთა ძღვენით. მოგზაური ფოთლების დანიშნულებას ვერ მიხ- ვდა და გემბანიდანაც მოისროლა.

თუმცა მისი ექსპედიციის რამდენიმე წვერი, რომლებიც მოგვიანებით შეესწრნენ ადგილობ- რივთა მიერ „ტობაკოს“ (ერთ-ერთი ვერსიით, ასე უწოდებდნენ ამერიკის აბორიგენები თამ- ბაქოს მოსაწევად განკუთვნილ ყალიონს) რი- ტუალურ გაბოლებას, პროცესით ძალიან და- ინტერესდა. განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოწვევამ კოლუმბის ექსპედიციაში მყოფ ბერ რა- მონ პანეზე მოახდინა, რომელმაც ერთი წლის შემდეგ დაწვრილებით აღწერა თამბაქოს მოხ- მარების ინდიელთა ჩვეულება.

ამრიგად, თამამად შეიძლება ითქვას, რომ



*ამერიკელი  
ინდიელებისგან  
მოწვევა მთელმა  
მსოფლიომ  
ისწავლა*

სწორედ პანე იყო და არა კოლუმბი ის „ცოდვილი“, ვინც პირველმა დააჯავდა თამბაქოთი ჯერ ევროპა და შემდეგ დანარჩენი სამყარო.

და აი, 1496 წლის 15 მარტს, პორტუგალიურ პორტში კოლუმბის მეორე ექსპედიციის ხომალდი „ელ ნინიო“ ჩამოდგა, რომლის ტრიუმფში, სხვა „უცხო სიმდიდრესთან“ ერთად, თამბაქოს გამხმარი ფოთლებიც ეწყო.

„ბებერ კონტინენტზე“ თამბაქოსა და მის მოყვარულებს აღტაცებით სულაც არ შეეგ-

ბებიან. მეტიც, პირიდან ბოლის გამომშვები მწვევლები ინკვიზიციამ ეშმაკთან კავშირში დაადანაშაულა და მათი დევნა დაიწყო. არსებობს კიდევ ცნობა ევროპაში თამბაქოს საწინააღმდეგო კამპანიის პირველი მსხვერპლის შესახებ. 1501 წელს ინკვიზიციამ წარმოშობით კატალონიელ როდრიგო დე ხერეზს სწორედ გაბოლების ფაქტზე წაასწრო და სხეულში ბოროტი სულის ჩასახლების ბრალდებით, ციხეში გამოამწყვდია.



*ინდიელი  
ვაშაპნიოების  
ბელადი  
მასასოიტი  
მშვიდობის  
ყალიონს  
აბოლებს  
პლიმუთის  
კუბერნატორ  
ჯონ  
კარვერთან.  
1621 წ.*





კენტლმენები თამბაქოს ეწვეიან და ნარდით ითობენ თავს. ღირე პალსი, 1627 წ.



მწვეელი სპარსელი გოგონა (მუჰამედ ქასიმი. ისპაჰანი. XVII საუკუნე)

ევროპაში შემოსული თამბაქო არაბეთშიც მალევე გავრცელდა



თუმცა ეკლესიისგან დევნამ და სასჯელმა ვერ შეაჩერა პორტუგალიელი და ესპანელი მწვეელი მეზღვაურები, რომლებიც ამერიკიდან ევროპაში თამბაქოსა და მის თესლს კვლავინდებურად ეზიდებოდნენ.

**წამალი თუ საწამლავი**

თამბაქოს „ბებერ კონტინენტზე“ გავრცელებას ხელი არა მხოლოდ ამერიკამოვლილმა მეზღვაურებმა, არამედ ევროპელმა სახელმწიფო მოხელეებმაც შეუწყვეს. მაგალითად, ლისაბონში საფრანგეთის ელჩ ჟან ნიკოს 1561 წელს თუთუნი თავისი დედოფლისთვის, ეკატერინე მედიჩისთვის ძღვნად გაუგზავნია და თან მიუწერია — თქვენო უდიდებულესობავ, ეს ბრწყინვალე საშუალებაა შაკიკის სამკურნალოდო.

საეჭვოა, დედოფლისთვის მოწვევას თავის ტკივილი დაეამებინა, თუმცა ელჩის სახელი თამბაქოს სამუდამოდ კი დაუკავშირდა. მცენარემ მეცნიერული სახელწოდება **Nicotiana** სწორედ ჟან ნიკოს პატივსაცემად მიიღო, ისევე როგორც, მასში შემავალმა ნივთიერება ნიკოტინმა.

თუკი თავდაპირველად ევროპელები თამბაქოთი თავის, კბილისა და სახსრების ტკივილს იამებდნენ, აგრეთვე შეელოდნენ კუჭნაწლავის დაავადებებს, დროთა განმავლობაში ის ლამის პანაცეად შერაცხეს — სხვადასხვა დაავადების სამკურნალოდ მას არა მხოლოდ ეწეოდნენ, ლეჭავდნენ და ყნოსავდნენ კიდევ.

ესპანელმა ექიმმა ნიკოლას მონდარესმა 1571 წელს ნაშრომი გამოაქვეყნა, სადაც ამერიკის კონტინენტის სასარგებლო მცენარეები მიმოიხილა. ექიმი თამბაქოს ღირსებებსაც აღწერდა და ბრძანებდა, რომ მცენარეს ადამიანის 36 სხვადასხვა დაავადებისგან განკურნება შეუძლია.

XVI საუკუნის ბოლოს ინგლისელმა არისტოკრატმა, მეზღვაურმა და პოეტმა, სერ ვალტერ რეილიმ, რომელიც თავგადაკლული მწვეელი ყოფილა, თამბაქოს პლანტაციების მოშენებითაც გაითქვა სახელი. ამ პატივსაცემ პერსონას ამერიკის კონტინენტზე ერთ-ერთი პლანტაციისთვის ვირჯინია დაურქმევია, რაც მოგვიანებით თამბაქოს ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ სახეობას ეწოდა.

არაერთი ქვეყნის ეკლესია თუ ხელისუფლება ცდილობდა ამერიკიდან შემოსულ „უც-

ხო ხილთან“ ბრძოლას. მაგალითად, XVI საუკუნის ბოლოს დიდ ბრიტანეთსა და ოსმალეთის იმპერიაში მწვევლებს ჯადოქრებთან აიგებდნენ და თავის მოკვეთითაც კი სჯიდნენ, თუმცა თამბაქოს გავრცელებას წინ მაინც ვერაფერი აღუდგა. ამერიკის აღმოჩენიდან საუკუნის შემდეგ ის უკვე მოჰყავდათ ბელგიაში, ესპანეთში, იტალიაში, შვეიცარიაში და ინგლისში. სავაჭრო კავშირების გაფართოებამ კი მცენარე აზიასა და აფრიკაშიც გაავრცელა.

თამბაქოს კულტივირება თავიდან წარმატებით დასავლეთ ევროპასა და თურქეთში მოხერხდა და საუკეთესო მოსავალიც მიიღეს. XVII საუკუნეში თამბაქომ უკვე იაპონიაში, ჩინეთსა და აზიის სხვა ქვეყნებშიც შეაღწია. XVIII საუკუნის ბოლოს და XIX საუკუნის დასაწყისში კი მსოფლიოში პრაქტიკულად აღარ დარჩენილა „არამწვეველი“ ქვეყანა. რა თქმა უნდა, მათ შორის იყო საქართველოც, სადაც თავდაპირველად ამერიკული თამბაქოს ჯიშები გამოიჩნდა.

ჩვენში თამბაქო თუთუნად (თურქულიდან) იწოდებოდა. მას ეწოდნენ ჩიბუხით თუ ქალაღში გახვევით, აგრეთვე ლეჭავდენ და ყნოსავდენ (ბურნუთი). სხვათა შორის, ჩვენი წინაპრები თამბაქოს წამლადაც ხმარობდნენ — ჭრილობიდან სისხლდენის შესაჩერებლად, თავის ტკივილის გასაყუჩებლად და პირუტყვის ქეცის მოსარჩენად.

თამბაქო რომ ადამიანის ჯანმრთელობისთვის ზიანის მომტანია, ევროპელებმა ეს XVII საუკუნის ბოლოს შეიტყვეს, როცა მკვლევრებმა ამ მიმართულებით პირველი დასკვნები გამოამზეურეს. თუმცა მაშინდელი ევროპელი მონარქების ყველა მცდელობა, შეეზღუდათ ან შეეჩერებინათ კონტინენტზე თამბაქოს გაბატონება, არაფერს ცვლიდა და მხოლოდ კონტრაბანდის აყვავებას უწყობდა ხელს.

XVIII საუკუნის ბოლოს, თავისუფლებისთვის მებრძოლი ამერიკის შტატები თავიანთ ფრანგ კრედიტორებთან ანგარიშწორებას თამბაქოთი ახდენდნენ. იმავედროულად, ევროპის უმეტეს ქვეყნებში მაგნე ჩვევასთან ბრძოლა უშედეგოდ მიიჩნის და მოწვევავ მანამდე დაწესებული აკრძალვებიც გააუქმეს. მეტიც, თამბაქოთი ვაჭრობა სახელმწიფო მონოპოლიად და ხაზინის შევსების მნიშვნელოვან წყაროდ აქციეს.

ცნობილია, რომ ლუდოვიკო XIV-ის კარის



პიტლერი და მუსოლინი, განსხვავებით სტალინისგან, ჩერჩილისა და რუზველტისგან, არამწვეველები იყვნენ



მსოფლიოში პირველი ფართომასშტაბიანი ანტინიკოტინური კამპანია ნაცისტურმა გერმანიამ წამოიწყო

სკკპ გენერალური მდივანი იოსებ სტალინი







ინგლისის პრემიერ-მინისტრი უინსტონ ჩერჩილი

აშშ-ის პრეზიდენტი ფრანკლინ დელანო რუზველტი



ექიმი ფაგონი დაჟინებით მოუწოდებდა ქვეყანაში თამბაქოს აკრძალვისკენ, რომელიც, მისი თქმით, ათასი ცნობილი და უცნობი სნეულების გამომწვევი იყო. მეფის პასუხი ცალსახა ყოფილა — მოწვევას თუნდაც იმიტომ ვერ ავკრძალავთ, რომ ხაზინა მნიშვნელოვან შემოსავალს დაკარგავსო.

**ადოლფ ჰიტლერი — თამბაქოს ყველაზე დიდი მოყვლე**

პირველი მსოფლიო ომის დროს თამბაქო მეომრის რაციონის აუცილებელ შემადგენელ ნაწილად იქცა. მაშინ მებრძოლებს სტრესთან გასამკლავებლად სწორედ მოწვევას ურჩევდნენ.

თუმცა თამბაქოს წინააღმდეგ ბრძოლა არასდროს შეწყვეტილა. 1890 წელს ამერიკის ოცდაექვსმა შტატმა სიგარეტის არასრულწლოვანთათვის მიყიდვის აკრძალვის გადაწყვეტილება ერთბაშად მიიღო. 1908 წელს ნიუ-იორკის ადმინისტრაციამ ქალებს საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში გაბოლება აუკრძალა, რასაც უმაღლესი სუსტი სქესის წარმომადგენელთა პროტესტი. მოწვევა სწორედ იმ დროიდან ასოცირდება ქალთა ემანსიპაციის მოძრაობასთან.

XX საუკუნის დასაწყისში პირველი მუდმტუკებისა და შემდეგ პაპიროსების გამოჩენას სწორედ იმ ემანსიპირებულ ქალბატონებს უნდა „ეუმაღლოდეთ“, რომლებსაც დისკომფორტს სიგარეტის პომადით დასვრა და მწარე თუთუნის პირში მოხვედრა უქმნიდა.

რაოდენ უცნაურიც უნდა იყოს, კაცობრიობის ისტორიაში თამბაქოს მოხმარების საწინააღმდეგო პირველი ფართომასშტაბიანი კამპანია 1930-1940-იან წლებში ნაცისტურმა გერმანიამ წამოიწყო. მიზანი გერმანელ ერში მოწვევის მავნე ჩვევის სრულებით აღმოფხვრა იყო. სწორედ მაშინ შემუშავდა ბრძოლის მეთოდები, რომლებიც მოგვიანებით სხვა სახელმწიფოებმაც გადაიღეს და დანერგეს.

დიახ, ჰიტლერული გერმანია იყო პირველი, სადაც საზოგადოებრივ ადგილებში მოწვევა და თამბაქოს ნაწარმის რეკლამირება აკრძალა. იმავედროულად, ნაცისტი იდეოლოგები მუდმივად უსვამდნენ ხაზს, რომ ადოლფ ჰიტლერი (ისე როგორც ვეროპის სხვა ფაშისტი ლიდერები — იტალიელი ბენიტო მუსოლინი და ესპანელი ფრანსისკო ფრანკო) არამწვეველები იყვნენ. „გერმანიის მტრები“ — იო-

სებ სტალინი, უინსტონ ჩერჩილი და ფრანკლინ რუზველტი გამოუსწორებელი მწველები გახლდნენ. თუ საბჭოთა კავშირის ბელადი ჩიბუხს ამჯობინებდა, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი სიგარას ეტრფოდა, აშშ-ის პრეზიდენტი კი სიამოვნებით აბოლებდა სიგარეტს მუნდშტუკით.

სწორედ პიტლერს ეკუთვნის ცნობილი ფრაზა: „თამბაქო წითელკანიანთა შურისძიების იარაღია თეთრკანიანებზე“. თურმე ფიურერს, რომელიც ჭაბუკობაში საკმაოდ აქტიური მწველი ყოფილა (დღეში 30-40 ღერ სიგარეტს ეწეოდა), ისიც უთქვამს, ნაცისტს ვერასდროს გავამარჯვებინებდი გერმანიაში, მოწვევზე დროულად უარი რომ არ მეთქვაო.

ფაქტია, პიტლერი საბოლოოდ მაინც დამარცხდა როგორც თამბაქოსთან, ისე მწველ ლიდერებთან ბრძოლაში. ამბობენ, რომ ფიურერმა მოწვევის მანე ჩვევა არასოდეს გერმანელ ხალხს, თავის ყველაზე დიდ სიყვარულს — ვაბრაუნსაც კი ვერ მოაშლევინა.

საპირისპირო ვითარება იყო ანტიფაშისტური კოალიციის ბანაკში. მეორე მსოფლიო ომის დროს თამბაქოს პროდუქციის მწარმოებელი კომპანიები ფრონტზე მილიონობით სიგარეტს უფასოდ, მაგრამ როგორც აღმოჩნდა, არა უანგაროდ გზავნიდნენ. ომის დასრულების შემდეგ მათ ასეულ ათასობით კეთილგანწყობილი, თამბაქოზე დამოკიდებული კლიენტი შეემატათ.

თამბაქოს პროდუქციის წარმოების ოქროს ხანად სწორედ ომისშემდგომ პერიოდს ასახელებენ. 1940-იანი წლების ბოლოსა და 1950-იანი წლების დასაწყისში სიგარეტი კინოს მრავალი გმირისა და ვარსკლავის იმიჯის შემადგენელი ნაწილი გახდა.

მაგრამ მომდევნო ათწლეულებში გაძლიერდა უკუეფექტიც. იმატა მოწვეის მანებლობაზე სამეცნიერო კვლევებმა და პუბლიკაციებმა. საპასუხოდ თამბაქოს მსხვილმა მწარმოებლებმა ფილტრიანი სიგარეტის გამოშვება დაიწყეს. სიგარეტის კოლოფზე კი გამაფრთხილებელი წარწერა, რომ მოწვევა ჯანმრთელობისთვის საზიანოა, პირველად 1960 წელს გამოჩნდა.

1971 წელს აშშ-ში თამბაქოს ნაწარმის სატელევიზიო ეთერით რეკლამირება სრულებით აიკრძალა. გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან კი ანტინიკოტინურმა კამპანიამ მთელ



თამბაქოს პლანტაცია

მსოფლიოში იმძლავრა. აშშ-ისა და დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში თამბაქოს პროდუქტზე გადასახადები გაორმაგდა.

\* \* \*

XXI საუკუნეშიც, მიუხედავად იმისა, რომ თამბაქოსთან ბრძოლაში განვითარებულმა ქვეყნებმა თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწიეს. უხეში გათვლებით, მსოფლიოს მოსახლეობის მეექვსედი მწველია. დიახ, სიგარეტი აქამდე რჩება ლეგალურად გასაყიდ პროდუქტად, რომლის სწორად გამოყენების შემთხვევაში, ადამიანი გარანტირებულ და მნიშვნელოვან ზიანს იღებს.

დასასრულ, თითქოს ყველამ იცის, მაგრამ მაინც შეგახსენებთ — ყოველი მოწეული სიგარეტი ცხოვრების ხანგრძლივობას 5 წუთითა და 30 წამით ამცირებს. ასე რომ, თუ მწველი ხარ, კიდევ ერთხელ სცადე ამ მანე ჩვევისთვის თავის დანებება — ნუ გახდები წითელკანიანთა შურისძიების მსხვერპლი...

გელა უზარიძე





## ელდარ შენგელაია

### დიდი რეჟისორი დიდი ოჯახიდან

*26 იანვარს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმში დიდი ქართველი რეჟისორის, ელდარ შენგელაიას შემოქმედებითი საღამო გაიმართა. საღამო რეჟისორის 80 წლისთავს მიეძღვნა. ელდარ შენგელაიამ მუზეუმს მნიშვნელოვანი საარქივო მასალა გადასცა საჩუქრად: ფოტოები გადაღებებიდან და ფილმების კადრები, აფიშები, ხელნაწერები და ესკიზები ფილმებისთვის... ეს ყველაფერი და რეჟისორის ოჯახში დაცული ისტორიული მნიშვნელობის ფოტოები მუზეუმში გამოიფინა, ეკრანზე ერთმანეთს ცვლიდა ფრავმენტები მხატვრული ფილმებიდან, უჩვენეს გიორგი კალანდიას დოკუმენტური ფილმი ელდარ შენგელაიას ცხოვრებასა და შემოქმედებაზე... მოგონებათა სახით წარმოვიდგინეთ უკვე მუზეუმში დაცული მასალის რამდენიმე ნიმუშს. ისინი უნიკალურ ისტორიას გვიამბობენ და რეჟისორის ცხოვრებას ილუსტრაციებად გასდევენ.*

— პირველი და ყველაზე შორეული მოგონება იმ ფაქტს უკავშირდება, როცა მამაჩემი, ერთ-ერთი პირველი ქართველი კინორეჟისორი ნიკოლოზ შენგელაია იღებდა ფილმს „სამშობლო“. გადაღებები აჭარაში მიმდინარეობდა. ფილმის გადაღებები ჯგუფი ზღვისპირა პატარა სასტუმროში იყო დაბინავებული. ერთ დღესაც ქარიშხალი ამოვარდა. ზღვა ხმელეთისკენ მოიწვედა და იმდენი ქნა, სასტუმროშიც კი შემოვარდა. ყველა გარბოდა. მამამ მხრებზე შემისვა და სამშვიდობოს გამიყვანა.

დღემდე ცხადად მახსოვს, როგორ ჩავეჭიდეთ თმაში მამას... ხუჭუჭი თმა ჰქონდა...

მამა ძლიერი კაცი იყო, ნადირობდა, თევზაობდა... მისი ნადირობის გამო ბაუშუები „ვისჯებოდი“. ბლომად ნანადირევს რომ მოიტანდა, პატარებს დაგვსვამდნენ და ვპუტავდით მწყრებს. ეს არ მოგვწონდა, სამაგიეროდ, მწყრის ხორცი გვიყვარდა ძალიან.

მამაჩემი მემარცხენე პოეტიც იყო... გოლოვინსკის პროსპექტზე ეტლით მოძაველ კოტე მარჯანიშვილს ხეზე შემჯდარი უნახავს

მამა, ლექსებს კითხულობდა თურმე გატაცებით. რეჟისორმა მოუსმინა და ეტლთან იხმო, შენ ჩემი ასისტენტი უნდა გახდეო. მაშინ თეატრალური კურსები ყოფილა თურმე და იქ შეუყვანია. დედა იხსენებდა, ეტიუდების დაღვმა რომ მოსთხოვეს, კოლიამ სკამები შეაერთა, თითქოს მიცვალებული იყო და მეგრული დატირება დაიწყო. კაცს დასტიროდა... მე რე უთქვამთ, მიცვალებული ქალიაო, — ამ სიტყვების გაგონებაზე შეცბა და გავიდაო... კოტე მარჯანიშვილს ძალიან მოსწონებია ეს სცენა. შემდეგ ეს ეპიზოდი „სამანიშვილის დედინაცვალში“ გამოვიყენე...

ძალიან მიყვარდა მსახიობები, რომლებიც მამასთან მუშაობდნენ, გამორჩეულად, მიხეილ გელოვანი. სტალინის როლის შესრულების შემდეგ აუკრძალეს კიდევ სხვა როლის თამაში... არა მხოლოდ არტისტი იყო, არამედ არაჩვეულებრივად მღეროდა, ცეკვავდა. ძია მიშას ვეძახდი და ხშირად მივდიოდი მასთან. შინ, აივანზე წიწილები ჰყავდა და როგორც ყველა პატარა, მეც ხალისით ვთამაშობდი იმ წიწილთან. ერთხელ გადაღებაზე ვნახე, მამა უყვიროდა ძია მიშას. სადამოს, მამა რომ წამოწვა და გახეთის კითხვა დაიწყო, ჩუმაღ ავიღე ჯოხი, მივეპარე და მოუქნიე, — ძია მიშას რატომ უყვირე-მეთქი! მიხვდა მამა, როგორ მიყვარდა ძია მიშა და გაელიძა, არ გამბრაზებია.

ბავშვობაში ჯინიანი ვიყავი. ერთ საღამოს, დედა და მამა სტუმრად მიდიოდნენ. გაეჭირვეული, მეც წამიყვანეთ-მეთქი. რომ ვერ დამაწყნარეს, საპირფარეოში შემიშვეს და კარი მომიკეტეს. გაბრაზებულმა მუშტები დავცხე გაუმჭვირავლემინიან კარს. მინაც ჩავამსხვრიე და ხელიც დავისისხლიანე... დედა ძალიან შევაშინე...

ომი რომ დაიწყო, მე და ჩემმა მეგობრებმა ომში წასვლა გადავწყვიტეთ. მამა ხომ მონადირე იყო და დენთი ჰქონდა შინ. მოვიპარე ის დენთი, სხვებმა დანები წამოიღეს შინიდან, ჩავსხედით მატარებელში და წავედით. მცხეთაში სანამ მივიდოდით, ჩაკვიდნა. გამცილებელი დაეჭვებულა, ჰოდა, ჩამოგვიყვანეს და ჩავგაბარეს მილიციას. გვკითხეს, ვინ ხართო. შემრცხვა მეთქვა, ნატო ვაჩნაძის შვილი ვარ-მეთქი. ამას სულ ვერიდებოდი. მეგობარმა უთხრა, ვისი შვილიც ვიყავი. გამოიძახეს ჩემი მშობლები. დედამ მომაკითხა „ადინით“, თვი-

თონ უჯდა საჭეს. ჩამისვა და დამაბრუნა შინ. მამა ისე ძალიან გამიბრაზდა, საცემადაც კი წამოიწია, მაგრამ დედა გადაეღობა წინ...

ხომ ყველას ულამაზესი ჰგონია თავისი დედა. მეც ასე ვიყავი, თუმცა ისიც ძალიან კარგად ვიცოდი, მართლა ულამაზესი დედა რომ მყავდა. მაგრამ ეს მხოლოდ ხელს მიშლიდა... როცა მის გვერდით მივდიოდი და ვინმე გეხვებოდა, მეფერებოდნენ, რა კარგი ბიჭიაო. მე კი ვბრაზობდი, თქვენზე კარგად ვიცი, კარგი რომ არ ვარ-მეთქი. თმა ლამის სულ გადაპარსული მქონდა, ომის დროს მკბენარი რომ არ გამჩენოდა, ყურები კიდევ — გადმოწეული... გამხდარი ვიყავი და აწოწილი. ამიტომაც ვეუბნებოდი დედას, შენ ათი ნაბიჯით ან წინ იარე, ან უკან, გვერდით აღარ გამომყვე-მეთქი...

ომის დროს მამა კახეთში იღებდა ფილმს „ის კიდევ დაბრუნდება“. კინოსტუდია თითქმის დაცარიელებული იყო მამაკაცებისგან, ამიტომ მამა თვითონ უჯდა დიდი საბარგო მანქანის საჭეს, განათება გადაჰქონდა. გადაღებისას დამაჯალა, გაუნძრევლად მჭეროდა ფოლგაგადაკრული დიდი ფარი. ფოლგაზე არეკლილი მზე მსახიობს განათებდა. აი, ასეთი განათება იყო მაშინ. მასსოვს, როგორ ვცდილობდი, გვერდითაც კი არ გამეხედა. ცხრა წლის ვიყავი სულ...

ერთ დღეს მამამ თარი მივიდა. თავად არ

*ნატო ვაჩნაძე თავის ვაჟთან, ელდართან ერთად*







ნიკოლოზ შენგელაია, გიორგი შენგელაია და ნატა ვაჩნაძე

მღეროდა, მაგრამ არაჩვეულებრივი რიტმის განცდა ჰქონდა. მეც ვისწავლე: „თუმი ვარ, მაგრამ კარგი ვარ, ბევრად ვსჯობივარ კახსაო“. ზოგჯერ ჭამასაც არ მაცლიდა, სულ უნდოდა, მემღერა...

კახეთიდან რომ ბრუნდებოდა მამა თავისი დიდი მანქანით, ცუდად გახდა ვაზინთან. ნაბადზე დააწვინეს. არადა, იმდენად ძლიერი იყო, ვერც კი წარმოიდგენდნენ, რომ რამე მოერეოდა. მონადირე ძალი ჰყავდა, ელვა ერქვა. ყმუილი დაუწვია. მაშინდა მიმხვდარან, რომ ვერ გადარჩებოდა. დედაჩემის ხელში დაუღე-ვია სული. როცა მითხრეს, მამას გული გაუსკდაო, მერე რა, შეუეკრონ-მეთქი...

დაიწყო პანაშვიდები. სამზარეულოსთან კუთხე გვქონდა ძალიისთვის, იქ იწვა ხოლ-

მე. დედამ ნახა, რომ დუეი მოსდიოდა. სასწრაფოდ მოიყვანეს ვეტერინარი. მან კი, — ქალბატონო ნატო, ამას ვერაფერს ვუშველით, იმდენად მიჯაჭვულია პატრონს, მის სიკვდილს ვერ გადაიტანსო... ისე განვიცადეთ ელვას სიკვდილი მე და ჩემმა უმცროსმა ძმამ, გიორგიმ...

დიდი მოუსვენარი ტიპი ვიყავი. გიორგი კარგად სწავლობდა, მე კი მხოლოდ იმ საგნებს ვწვალობდი, რომლებიც მომწონდა. მათემატიკასა და ფიზიკას ვერ ვიტანდი. დედას ძალიან ვაწვალებდი...

პირველ კლასში ვაყები და გოგონები ერთად ვიყავით. მესამეში რომ გადავედი, მაშინ დაგვეშალეს. პირველ კლასში ერთი პატარა გოგონა მეჯდა გვერდით. შევხედე და ძალიან მომეწონა. შინ რომ მოვედი, დედაჩემის მძივი მოვიპარე, სკოლაში წავიღე და იმ გოგონას ვაჩუქე. მეორე საღამოს მასწავლებელმა დაურეკა დედას: ქალბატონო ნატო, ხვალ ელდართან ერთად მობრძანდითო. წავედით დილით ერთად სკოლაში. ის მძივი დაწყვეტილი უნახავს დამლაგებელს, მოუგროვებია. მიხვდა დედა, რაშიც იყო საქმე. გამოართვა მასწავლებელს მძივი, ჩემთვის კი საყვედურიც არ უთქვამს, მხოლოდ მომეფერა.

სულ მეუბნებოდნენ, მედალზე უნდა დაამთავრო სკოლაო. არ მინდა თქვენი მედალი-



აბრეკ ფხალაძე ელდარ შენგელაიას ლეგენდარულ მხატვრულ ფილმში „შერეკილები“. 1973 წ.

მეთქი, „შატალისტი“ ვიყავი, მოურჯულებელი... ბავშვობიდან ორი ოცნება მქონდა: მინდოდა ტყის მცველი გაემხდარიყავი ან რეჟისორი...

სკოლა რომ დავამთავრე, პიდრომშენებლობების ბუმი იყო საბჭოთა კავშირში. მეც პიდროსაინჟინრო ფაკულტეტზე შევიტანე საბუთები და თქვენ წარმოიდგინეთ, ჩავირიცხე კიდევ. ნახევარ წელიწადს ვისწავლე და მივხვდი, რომ ეს სულ არ იყო ჩემი საქმე. ახლა რომ გამოცდებს აბარებენ და ყველა ქომაგობს — მშობლები, ნათესავები, მეზობლები, მაშინ ასე კი არ იყო. საბუთებიც ჩვენ შეგვქონდა, გამოცდებზეც მარტო მივდიოდით და გადაწყვეტილებებსაც მარტო ვიღებდით.

ერთ დღეს ავიღე ჩემი საბუთები და დავტოვე გეპეი. დედამ, აბა, სად უნდა ისწავლო, და ვგიკში, სარეჟისოროზე-მეთქი. კი მაგრამ, ნიჭი გაქვსო? — მკითხა...

დოდო ალექსიძე ჩემი მშობლების მეგობარი იყო. დედამ სთხოვა, დამხმარებოდა ამ პროფესიაში გარკვევაში. მანაც თავის სტუდენტებთან ერთად დამსვა. დედა ფიქრობდა, ადრე თუ გვიან მეც მივხვდებოდი, რომ ნიჭი არ მქონდა და დოდო ალექსიძეც მირჩევდა, სხვა საქმეს ვწეოდი. მოხდა ისე, რომ მან დედაჩემს უთხრა, ნიჭიერი ბიჭია, გაუშვი, ისწავლოსო.

მოსკოვიდან პროგრამა გამოუგზავნეს დედას. დავექეი საჯაროში და ყველაფერი ვისწავლე. ამავე დროს დიდი შპარგალისტი ვიყავი. ყველგან შპარგალკა მქონდა დამალული. ჩემს კლასში სწავლობდა ფრიადოსანი გოგონა, მედიკო. რუსულის შპარგალკა მან მომცა.

ჩავედით მოსკოვში მე და დედა. ფატი თვალთვაძესთან გავჩერდით. პატარა ბინა ჰქონდა მოსკოვში, შესანიშნავი მთარგმნელი იყო. გამოცდის წინ გამოუცხადე დედას, თუ გნახავ, რომ მოხვედი, ყველაფერს დავტოვებ და გამოცდაზე აღარ გავალ-მეთქი. დამპირდა, ახლოსაც არ გაგეკარებო. წავედი დილაადრიან. ვიდრე ჩემი დრო დადგებოდა (მოგესვენებათ, ჩემი გვარი ბოლოში იქნებოდა). ვილაც ბიჭმა მითხრა, გარეთ გემახიანო. გავედი და დედა დგას. ვაგბრაზდი. რატომ მოხვედი-მეთქი. უბრალოდ, მინდა ისადილო, ერთად წავიდეთ, რამე შეჭამე და მობრუნდიო. წავედით ბელორუსიის ვაგზალზე ტროლეიბუსით. იქ

პატარა რესტორანი იყო. დედა კახელი ქალი იყო და სადილად ყოველთვის გვასმევდა თითო ჭიქა წითელ ღვინოს. რესტორანში კი ერთი ჭიქა არაყი შეუკვთა. გამიკვირდა, არაყს არასოდეს სვამდა. ეს შენ უნდა დალიო, — მითხრა. დამალვეინა და ისე გამიშვა გამოცდაზე.

ერთ სასაცილო რამესაც გეტყვით. რუსულში მოვიდა თემა გორკი და სოციალისტური რეალიზმი. აქ კი გამომადგა მედიკოს შპარგალკა და ისე გადავწერე, ასო არ გამომიტოვებია. მეორე დღეს ერთი აბიტურიენტი მეუბნება, — ვილაც ქართველს ისე დაუწერია თემა, ხუთიანი მიიღო, ჩვენ რუსებმა კი სულ სამები, ან ჩავიჭვრითო. კი შევიცხადე, მაგრამ მივხვდი, ის ქართველი მე ვიყავი და გამეხარდა.

ვგიკში სემესტრის გამოცდებზე ერთგვარ გაცხრილვას აწყობდნენ, — ვინც ვერ სწავლობდა, რიცხავდნენ. პირველი სემესტრის შემდეგ დედამ ჩამომაკითხა უკან გასაფრენი ბილეთით ემინოდა, გარიცხავენო... მე და ჩემმა მეგობრებმა თამაზ მელიაევამ და გურამ ასათიანმა გადაწყვიტეთ, ჩვენს საერთო მეგობართან — თემიკო ჩირგაძესთან ჩავსულიყავით სოფელ ვოროტინსკში, კალუგის ოლქში, სადაც იგი მაშინ ექიმად მუშაობდა. დაგვხვდა სადგურზე. პატარა ხის სახლი ჰქონდა ნაქირავეები. დიასახლისი კარგი ქალი აღმოჩნდა.

*რეზა გაბრიაძის ესკიზი ფილმ „შერეკილებისთვის“*







მარჩელო მასტროიანი და ელდარ შენგელაია

გაგვიშალა სუფრა... იმ დღეს კარგად მოვილ-  
ხინეთ. შევზარხოშდით და დავიძინეთ. ღამის  
სამ საათზე გამომეღვიძა. საერთოდ მიჭირდა  
გაღვიძება. საერთო საცხოვრებელშიც კი ჩე-  
მი მეგობარი ლიოშა ზახაროვი მაღვიძებდა  
ხოლმე (მასთან ერთად გადავიღე პირველი  
ორი ფილმი). იმ ღამით კი მოულოდნელად გა-  
მომეღვიძა. დედას ნათქვამი ჰქონდა, თუ არ  
ჩამოხვალ, ბილეთს დავაბრუნებ და აღარ გავ-  
ფრინდებიო. ამიტომაც ავჩქარდი, — დედა მე-  
ლოდება-მეთქი. თემიკომ მითხრა, ახლა სად  
წახვალ, აქედან მატარებელი არ გადის და  
მოსკოვში როგორ ჩახვალო. დავიჟინე, დედას  
დავპირდი და საბარგო მატარებლით მაინც წა-  
ვალ-მეთქი. გავედით ბაქანზე და მართლაც სა-  
ბარგო მატარებელს გავყვევ. გაფრენამდე ნა-  
ხევარი საათით ადრე მივუსწარი დედას. მას-  
თან იყვნენ მსახიობი ლუბოვ ორლოვა, მისი  
მეუღლე გრიგორი ალექსანდროვი, ჩემი ძმა  
თენგიზი. ლუბოვ ორლოვა და მისი ქმარი და-  
ემშვიდობნენ დედას. მე და თენგიზმა გააყა-  
ცი-

ლეთ ავტობუსით აეროპორტამდე. გამოვემ-  
შვიდობეთ... არ გვიგრძნია, რომ ეს ჩვენი უკა-  
ნასკნელი შეხვედრა იყო...

ეს საშინელი ავიაკატასტროფა რომ მოხ-  
და, ჩვენი შშობლების მეგობარმა სერგეი გე-  
რასიმოვმა ძალიან გვიპატრონა, ბილეთები  
აგვიღო, ოთხი დღე მოვდიოდით. მცხეთაში  
დაგვხვდა თითქმის მთელი კინოსტუდია... ძა-  
ლიან მიმიძმს ამის გახსენება.

გიორგიმ ძალიან განიცადა ეს ამბავი. მას  
ბავშვობაში გულზე პრობლემები ჰქონდა და  
სულ დედასთან იყო მიკრული...

დაკრძალვაზე ზღვა ხალხი მოვიდა. გადა-  
ღებულებიც არის ეს კადრები. რუსთაველი გა-  
დაჭედილი იყო. დიდუბეში რომ მოვედით, იმ-  
დენი ხალხი მოაწყდა, რომ კუბო ზემოდან გა-  
დაიტანეს... კუბოში არაფერი ყოფილა... ეს  
შემდეგ მითხრა კირა დეიდამ, მხოლოდ ხე-  
ლის მტევანი და ბეჭედი იყო...

უშამობა არ მიგრძნია. დედას დიდ ოთახ-  
ში მამაჩემის დიდი პორტრეტი ეკიდა. როცა  
რამე ხდებოდა, სულ გვეუბნებოდა: მამა ასე  
იტყოდა, მამას ასე მოეწონებოდაო... ასე რომ,  
უშამოდ არც კი მიგრძნია თავი. უკვე დედაც  
რომ დაუკარგეთ, ძალიან გაგვიჭირდა.

დედას ჰქონდა მამაჩემის ბიუსტი, რომე-  
ლიც შემდეგ მუზეუმში შეიძინა და ამ თანხით  
მე და თენგიზი ერთხანს რაღაცნაირად ვსულ-  
დემულობდით მოსკოვში...

უნდა აღვნიშნო, რომ ჩემზე ძალიან ზრუ-  
ნავდა გიორგი, რომელსაც იმ დროს ფილმებ-  
ში იღებდნენ და შემოსავალიც ჰქონდა. მოს-  
კოვში გამოცდების ჩასაბარებლად რომ ჩამო-  
ვიდა, მახსოვს, დახეული პალტო მეცვა. წა-  
მიყვანა მკერავთან და ახალი შეაკერინა... სა-  
ერთოდ გიორგის ყველა იცნობდა. ერთხელ ავ-  
ტომანქანით მოვდიოდი, გამაჩერეს. საბუთებ-  
ში გვარი რომ წაიკითხეს, — გიორგისი რა ხა-  
რო. ძმა-მეთქი. მაშინ ახლა გაპატიებთ და აწი  
წესიერად იარეო... ასე იყო...

პირველი მუწჯი ფილმი, რომელიც საკურ-  
სოდ უნდა გადამეღო, კალათბურთს მივუძღვე-  
ნი. თბილისში კალათბურთს ვთამაშობდი და  
ამ სპორტს კარგად ვიცნობდი. ერთ-ერთი კა-  
ლათბურთელის როლში ანდრეი ტარკოვსკი  
გადავიღე. ტარკოვსკის ვეკის ბიბლიოთეკა-  
ში დავუშეგობრდი. მამამისთან ჩემი შშობლე-  
ბი მეგობრობდნენ და არ გამჭირვებია საერ-  
თო ენის გამოძებნა. სამწუხაროა, რომ ეს ფი-

რი განადგურდა... როცა კინოკაფშირის თავ-  
მჯდომარე გავხდი, ძალიან ვცდილობდი, მე-  
პატრონა მისთვის. დატანჯული იყო, ფილმებს  
უწუნებდნენ... ჩამოგყავდა საბჭოთა კინოს  
პროპაგანდის ბიუროს მეშვეობით, აჩვენებდა  
სურათს, ვუგროვებდით თანხას და წელში გა-  
მართულს ვუშვებდით უკან. ერთხელ ფელი-  
ნის მშობლიურ ქალაქში ვიყავით კინოფეს-  
ტივალზე. დამირეკა ანდრეი ტარკოვსკიმ: არა-  
ვის უთხრა, რომ მე ვარ, არავის ნახვა არ მინ-  
და, როცა რომში ჩამოხვალ, ამა და ამ ად-  
გილზე შეგხვდებით. მართლაც შემხვდა. იმ  
დღეს ქალაქი დამთავალიერებინა და ყველაფ-  
რის ისტორიას დაწვრილებით მიაშობდა... სა-  
ლამოს ტონინო გუერასთან წამიყვანა და გა-  
მაცნო დიდი სცენარისტი და მისი მეუღლე.  
ეს დღე არ დამავიწყდება... ანდრეი ტარკოვ-  
სკი მას მერე აღარც მინახავს.

მე და ლიოშა ზახაროვი ერთად გადავიღეთ  
„ლევენდა გაყინულ გულზე“. ყირგიზეთისა და  
„მოსფილმის“ საერთო ნაწარმოები იყო. ჩვენმა  
პედაგოგმა სერგეი იუტკევიჩმა სცენარი მოგ-  
ვიტანა და გვითხრა, არაფრად ვარგა, მაგრამ  
თუკი ნამდვილად რეჟისორები ხართ, რამე უნ-  
და მოიფიქროთო. ვიფიქრეთ და ვერაფერი მო-  
ვიფიქრეთ... ეს რომ ვუთხარით იუტკევიჩს, —  
მაშინ რეჟისორები არ ყოფილხართო... ისევ ვიწ-


ვალეთ, შევცვალეთ რაღაც და დავიწყეთ გადა-  
ლება. რაკი ყველაფერი გადავაკეთეთ, სცენარის-  
ტებმა უარი თქვეს ფილმზე... როცა ნახეს, რომ  
ყველაფერი კარგად გამოდიოდა, მაშინდა  
გვთხოვეს, ტიტრებში თუ შეიძლება ჩაგვწერე-  
თო. ახალგაზრდები ვიყავით და უარი არ გვით-  
ქვამს. „მოსფილმის“ დირექტორი კი გაგვიჯავ-  
რდა, მაგათ არ დაუთმობდით...

მერე იყო „ზამთრის ზღაპარი“, რომელიც  
ისევ მე და ლიოშამ გადავიღეთ ერთად. კარ-  
გად მიიღეს, მაგრამ მერე აგარაკებზე გაიტა-  
ნეს საჩვენებლად (მაშინ ასე ხდებოდა)... სამ-  
თავრობო აგარაკებიდან მოვიდა ცუდი შეფა-  
სება, ვილაცას არ მოსწონებია... შევმცივრეს  
ჰონორარი. ლამის შეურაცხმყოფლად მცირე  
თანხა მივიღეთ. მაშინ პირველი ქალიშვილი,  
ნატო შემეძინა. წავედი და ლამის ქოთანს ვუ-  
ყიდე იმ ფულით. ჩემს მეუღლეს, არიადნას ძა-  
ლიან გაეხარდა, მართლაც გვჭირდებოდაო.

ყველაზე ბევრი „თეთრი ქარავნის“ გადა-  
ლებაზე ვიწვალე... წარმოგიდგენიათ ცხვრის  
ფარის გადალება რამდენიმე დუბლად? მთელ  
დღეს ვუნდებოდით. არადა, აუცილებელი იყო,  
ოთხი დუბლი მაინც უნდა გადამეღო.

ამ ფილმს ასე ერქვა: „გზები და გზაჯვა-  
რედინები“, სცენარის ავტორმა — მერაბ ელი-  
ოზიშვილმა დაარქვა. ფილმის ჩვენების შემ-

*ელდარ შენგელაია და ლომერ ახელედიანი*





დღე ნოდარ დუმბაძემ მითხრა, სათაური არ ვარგაო... ვიცი, მაგრამ ვერაფერი მოვიფიქრე-მეთქი. მაშინ „თეთრი ქარავანი“ დაარქვიო. ასე მონათლა ნოდარ დუმბაძემ ეს სურათი.

გადაღებების დროს არაფერი მახსოვდა, ფილმზე მუშაობის გარდა... ასე იყო ყოველთვის... „შერეკილების“ გადაღებისას გვინდოდა გადაგველო ფილმი ქართველ ავიატორებზე. დაეწვეთო მუშაობა მე და რეზო გაბრიაძემ და რა გამოგვივიდა, იცით ყველამ. ფილმის გმირები რომ აფრინდნენ, კიდევ ვაგრძელებდით სცენარის წერას და რომ არა მეგობრების რჩევა, აქ შეწყვიტეთო, არ ვიცი, სადამდე გადაგრძელებდით...

„ცისფერი მთების“ გამო თუ მივიღე კრიტიკა სახელმწიფო მოხელეებისგან? გორბაჩოვმა „ცისფერი მთები“ ლიბავაში ნახა. შევარდნაძისთვის უთქვამს, თუ რაღაც არ ვიღონეთ, სახელმწიფო ასე ჩამოგვეგრევა თავზეო... ერთ ჩინოვიკს კი უთქვამს, ეს ფილმი რომ არ მივიღოთ, იტყვიან, რომ ჩვენზეა გადაღებულიო... ასე რომ, მიიღეს...

ბოლო ფილმი „ექსტრემ-ინფორმაცია“ 1993 წელს დაგასრულე...

საკუთარ ფილმებს არ განვსჯი. შინაგანად კი ვფიქრობ ხოლმე რაღაცას, მაგრამ ეს მაინც მაყურებლისა და კრიტიკოსების საქმეა...

ჩემი მიმწუხრი და უდიდესი ტკივილია ჩემი უმცროსი ქალიშვილი — ელენე. თავის მოკვლა მინდოდა, ისეთ დღეში ჩავვარდი, ის რომ დაიღუპა. ელენე საოცარი გოგო იყო. იცოდა

ინგლისური, გერმანული... სწავლობდა ამერიკაში, ინგლისში, გერმანიაში. ბოლოს სანფრანცისკოში სწავლობდა. ყველაფერში უმაღლესი შეფასება ჩამოიტანა. წერილი მოგვწერეს მშობლებს იქიდან, თქვენი ქალიშვილი იდეალურად ფლობს ინგლისურსო.

პატარა გოგო იყო... ამბობდა, ინგლისურში მოწაფეებს ავიყვანო... მერე დასძენდა, აბა, ჩემთან ვინ მოვა, ასეთი პატარა ვარო...

მისი გარდაცვალების მეორე დღეს პატრიარქი მობრძანდა. მაშინ მაინცდამაინც ეკლესიური არ ვიყავი. მართალია, ბავშვობაში ბებიას დავეყავი ეკლესიაში, წითელ კვერცხებსაც ღებავდა, მაგრამ სხვა შეჩება არ მქონია ეკლესიასთან... და კიდევ არაიდანაზე რომ ვიქორწინე, ვუთხარი, წამოდი ეკლესიაში, სანთლები დავანთოთ და მერე მოვწეროთ ხელი-მეთქი... თუმცა არც ვიცოდი, ასე რატომ მოვიქცეო...

მას მერე, რაც უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ გვითხრა, ელენეს სული ცოცხალიაო, სხვაგვარად შევხედე ყველაფერს. შემდეგ გოგი ხარაბაძემ წაგვიყვანა ქაშუეთის ეკლესიაში მამა გიორგი ზვიადაძესთან... ასე დაეწვეთო მე და ჩემმა მეუღლემ ნელი შენგელაიამ ეკლესიური ცხოვრება...

ძალიან თუ შევიცვალე? — ალბათ ძალიან შევიცვალე.

რამეს თუ შევცვლიდი? — ცხადია, შევცვლიდი... თუმცა ბოროტება არასდროს ჩამიდენია, ეს სიმძიმე არ მაწვეს გულზე...

ლელა ჯიყაშვილი

ბერლინის კინოფესტივალზე

ფოტოები მოგვაწოდა თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმმა





# ნიკა წულუკიძე:

*მემუარული და ისტორიული ლიტერატურა განსაკუთრებით უყვარს. იზიდავს ანტიკური კულტურა. ჩემი რესპონდენტი თეატრმცოდნე ნიკა წულუკიძე გახლავთ. კითხვაზე, ისტორიული გმირებიდან გამორჩეულად რომელი გიყვართ? მპასუხობს: — მეფე სოლომონ I. რით ხიბლავს მეფის ცხოვრება, ამას თავისებურ ახსნას უძებნის.*

## „ისტორია თუ არ ვისწავლავთ, ეროვნული ბენედიქის შესახებ არაფერი ბვეცოდინება“

— მეფე სოლომონ I-მა ყველაფერი გააკეთა ტყვეთა ვაჭრობის აღსაკვეთად, თავდაუზოგავად იბრძოლა. ის ძალიან ახლებურად აზროვნებდა. გამოდიოდა ინიციატივით, შერთებულები ქართლის, კახეთისა და იმერეთის სამეფოები. თავისი ახლო ნათესავი, ბერი წულუკიძე მეფე ერეკლესთანაც გავზავნა. შეუთვალა, მეფობა არ მინდა, ოღონდ საქართველო გავეერთიანოთ. მაგრამ ეს გაერთიანება მიზეზთა გამო არ მოხდა. ქართველებს უცნაურობა გვჭირს, ზოგჯერ რაღაცას ამოვიჩემებთ და გამუდმებით ვიმეორებთ, ამავე დროს, სხვა რამ კი გვავიწყდება. არავისზე ნაკლები არ ყოფილა მეფე სოლომონი. საერთოდ, დაჩაგრულ ადამიანებზე ვგოჟდები. ახალგაზრდებმა სამშობლოს ისტორია აუცილებლად უნდა ისწავლონ. როგორც ადამიანებს, ასევე ერებს საკუთარი გენეტიკა გვაქვს. ისტორია თუ არ ვისწავლავთ და არ შევიყვართ, ეროვნული გენეტიკის შესახებ არაფერი გვეცოდინება.

სახვრები არა მხოლოდ გეოგრაფიული არსებობს. ჩვენ ბევრი რამ კარგად არ ვიცით. ლაღო ასათიანმა რომ დაწერა „ფიცხელ ომში რომ მღეროდა მაჩაბელი“, ვინ იყო ეს მა-

ჩაბელი (უფრო ზუსტად თუ ვიტყვით, მაჩაბელას უწოდებდნენ დაბალი ფენიდან გამოსულ ნიჭიერ ქართველს, რომლის გვარი დღეს უცნობია), ბევრმა არ იცის. ეს მაჩაბელა, თბილისის თეატრის „მსახიობთა უფროსი“, კრწანისის ბრძოლის წინა ხაზზე სხვა მსახიობებთან ერთად იბრძოდა.

1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის თანახმად, ჩვენი თანამემამულეები უნდა წასულიყვნენ რუსეთში სამხედრო ტექნიკის დასახეწად. ქართველები ადვილზე რომ ჩაივდნენ და იქ თეატრალური ხელოვნება ნახეს, ძალიან მოეწონათ. მეფე ერეკლეს საქართველოში თეატრის დაარსება სთხოვეს. მეფემ სასულიერო სემინარიის ხელმძღვანელ გაიოზ რექტორს დააგულა თელავში თეატრის დაარსება. მის ხელმძღვანელად დანიშნეს კაცი, რომელმაც რუსეთში საარტილერიო საქმე შეისწავლა და მაიორის ჩინით ჩამოვიდა, მას დიდი იუმორის გრძობა ჰქონდა და ტყუილებიც უყვარდა. ჰყვებოდა, ომის დროს ცალ ხელში თოკი მეჭირა, რომელიც კავკასიონზე ჩამოვკიდე, მეორე ხელში კი ზარბაზანი და მტერს ისე ვეომებოდიო. ეს კაცი გაბრიელ მაიორი გახლდათ და პირველი რეკლამა საქართველოში



სწორედ მის სახელს უკავშირდება. „შაური ორი, გაბრიელ მაიორი“ — აფიშები ამ წარწერით დღემდე შემორჩენილია. ანუ ორ შაურად თქვენ გაბრიელ მაიორის ნახვა შეგიძლიათო. როცა მეფე ერეკლემ ნახა, კრწანისში ბრძოლის ველზე სამრად არ მოდიოდნენ, იფიქრა, წინ მსახიობებს ჩაეყენებ და ჯარს სიმღერით გაუძღვებიანო. კრწანისის ბრძოლის დროს მსოფლიოში უპრეცედენტო ფაქტი მოხდა, ქვეყანაში მცხოვრები ყველა მსახიობი ერთ დღეს დაიღუპა. კრწანისის მემორიალთან თეატრალური ნიღაბი სწორედ მათ ხსოვნას ეძღვნება. გაბრიელ მაიორმა კი არტილერიის შემადგენლობაში იბრძოლა გმირულად და გმირულადვე დაეცა კრწანისის ბრძოლაში.

— **ქართული თეატრის ისტორია საუკუნე-ნახევარზე მეტს მოიცავს. სად გამართა დას-მა პირველი სპექტაკლი?**

— 1850 წლის იანვარში პირველი კლასიკური გიმნაზიის სააქტო დარბაზში გიორგი ერისთავის „გაყრა“ წარმოადგინეს. მიკირტუმ გასპარიჩის როლს თავად ორბელიანი ასრულებდა. პირველი სპექტაკლი, (სახელწოდებიდან გამომდინარეც) რუსეთ-საქართველოს გაყრას ნიშნავდა, ამის გამო დასს ვორონცოვმა დაფინანსება შეუწყვიტა.

— **თურქეთში რომელი ტაძარი მდებარეობს მდინარე თორთუმისწყლის ნაპირას?**

— ოშკი. თურქეთში ოთხჯერ ვიყავი. ოშკი რომ ვნახე, გული მომიკვდა. ამ უდიდეს წმინდა ტაძარს ნახირი შესეოდა. ხახულის ტაძართან კი ადგილობრივებს ისპანახი და ლობიო უთესიათ. ხახულში ფეხშიშველა შეგვიყვანეს, აქ მეჩეთია და ფეხსაცმლით შესვლა არ შეიძლებაო. ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ ეს ტაძრები დანგრევას გადავარჩინოთ. თავის დროზე ხომ ოშკი მსოფლიო მართლმადიდებელ სამყაროში ერთ-ერთი უდიდესი ტაძარი იყო.

— **ეს ქალაქი შიიტ მუსლიმანთა ერთ-ერთი წმინდა ადგილია. იქ დასაფლავებულია შაჰ-აბას I.**

— ვერ გიპასუხებთ. შაჰ-აბასის საფლავზე ნამყოფი ვარ, მაგრამ არ მახსოვს, რიგით მერამდენე შაჰი იყო.

— **ქალაქი ყუმი ირანში. რომელი ცნობილი გერმანელი სამხედრო მოღვაწე და პოლიტიკოსი არ იხდიდა გადასახადებს?**

— ჰიტლერი.  
— **დავით აღმაშენებლის მეფობის პერიოდში, რომელი თანამდებობა აერთიანებდა უმაღლეს საერო და სასულიერო ხელისუფლებას?**

— მწიგნობართუხუცესი ჰყონდიდელი.  
— **ვახუშტი კოტეტიშვილის მიერ გამართულ სადამოებს „ლექსო ნუ დაიკარგები“, რომელი კუთხის წარმომადგენლები ხსნიდნენ?**

— ტრადიციისამებრ, ერთი სიმღერით იხსნებოდა, ვეღარ ვიხსენებ.

— **შზის სადიდებელი...**

— **(მაწვევტინებს) სვანები „ლილეოთი“ ხსნიდნენ.**

— **„სტალინში თავმოყრილი იყო იულიუს კეისრის ჭკუა და ოქტაიანე ავგუსტუსის ემ-მაკობა, ალექსანდრე მაკედონელის მხედართმთავრული გენია, ციცერონის მჭვერმეტყველება და აზრის გადმოცემის სისხარტე. იგი ყველა მათგანზე მაღლა დგას, ბევრად უფრო მაღალია“. რომელი ცნობილი მხატვარია ამ სიტყვების ავტორი?**

— პაბლო პიკასო. ის კომუნისტებზე გიჟდებოდა. ერთხელ სალვადორ დალიმ თქვა: პიკასო გენიალური მხატვარია, მეც გენიალური მხატვარი ვარ, მასზე გიჟდებიან, ჩემზეც გიჟდებიან, ის კლასიკოსია, მეც კლასიკოსი ვარ, მაგრამ ის კომუნისტია და მე არაო.

— **ისრაელის მეფე სოლომონს საკუთარ ბეჭედზე ამოტვიფრული წარწერა, თუ ცუდ ხასიათზე იყო, კარგ ხასიათზე აყენებდა. ხდებოდა პირიქითაც. რა ეწერა ბეჭედზე?**

— ვერ გეტყვითო...

— **„ესეც გაივლის“.**

— მართლა? სრული ჭეშმარიტებაა, ყველაფერი გაივლის.

— **ეს ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე ხუმრობდა, მე რომ ბავშვობიდან ხეიბარი არ ვყოფილიყავი, აუცილებლად ფირალი ვიქნებოდიო... ის ხშირად ვინმე კერძო პირს იშვიათი ნაკუთობის ნივთს გამოართმევდა და ეტყოდა; სხლში წვილებ, შვეისწავლი და რამდენიმე დღეში დაგობრუნებო. მეორე დღეს კი გაზეთში განცხადებას აქვეყნებდა, ამა და ამ კაცმა საქართველოს მუზეუმს ესა და ეს ნივთი შესწირაო. დაასახელეთ, ვინ იქცეოდა ასე?**

— ექვთიმე თაყაიშვილი. თუნდაც იმიტომ უნდა ვიცოდეთ სამშობლოს ისტორია, რომ ჩვენს გმირებს სათანადო პატივი მივაგოთ. ექ-

ვთიმე თაყაიშვილს ცოლი შიმშილით უკვდებოდა. თხა იყიდა, რძეს წველიდა, და განძს ერთი რელიკვიაც კი არ მოაკლო, ისე ჩამოგვიტანა საქართველოში. ჩვენი დიდი სირცხვილია, რომ ამ ღირსეული მამულიშვილის დაკრძალვას მხოლოდ 40 კაცი ესწრებოდა.

— პრეზიდენტმა თეოდორ რუზველტმა აშშ-ის იმდროინდელი პოლიტიკის ძირითადი პრინციპი ასე ჩამოაყალიბა: „ილაპარაკე რბილად, მაგრამ ხელში გეჭიროს...“

— მახვილი.

— „...ხელში გეჭიროს დიდი კვტი“.

— სიტყვა — ვერა, მაგრამ აზრი გამოვიცანი.

— ამ ხის რტო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დროშაზეა გამოსახული და მშვიდობის სიმბოლოდ მიიჩნევა. რომელ მცენარეზეა ლაპარაკი?

— მადროვეთ, ჯერ ეს დროშა უნდა გავიხსენო.

— მიგანიშნებთ, ამ მცენარის ნაყოფი საკვებად გამოიყენება.

— (პაუზის შემდეგ) ზეთისხილი, გამოვიცანი?

— დიახ! დაასახელეთ ფრანგი მწერალი, რომელიც II მსოფლიო ომის დროს, სამხედრო მფრინავი იყო და სადაზვერუო ფრენისას დაიღუპა.

— ანტუან დე სენტ ეგზიუპერი. ეს მწერალი ძალიან მიყვარს...

— რომელ წელს იკურთხა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად ილია II?

— 1977 წელს. ღმერთმა დიდხანს გვიცოცხლოს და ჯანმრთელად გვიმყოფოს ჩვენი პატრიარქი.

— ეს დაავადება უამრავ ადამიანთან ერთად ნაპოლეონსა და ალექსანდრე მაკედონელსაც აწუხებდა.

— ნაპოლეონს ჭამა ძალიან უყვარდა. ისიც ვიცი, რომ ორივეს ეშინოდა სიკვდილის. რა დაავადება ჰქონდათ?

— ეპილეფსია. „ეს რა მსახიობი ვიღუპები“ — რომელ ცნობილ იმპერატორს აღმოხდა სიკვდილის წინ ეს სიტყვები?

— ვერ გეტყვით.

— ნერონს.

— სამაგიეროდ, იმას გეტყვით, რომ ნერონი ლექსებს წერდა, სამინელ ლექსებს, თავის მხედართმთავრებს იბარებდა

და უკითხავდა. ისინიც ბრაუო!!! ბრაუო!!! შეძახილით ათამამებდნენ. მაგრამ ერთი გაბედული მხედართმთავარი ჰყავდა, რომელმაც ერთ დღეს შეჰკადრა, თქვენი ლექსები არ მომწონსო. ნერონმა ბრძანება გასცა, სიკვდილით დასაჯეთო. რატომ მკლავით? — გაიკვირვა მხედართმთავარმა. ასეთი ლექსები ჰომეროსს, ესქილეს რომ დაეწერათ, მომწონებოდა, მაგრამ თქვენო? ასე გამოვიდა მდგომარეობიდან და სიცოცხლევ შეინარჩუნა.

— იტალიის ერთ-ერთი ქალაქის საკათედრო ტაძარში ქრისტიანული სამყაროს დიდი სიწმინდე ინახება. თანამედროვე ღვთისმეტყველები მას „მეზუთე სახარებას“ უწოდებენ. გადმოცემის თანახმად, ის თავდაპირველად პეტრე მოციქულთან ინახებოდა. ქრისტიანობის დევნის დროს მას მალაჯდნენ, რადგან იუდეველები და რომაელები ქრისტიანული რელიკვიების განადგურებას ცდილობდნენ. დაასახელეთ, რომელ სიწმინდეზეა ლაპარაკი?

— ტურინის სუდარახე.

— დაასრულეთ ნეტარი ავგუსტინეს სიტყვები: „ჭეშმარიტება შეიძლება დროებით დაინაგროს, მაგრამ მისი საბოლოოდ დამარცხება...“

— „...საბოლოოდ დამარცხება შეუძლებელია“.

თამარ კვინიკაძე





# მუმიები პერუდან

**365** ასეულობით წლის წინ მუმიებს სამხრეთ ამერიკაში — პერუშიც ამზადებდნენ. პირველი მუმიები თარიღდება ძვ. წ. 400-იანი წლებით, უკანასკნელი კი 1500-იანი წლების დასაწყისით. ეს ბოლო მუშია მჯდომარე პოზიციაში იპოვეს, მუხლები ნიკაპამდე ჰქონდა მოხრილი. მუმიისთვის რამდენიმე ფენად ქსოვილი ისე შემოეხვიათ, რომ ფუთას ჰგავდა. იგი მშრალი და ცივი კლიმატის წყალობით კარგად იყო შენახული.



▶ პერუში ნაპოვნი ეს მუშია 500-ზე მეტი წლისაა. ქსოვილი ისე ჰქონდა შემოხვეული, რომ „მუმიის ფუთა“ გამოსულიყო.



▲ იმპერატორთა მუმიებს საჯაროდ, ზარზეიმით ჩამოატარებდნენ ხოლმე ქუჩებში.

**366** 1500-იან წლებში ინკების იმპერატორთა მუმიებს ზარზეიმით ჩამოატარებდნენ ხოლმე ქალაქ კუსკოს (პერუ) ქუჩებში. ფიქრობდნენ, რომ ამ გზით გარდაცვლილის სულზე იზრუნებდნენ და დაეხმარებოდნენ იმქვეყნიურ ცხოვრებაში მოგზაურობაში. სწამდათ, რომ ამ გზით ასიამოვნებდნენ ღმერთებს, რომლებიც მერე ცოცხლებს ჯანმრთელობასა და ბედნიერებას უბოძებდნენ.

**დაუჯერებელია!**

როცა ესპანელები XVI საუკუნის დასაწყისში პერუში შევიდნენ, ინკების ათასობით მუშია განადგურეს — ოთხი წლის განმავლობაში 1365 მუშია მოსპეს!

**367** ინკები ღმერთებს ბავშვებსაც სწირავდნენ. იმედი ჰქონდათ, რომ სანაცვლოდ წვიმასა და მარცვლეულის კარგ მოსავალს მიიღებდნენ და ჯანმრთელობითა და ბარაქით დაჯილდოვდებოდნენ. ბავშვების სხეულებს ყინულოვანი მთის ძირას ტოვებდნენ, სადაც ისინი ნელ-ნელა ბუნებრივ მუმიებად იქცეოდნენ.

**368** 1995 წელს ინკი გოგონას მუმია იპოვეს. ის 500 წლის წინ შესწირეს ღმერთებს. მისი სხეული 6300 მეტრის სიმაღლეზე, მთა ამპატოზე (პერუ) დატოვეს. იქვე იყო ძღვენი ღმერთებისთვის — ქსოვილი, საკვები, ოქროვერცხლი. ყინვიანმა გარემომ კარგად შეინახა გოგონას სხეული.

▶ ინკი ბავშვები დგანან ქურუმის წინ, რომელიც მათ ამცნობს, რომ ღმერთებს მსხვერპლად შესწირავენ.





# აზიური მუზეუმი

**369** 2500 წელზე მეტი ხნის წინ ციმბირში მცხოვრები ხალხი პაზირიკები თავიანთ წინამძღოლებს გაყინულ მიწაში მარხავდნენ. 1993 წელს გათხარეს პაზირიკთა ყორღანი და „ყინულის პრინცესის“ გაყინული მუშია აღმოაჩინეს. მას ეცვა აბრეშუმისა და შალის ტანსაცმელი, ფერხთ კი — ცხენოსნის ყელიანი ფეხსაცმელი. როცა ყინული გალღვა და სხეული გამოჩნდა, სხეულზე ირმის სვირინგი ნახეს.

▶ პაზირიკები სხეულზე იკეთებდნენ თოვლის, ლეოპარდის, არწივის გამოსახულებიან სვირინებს. „ყინულის პრინცესის“ სვირინგი შესაძლოა მისი სოციალური სტატუსის მაჩვენებელი იყო.



**370** ლედი ჩენი მსოფლიოში ყველაზე კარგად შენახული მუშიების რიცხვს განეკუთვნება. ის ჩინეთში იპოვეს და დაახლოებით 2100 წლისაა. მუშია ჩასვენებული იყო კუბოში, რომელიც ვერცხლის შემცველი უცნობი სითხით იყო სავსე. დალუქული კუბო მეორე კუბოში იდო, ეს უკანასკნელი კი — სხვა კუბოში. კუბოები ჩამარხული იყო ნახშირისა და თიხის ბორცვის ქვეშ და სხეული ამ წყალ- და პაერგაუმტარ სამარხში ინახებოდა.

◀ მზატერულ გამოსახულებაზე წარმოდგენილია, როგორ გამოიყურებოდა ლედი ჩენი სიცოცხლეში, 2000 წლის წინ.



**უპასუხე კითხვებს:**

1. რომელი ქვეყნიდან იყო ვუ ხაკ მინი?
2. რომელ ლითონს შეიცავდა ლედი ჩენის კუბო?
3. რა ჰქონდა „ყინულის პრინცესას“ სხეულზე?
4. რა ასაკისაა თაკლამაკანის მუმიები?

4. იბმტ 0000  
 3. შნფიფიფი  
 2. ადრიფი  
 1. დიფიფიფი  
 :სადიფიფი

**371** მუმიები იპოვეს თაკლამაკანის უდაბნოში, ჩინეთში. აქ იშვიათად წვიმს და მარილიან ქვიშაში ადამიანის სხეული არ იხრწნება. საოცარი იყო, რომ მუმიებს ასეთ შორეულ ადგილას მიაკვლიეს. მათი ასაკი დაახლოებით 3000 წელია და ისე გამოიყურებიან, როგორც ინდოევროპელები და არა როგორც ჩინელები. როგორც ჩანს, დიდი ხნის წინ მაღალი, ღია კანის ფერის ხალხის ჯგუფი დასახლდა აღმოსავლეთში, სადაც ისინი დაიხოცნენ და დაიმარხნენ.

**372** ვუ ხაკ მინი ვიეტნამელი ბუდისტი მღვდელი იყო. 1639 წელს, როცა სიკვდილის მოახლოება იგრძნო, სენაკში ჩაიკეტა და მეგობარ ბერებს სთხოვა, მარტო დაეტოვებინათ 100 დღის განმავლობაში, სანამ მედიტაციას მიეცემოდა. როცა დათქმული ვადა გავიდა, ბერებმა იგი გარდაცვლილი იპოვეს. მისი სხეული შესანიშნავად იყო შენახული.

▼ ჩერჩენელი მამაკაცის მუმიც ერთ-ერთი იყო იმათ შორის, რომლებიც თაკლამაკანის უდაბნოში იპოვეს.





# ჩრდილოეთამერიკული მუმიები

**373** 9000 წლის მუშია, რომელიც 1940 წელს ნეადის შტატში (აშშ), სულების გამოქვაბულში იპოვეს, ერთ-ერთი უძველესია მუმიებს შორის. მას ეცვა ტყავის მოსასხამი, ტყავის მოკასინები და გახვეული იყო ბალახის ჭილოფში. გრილმა, მშრალმა კლიმატმა სხეული გამოაშრო და ბუნებრივ მუშიად აქცია.



▲ სულების გამოქვაბულში 1940 წელს მამაკაცის მუშია აღმოაჩინეს. მისი ასაკი 1994 წლამდე ჯერ კიდევ არ იყო გარკვეული.

**374** 1972 წელს გრენლანდიაში ბუნებრივად მუმიფიცირებული ოჯახი ნახეს. ექვსი ინუიტი ქალისა და ორი ბავშვის სხეული კლდის პირას დაუსვენებიათ დაახლოებით 1475 წელს. ციმა კლიმატმა კარგად შემოინახა მათი გაყინული სხეულები.

**375** ჩრდილოეთამერიკული ყინულის კაცის მუშია აღარ არსებობს. ის 1999 წელს აღმოაჩინეს კანადაში. ყინულის კაცი XV საუკუნის დამდეგს გარდაიცვალა. ადგილობრივი ჩრდილოეთამერიკელები ამტკიცებდნენ, რომ ეს მამაკაცი მათი წინაპარი იყო. მუშიას კრემაცია გაუკეთეს და ფერფლი იმ ადგილას მოაბნიეს, სადაც მიაგნეს.

**დაუჯერებელია!**

ელმერ მაკქარდის მსგავსად, ჰეიზელ ფერისი მეორე ამერიკელი აჯანკი იყო, რომლის მუმიფიცირებული სხეული საჯაროდ გამოფინეს.




▲ პატარა ინუიტი ბიჭის მუშია. ის მოკლეს და ამდენად, იმქვეყნიურ ცხოვრებაშიც დედასთან ერთად დარჩებოდა.



**377** ელმერ მაკქარდი იყო ამერიკელი ავაზაკი, რომელიც მუმიად იქცა. ის სასიკვდილოდ დაჭრეს 1911 წელს მატარებლის ძარცვისას. მისი ცხედარი დამკრძალავ ბიუროში წაიღეს, მაგრამ არავის მოუკითხავს. ბოლოს მაკქარდის მუშია სასოფლო-სამეურნეო ბაზრობას მიჰყიდეს. 1976 წელს სატელევიზიო გადაცემა „მოჩვენების გასეირნებაში“ ნაჩვენები „ფიტული“ სწორედ ელმერ მაკქარდის მუშია იყო! ის საბოლოოდ 1977 წელს დაკრძალეს.

**376** სამი ბრიტანელი მეზღვაურის მუშია არქტიკის გაყინულ მიწაში განისვენებს. ჯონ ტორინგტონი, ჯონ ჰარტნელი და უილიამ ბრეინი 1845 წელს დაიღუპნენ, როცა ინგლისიდან ჩრდილოეთის ყინულოვანი ოკეანისკენ მიმავალ საზღვაო გზას ეძებდნენ. მათი სხეულები 1984 წელს აღმოაჩინეს. მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ისინი ტყვიით იყვნენ მოწამლული. ეს ლითონი გვამებში დიდი რაოდენობით აღმოჩნდა, საყარაუდოდ, დაბინძურებული საკვების მიზეზით. მეზღვაურები ხელახლა დამარხეს და მათი სხეულები ისევ გაყინეს.

▼ „HMS ტერორის“ ეკიპაჟი ცდილობს გემის ყინულისგან გათავისუფლებას. ბოლოს ეკიპაჟის წევრები დაიღუპნენ და ზოგიერთი ყინვამ მუმიად გადააქცია.





# საყოველთაოდ ცნობილი მუმიები

## 378

ვეზუვის მთა ვულკანია სამხრეთ იტალიაში. ის ახ. წ. 79 წელს ამოიფრქვა და ქალაქი პომპეი ფერფლისა და ქვის ქვეშ მოაქცია. ბევრი ადამიანი დაიღუპა, უმეტესობა გაიგუდა. როცა მეცნიერებმა ქალაქი გათხარეს, მიწაში აქა-იქ ცარიელი სივრცეები აღმოაჩინეს, რომელთაც ადამიანის ფორმა ჰქონდა. ამ ადგილებში თაბაშირი მოასხეს და მაშინვე გამოჩნდნენ გაქვევებული ადამიანები.



▲ თაბაშირით დაფარული ეს სხეული ახ. წ. 79 წელს ვეზუვის ამოფრქვევისას დაღუპულ ადამიანს ეკუთვნის. ზოგიერთს მაშინდელი სახის გამომეტყველებაც კი აქვს შენარჩუნებული.

▼ თავით ფეხებამდე შემოსილი მუმიები პალერმოს ეკლესიის კედელზე არიან მიყრდნობილი. გარდაცვლილებს მათ სიცოცხლეში საყვარელ სამოსს აცმევდნენ.

## 379

სიცილიაზე, ქალაქ პალერმოს ეკლესიის მიწისქვეშა აკლდამაში 2000 მუშია განისვენებს. ისინი ადგილობრივი მცხოვრებლები არიან, რომლებიც 100 წელიწადზე მეტი ხნის წინ დაკრძალეს აკლდამაში. მშრალმა ჰაერმა მათი სხეულები მუშიად აქცია. ბევრი მუშია კედელზეა მიყრდნობილი და ტანთ ის სამოსს აცვია, რაც დაკრძალვის დღეს ეცვა.



# 380

**წმინდანების მუმიები რომის ბევრ კათოლიკურ ეკლესიაშია დაცული.** ზოგჯერ მთელი სხეულის ნაცვლად მხოლოდ რომელიმე ნაწილია გამოფენილი, რომელთაც წმინდა ნაწილებს უწოდებენ. უმეტესობა ბუნებრივი მუშიაა, რადგან რამდენიმე წლის განმავლობაში მშრალ გარემოში ინახებოდა. არც ისე ბევრია ხელოვნური გზით მუმიფიცირებული მუშია, რომელთაც საგანგებოდ ინახავენ. კათოლიკური ეკლესია აცხადებს, რომ ზოგიერთი წმინდანი თავად ღმერთმა შეინახა უზრუნველად და მათ სასწაულის დამამტკიცებელ საბუთად მიიჩნევს.



▲ წმინდა ბერნადეტა სუბირუსის ნეშტი, ლურდი, საფრანგეთი. იგი არ გახრწნილა. ხალხი ფიქრობს, რომ ეს უფლის განგებით ხდება.

# 381

**მუმიებს პაპუა-ახალ გვინეაშიც ამზადებდნენ.** როცა ვინმე გარდაიცვლებოდა, ცხედარს მოხრილ მდგომარეობაში დასვამდნენ და გამოსაშრობად მზეზე ტოვებდნენ, ან ცეცხლის კვამლზე აშრობდნენ. რაკი ცხედარი გაუხრწნელად ინახებოდა, კუნძულის ბინადართ სჯეროდათ, რომ ნათესაეები ისევე მათ გვერდით ცხოვრობდნენ.

▶ ტეცუმონკაის მუშიას მეგობარმა ბერებმა ირგვლივ ანთებული სანთლები შემოუწვევეს და ისე გამოაშრეს.

## დაუჯერებელია!

დასავლეთ აფრიკის სანაპიროზე, კანარის კუნძულებზე მცხოვრები ხალხი გუანჩი XV საუკუნის დამდეგამდე ამზადებდა მუმიებს.



# 382

**იაპონიაში დაახლოებით ოცი ბუდისტი ბერის მუშია ინახება.** ერთ-ერთი მათგანია ტეცუმონკაი. ის 1829 წელს გარდაიცვალა. ბუდისტმა ბერმა სიკვდილამდე რამდენიმე წლით ადრე დაიწყო თავისი სხეულის მუმიფიცირებისთვის მომზადება — ცოტას ჭამდა, შეწყვიტა ბრინჯის, ქერის, ზორბლის, ფეტვისა და ცერცვის მიღება, რადგან მიაჩნდა, რომ ისინი სხეულს ზიანს აყენებდნენ. როცა გარდაიცვალა, მეგობარმა ბერებმა ცხედარი მჯდომარე პოზით, ფეხბ გადაჯვარედინებული გამოაშრეს.







					1	2		3
					ზურიო- მიძღვრული ძველი იმერეთში	სპორტის ძველებური სახეობა		სამცხის გამგებელთა საგვარეულო წოდება
						4		5
						მე. ფრანგული ზურდა ფული		სრული მონური დამოკიდე ბულება
					6			
	ძველი რომაული სამოსი				7			
						...-საბა ორბელიანი		
	8						9	
	ქართველი ისტორიკოსი						ლატვიის ფელაქალაქი	
	10					11		12
	ათი საუკუნე					ორთაბრძოლა რამე იარაღით		აშშ-ის პრეზიდენტი 1801-1809 წწ.
						13		14
						ქართველი მეფე-პოეტი		აშშ-ის პარლამენტი
	15					16		17
	ძველი საბერძნეთი					ამერიკელი განგსტერი ... კაპონე		მეფის ხელისუფლების შემამისმბეჭდი საგანი
	18		19					
	ძველბურ კაფიანი თოფი		სვანური პიში					
					20	21		
					ებრაელთა ისრაელში იმგრაცია	ისტორი- ული მზარე დასაუღლი ვეროაპში		
				22				23
				ბიბლიური წინასწარმეტ- ველი				მიმართვა მეფისადმი ძე საფრანგეთში
	24		25	26				
	საფრანგეთის მეფე ... V ზარმაცი		კონტინენტი	ინდოეთის ფელაქალაქი				
			27					28
			ძველი ქუთაისი					გიორგი საკახის სიოფელი

წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:  
 1. ნოიხი; 2. გვარდია; 3. ხალხი; 4. ფირალი; 5. აქილეუსი; 6. ალაფი; 7. რაიხი; 8. ნინია. 9. ლახარი;  
 10. აიფუტი; 11. იტალია; 12. ლუი; 13. ლუიზიანა; 14. ელბა; 15. მექა; 16. ზევი; 17. მირიანი; 18. ტიტო; 19.  
 სოფია; 20. სეიბი; 21. ვერმანტი; 22. არსენალი; 23. ნაგრა; 24. პარტიზანი. სურათზე: ნევერტიტი.